

ი. კატკაჭიშვილი, თ. მათარაძე,
ბ. ნიშარაძე, ბ. შუბითიძე

**შრომის კულტურა და რელიგიური
დისკურსი საქართველოს
სხვადასხვა თემში**



გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი 2013

კვლევა ჩატარდა პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მხარდაჭერით. პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების მეშვეობით, როგორცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევრების ახალი თაობის აღმოჩენას და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიურ ქსელს“ ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან პროფესორ ზაზა ფირალიშვილს, რელიგიის საკითხთა ექსპერტს, ფილოსოფოსს, რომელმაც დაწერა ამ წიგნის შესავალი.

ავტორები მადლიერებას გამოხატავენ, აგრეთვე, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტების – ივანე ბაძალუას, სოფო დავითურისა და ხატია ნადარაიას – მიმართ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მეორადი მონაცემების მოძიებასა და დამუშავებაში.

ISBN 978-9941-446-90-0

© ი. კაჭკაჭიშვილი, თ. მატარაძე, გ. ნიჟარაძე, გ. შუბითიძე, 2013.

სარჩავი

ავტორების შესახებ.....	5
შესავალი: რელიგიური ცხოვრების ზოგი თავისებურება პოსტსაბჭოთა საქართველოში	8
შემაჯამებელი დასკვნა.....	23
კვლევის მეთოდოლოგია	34

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ძირითადი თეორიული ფონი: მაქს ვებერის გამოწვევა	42
1.2. შრომის ეთიკის ბიბლიური გაგება.....	51
1.3. შეუსაბამობები შრომის პროტესტანტულ და ბიბლიაზე დაფუძნებულ ეთიკას შორის	54
1.4. რელიგიისა და ეკონომიკური ქცევის (შრომის) მიმართების თანამედროვე კონტექსტი.....	56
1.3. ლოურენს ჰარისონი: „ცენტრალური ლიბერალური ჭეშმარიტება“	69

თავი 2. შრომის კულტურა და რელიგიური დისკურსი ქსპერტული/ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი

2.1. ქართული საზოგადოება და მართლმადიდებლობა.....	80
2.2. ინდივიდუალიზმი VERSUS კოლექტივიზმი	83
2.3. შრომა სულიერების წინააღმდეგ თუ სულიერებასთან ერთად?	86
2.4. „მადლი“ და მისი გავლენა ყოველდღიურ პრაქტიკებზე....	87
2.5. სხვადასხვა რელიგიათა (ეკლესიათა) სოციალური პოლიტიკა	90

2.6.	შრომისა და რწმენის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში	91
2.7.	შრომასთან დამოკიდებულების ხუთი დეტერმინანტი	99
2.7.1.	დაულალავი შრომა და მასთან დაკავშირებული წარმატება	101
2.7.2.	ფულისა და დროის დაზოგვასთან (მომჭირნეობასთან) დაკავშირებული ატიტუდები	106
2.7.3.	თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება	107
2.7.4.	კონტროლის ინტერნალური ლოკუსი	115
2.7.5.	შრომა როგორც მიზანი თავისთავად	119

**თავი 3. რელიგიისა და შრომის კულტურული ასპექტები
სოციალურ-ანთროპოლოგიური ანალიზი**

3.1.	მეთოდის გამოყენების მიზანი და მეთოდოლოგია	124
3.2.	მართლმადიდებლების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	126
3.3.	კათოლიკეების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	132
3.4.	ბაპტისტების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	137
3.5.	იეჰოვას მოწმეების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	142
3.6.	მუსლიმების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	148
3.7.	არამორწმუნეების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა	152

დანართი

1.	გამოყენებული ლიტერატურა	158
2.	გამოკითხული ექსპერტების სია	161
3.	საქართველოს სხვადასხვა თემში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების სია	163

ავტორების შესახებ

იაგო კაჭკაჭიშვილი – სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებების ხელმძღვანელი. უძღვება სალექციო კურსებს მოდერნულ და პოსტმოდერნული სოციალურ თეორიებსა და, აგრეთვე, სოციალური კვლევის მეთოდებში. იაგო კაჭკაჭიშვილს განხორციელებული აქვს კვლევითი პროექტები, რომლებიც უკავშირდება განათლებას, პოლიტიკას, ეთნიკურობას, სოციალურ დაცვას და ინკლუზიას, აივ/შიდსის, უსაფრთხო სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებს, რელიგიურობას და სხვა. 2000 წლიდან უხელმძღვანელა და მონაწილეობდა 50-ზე მეტ კვლევით და სასწავლო პროექტში. 2005 წლიდან აქტიურად არის ჩართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის განათლების დანერგვასა და სოციალური მუშაობის პროგრამის ადმინისტრირებაში. ი. კაჭკაჭიშვილი არის არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციის – „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ – ხელმძღვანელი; აგრეთვე, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალის – „სოციალური პოლიტიკა და სოციალური მუშაობა გარდამავალ პერიოდში“ (“Social Policy and Social Work in Transition”) – თანარედაქტორი. ავტორი და თანაავტორია 5-ზე მეტი წიგნის და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

გიორგი ნიჭარაძე – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი. 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. გ. ნიჭარაძის კვლევითი ინტერესები უკავშირდება კროსკულტურულ ფსიქოლოგიას და კულტურის სოციალურ ფსიქოლოგიას, არის კროსკულტურული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. გ. ნიჭარაძე არის სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ემპირიული კვლევითი პროექტების კოორდინატორი და მონაწილე სოციალური მეცნიერებების სფეროში; იყენებს როგორც თვისებრივი (სიღრმისეული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები, შემთხვევის შესწავლა და სხვა), ისე რაოდენობრივი (გამოკითხვა, კონტენტ-ანალიზი, სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ტექნიკები) კვლევების მეთოდებს. გ. ნიჭარაძე კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს: ზოგადი ფსიქოლოგია (შესავალი), სოციალური ფსიქოლოგია (შესავალი), სოციალურ მეცნიერებათა მეთოდები და ადამიანი სოციალურ-კულტურულ გარემოში.

თეონა მატარაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი. 2006-09 წლებში იყო მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი და კავკასიის საზღვრებისა და მოქალაქეობის ჯგუფის წევრი. თ. მატარაძის სადოქტორო დისერტაცია ეხება მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებს. 2010 წელს მიიღო საქართველოს პრეზიდენტის გრანტი საქართველოს შრომითი ბაზრის კვლევის ჩასატარებლად და გამოსაცემად მოამზადა მონოგრაფია „საქართველოს მოქალაქეთა პირობები საქართველოს შრომით ბაზარზე.“ ასწავლის სოციალური მუშაობის შესავალს, კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას და სხვა სასწავლო კურსებს.

გიორგი შუბითიძე – ლუვენის უნივერსიტეტის (KU Leuven University, ბელგია) დოქტორანტი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ამჟამად სადოქტორო დისერტაციას რელიგიის სოციოლოგიის სფეროში. გ. შუბითიძე მონაწილეობდა სხვადასხვა კვლევით პროექტში. 2007 წელს იყო ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ფონდის სტიპენდიანტი, რომლის ფარგლებშიც ჩაატარა კვლევა და გამოსცა ნაშრომი „კლიენტელიზმი საქართველოს თვითმმართველობის ორგანიზაციებში“ (შიდა ქართლის მაგალითზე). გ. შუბითიძე, აგრეთვე, თანაავტორია შემდეგი პუბლიკაციების: „დედაქალაქის გარეთ არსებული გაზეთები“ (CIPDD, 2007) და „საქართველოს რეგიონალური მედიის რუკა“ (CIPDD, 2005). 2010 წელს იყო სოციოლოგიისა და სოციალური კვლევის მეთოდების ლექტორი საქართველოს უნივერსიტეტში.

შესავალი: რელიგიური ცხოვრების ზომი თავისებურება პოსტსაბჭოთა საქართველოში

ზოგადი რელიგიათმცოდნეობითი შესავლით დავიწყებთ.

მას შემდეგ, რაც შესაქმის დასასრულს, ოქროს ხანაში, როდესაც ცა და მიწა ერთ კონტექსტს ქმნიდა და დედამიწაზე მხოლოდ პირველი ადამიანური წყვილი სახლობდა, შრომა, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი სიცოცხლის უზრუნველყოფისა და, თუ შეიძლება ითქვას, „მეტაფიზიკური სიშიშვლის“ დაფარვის საშუალება, არ არსებობდა; ან, როგორც ეს იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციაშია, არსებობდა ერთგვარი ზრუნვის მოვალეობა, ღვთაებრივი კრეაციის ერთგვარი გაგრძელება მიწის დამუშავებისა და ცოცხალ არსებათა სახელდების სახით. ეს მოვალეობა უფალმა შესაქმის გვირგვინს, თავის ხატსა და მსგავსს, ადამიანს დააკისრა. *„აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად... გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“* (დაბადება, თავი 2: 15, 19).¹ რიგი სხვა მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად, ოქროს ხანაში ადამიანი ამგვარი მოვალეობისგანაც იყო თავისუფალი. მხოლოდ ღმერთი თუ ღმერთები იყვნენ დაკავებული თავისი ზენაარი და მარადიული თამაშითა და ამოუწურავი კრეაციით. მიწის ნაყოფი ყველასათვის იყო ხელმისაწვდომი.

ამ პირველადი მდგომარეობის უნივერსალურობას მრავალი მითოლოგიური სისტემა ადასტურებს – იქნება ეს ვედანტური

¹ ბიბლია 2013: 8.

გადმოცემები, ბერძნული და იუდეო-ქრისტიანული ტრადიცია, აფრიკული, ჩრდილო და სამხრეთამერიკული მითოლოგიური ნარატივები და სხვანი. იგი, როგორც წესი, ესქატოლოგიური თხრობის აუცილებელი ნაწილია. ამ სამოთხისეული ყოფის დაკარგვა თითქმის ყველგან უკავშირდება რაღაც შეცდომას, რაიმე ეგოისტურ მისწრაფებაზე დაფუძნებულ ადამიანურ არჩევანს და შედეგად მოსდევს სიშიშვლე, კოსმიური თანხმიერებიდან ამოვარდნა, უკვდავების დაკარგვა, სიცოცხლისა და სიკვდილის ციკლის გაჩენა და სასჯელი, რომელიც ცხოვრების შესანარჩუნებლად მძიმე შრომის გარდუვალობაში მდგომარეობს. „ჩვენს წელთა რიცხვი სამოცდაათი წელინადია, ხოლო ჯანმავრობის დროს – ოთხმოცი წელინადი; და ამათგან უმეტესი ჯაფა და უსამართლობაა, რადგან სწრაფად გაივლიან და ჩვენ მივფრინავთ“, ნათქვამია ძველ აღთქმაში (ფსალმუნი: 89.10).²

ინტერპრეტატორები ამ მდგომარეობას ხშირად ადარებდნენ სიზიფეს ყოფას, რომელიც უკიდურესი ძალისხმევით ცდილობს ლოდი მთის წვერზე ააგოროს, რათა მოსვენება და თავისუფლება მოიპოვოს, მაგრამ მიზნისთვის ვერ მიუღწევია და სამარადისოდ არის ამ უშედეგო საქმით დაკავებული. ასე იქცევა შრომა კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ასპექტად. შრომა, როგორც სასჯელი, მიანიშნებს ადამიანის დისტანცირებაზე კოსმოსისაგან, კოსმოსის უნივერსალური მთლიანობისაგან. იგი მარადი განდევნილია, რომელიც პირველადი მთლიანობის აღდგენას დაუსრულებელი შრომით ცდილობს. ამდენად, შრომა ადამიანისათვის სასჯელიცაა და შინაგანი გარდუვალობაც. ერთიც და მეორეც არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ბზარი ადამიანსა და ყოფიერებას შორის, ადამიანის მიერ განხორციელებული რაღაც პირველადი აქტით (პირველადი ცოდვით) რომ იქნა დაშვებული. იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციაში ეს აქტი ცნობადის ხის ნაყოფის დაგემოვნებას უკავშირდება. „ცნობა“ ამ კონტექსტში „დისტანცირებას“ ნიშნავს. ცნობა შესაძლებე-

² ბიბლია 2013: 440.

ლია იმისი, რაც გაუცხოებულია შენგან. ადამიანმა, როგორც ამას მაქს შელერი ამბობს, დაკარგა ის ექსტატური ჩართულობა სამყაროში, რომლითაც პირველადად იყო უზრუნველყოფილი (Scheler 1928: 37-38). მაშასადამე, როგორც ითქვა, ამ აზრით, შრომა პირველყოფილი მდგომარეობის აღდგენის, ოქროს ხანის დაბრუნების მცდელობის სინონიმია.

კიდევ გავიმეორებთ, რომ როგორც დაბადების ზემოთ მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციაში ადამიანური ყოფიერების პირველადი საკრალური კონტექსტი სრულიადაც არ გამოირიცხავდა შრომას. საქმე შეეხება არა შრომის ფენომენის გაჩენას, არამედ მისი საკრალური კონტექსტის დაკარგვას, რის გამოც იგი საერთო ადამიანური ყოფის ტრაგიკულობის გამოხატულებად იქცევა. ბიბლია ასე გამოხატავს ამ მდგომარეობას: „*ადამს უთხრა (უფალმა): რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ქამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაინყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი*“ (დაბადება, თავი 3: 17, 18, 19).³

ამგვარი განდევნის შემდეგ შრომა, ერთი შეხედვით, უკვე სხვა არაფერია, თუ არა დესაკრალიზებული ფენომენი, რომლის დანიშნულებაც სიცოცხლის უზრუნველყოფაა, მაგრამ არა მხოლოდ ეს. სხვადასხვა რელიგიური პრაქტიკები, განსაკუთრებით აბრაამისტული რელიგიები, მუდმივად ახდენდნენ მის თემატიზებას შრომის საკრალური კონტექსტის აღდგენის მიზნით. რას შეიძლება ნიშნავდეს შრომის საკრალური კონტექსტი? შეიძლება კი ადამიანმა თავის სასიცოცხლო გარემოში მიაგნოს ძალისხმევას იმგვარ ფორმებს, რომელიც უმაღლესი საზრისისა და მნიშვნელობის მატარებელი იქნება და ის, რაც იმთავითვე სასჯელია,

³ ბიბლია 2013: 8.

პირველადი მდგომარეობის კვლავმოპოვების გზად იქცეს? ესაა კითხვები, რომლებიც ამა თუ იმ ინტენსივობით მთელ თეოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება, ხოლო, მაქს ვებერის წყალობით, თემატური ხდება სოციოლოგიისათვისაც. სწორედ მაქს ვებერმა მიუძღვნა თავისი ძალისხმევა იმის ჩვენებას, თუ როგორ განსაზღვრავს სხვადასხვა საზოგადოებათა რელიგიური ცხოვრება შრომის ეთიკას და, საბოლოოდ, იმ სასიცოცხლო გარემოს რაობას, რომელსაც ადამიანები ერთიანი ძალისხმევით ქმნიან.

საკრალურთან მიმართებაში თავად შრომის ცნება განსხვავებულ მნიშვნელობებს შეიძლება ატარებდეს: დაწყებული ფიზიკური შრომით, რომელიც მრავალ ინტერპრეტაციაში მორალურად ნეიტრალური და პროფანულია (თუმცა კი, თუ გავხსენებთ, რომ იგი სასჯელის ფორმას წარმოადგენს, ამგვარი ნეიტრალობა უკვე საეჭვო ხდება; მიუხედავად ამისა, გარკვეულ პირობებში შეიძლება ჩავთვალოთ ასეთად). შემდეგ გონებრივი შრომა, რომელსაც უფრო მეტი მორალური ღირებულება აქვს, რამდენადაც უშუალოდ უკავშირდება სულიერ ცხოვრებას და, საბოლოოდ, ლოცვაში, მედიტაციაში, რელიგიური რიტუალის აღსრულებასა და ასკეზაში გამოხატული სულიერი ღვაწლი, როგორც შრომის უზენაესი ფორმა ადამიანისათვის, რომელიც ღვთაებრივ კონტექსტში კვლავ მიბრუნების მცდელობის უშუალო გამოხატულებაა. ცხადია, ეს დაყოფა ხშირად ერთი და იმავე რელიგიური ტრადიციის ფარგლებშიც კი პირობითია. საბოლოოდ, მარტინ ლუთერთან გვხვდება მცდელობა, რომ შრომის ნებისმიერი ფორმის საკრალიზება მოხდეს. მისთვის მიწიერი მოღვაწეობა წარმოადგენდა უკვე არა მხოლოდ აუცილებელ საფუძველს ღვთისმსახურებისა, როგორც ამას ტრადიციული ეკლესიების – მართლმადიდებელისა და კათოლიკურის – წიაღში მიიჩნევდნენ, არამედ ღვთისმსახურების უშუალო ფორმას. საბოლოოდ, ეს გვაძლევს ზოგადად თითქმის მთელი პროტესტანტული მსოფლმხედველობრივი სამყაროსათვის დამახასიათებელ საკრალიზებას შრომისა და პროფესიისა, ერთგვარი „საერო ასკეტიზმის“ კონცეფციის გაჩენას და სამონასტრო ასკეტიზმის ფენომენის უარყოფას (Beiser 1990: 97-98).

ცხადია, შესავლის სახით ნათქვამი წარმოადგენს მხოლოდ ზოგად რელიგიათმცოდნეობით წანამძღვარს იმ პრობლემისა, რომლის შესწავლასაც ჩვენი კვლევა ეძღვნება.

ვფიქრობთ, შეუძლებელია შრომის კულტურისა და რელიგიური დისკურსის ურთიერთმიმართების შესწავლა პოსტსაბჭოთა სივრცის უნიკალური გამოცდილების გათვალისწინების გარეშე. პოსტ-ტოტალიტარულ საზოგადოებათა „ისტორიაში დაბრუნება“ და აკომოდაციის ფორმების ძიებამ რელიგიური ცხოვრების ძალზე თავისებური სურათი შექმნა. რელიგიურ ცნობიერების პრიზმაში გატარებული ექსისტენციალური და კულტურული შოკი და ადაპტაციური კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და დღემდე ახდენს უბრალო ადამიანების დამოკიდებულებაზე „ისტორიაში დაბრუნების“ პროცესისა და, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ისეთი ფუნდამენტური ფენომენის მიმართაც კი, როგორცაა შრომა.

ამერიკელი მეცნიერების რ. სტარკისა და უ. ბეინბრიჯის კლასიფიკაციას თუ დავეყრდნობით (Stark and Bainbridge 1979), შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა ეპოქაში სახელმწიფოს მიერ შევიწროვებულ რელიგიურ ორგანიზაციებს ჰქონდათ ე.წ. კლიენტარული კულტების ხასიათი. მათ გააჩნდათ ორგანიზაციული სტრუქტურები და მათი ურთიერთობა მორწმუნეებთან ამოიწურებოდა კონსულტანტისა და კლიენტის ურთიერთობათა ხასიათით. მორწმუნეები მოკლებულები იყვნენ საშუალებას, სოციალურად არტიკულირებული რელიგიური მოძრაობები შეექმნათ და რაიმე გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი ცხოვრების რაგვარობაზე. საქმე გვქონდა არა სეკულარიზაციის იმ თავისთავად პროცესთან, რომელიც მიმდინარეობდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების დასავლეთის ქვეყნებში და რომელთაც წინ უდიდესი ისტორიული და მსოფლმხედველობრივი ძვრები უძლოდა (ჯვაროსნული ომებში მარცხი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, თეოლოგიური თუ თეოსოფიური დისკურსისაგან თავისუფალ მეცნიერებათა გაჩენა და სხვ.), არამედ რელიგიური ცხოვრების ფორმათა მყისიერ და ძალადობრივ აღკვეთასთან. შრომა, როგორც საკუთარი სასიცოცხლო გარემოს შექმნაზე ინდივიდის ზრუნვის ფორმა, მი-

თუმცა, ის თეოლოგიური კონტექსტი, რომელშიც ეს ზრუნვა შეიძლება ყოფილიყო მოცემული, რადიკალურად იქნა უარყოფილი და მისი ადგილი დაიკავა „მასათა შრომითი ალტყინების“ ერთგვარმა აბსტრაქტულმა იდეამ. ამ სახით იგი საბჭოთა სამოქალაქო რელიგიის განუყრელ და ცენტრალურ ელემენტად იქცა. სამოქალაქო რელიგიასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ხდება სამოქალაქო ცხოვრებისა და სამოქალაქო იდეოლოგიათა რელიგიის მორფოლოგიურ ფორმებში განთავსება. ამგვარი პარარელიგიური ფენომენის გაჩენის შესახებ უკვე დიდი ხანია წერენ დასავლურ რელიგიათმცოდნეობით ლიტერატურაში (ამ თემაზე შეგიძლიათ, იხილოთ: Bellah and Hammond 1980). ამასთან, თუ ეს ფენომენი დასავლური ცივილიზაციის ქვეყნებისათვის ბუნებრივი პროცესის შედეგი იყო და სეკულარულ საზოგადოებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშნად იქცა, საბჭოთა სინამდვილეში ამ ფენომენის წანამძღვარი იყო სწორედ ათეისტური საზოგადოების მშენებლობის ექსტრემისტული იდეა. ათეისტური იდეოლოგია ძალადობრივი ფორმებით განთავსდა რელიგიურ ფორმებში. რელიგიური კატეგორიები და მატრიცა მთლიანად და რადიკალურად იქნა ჩანაცვლებული მარქსისტულით. ძველი საკულტო ადგილები ახლებით იქნა შეცვლილი, გაჩნდა „შრომისა და ომის გმირების“ სახით წმინდანთა ახალი იერარქია, ხოლო შრომამ (ისევე როგორც საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ ხანებში მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ) პერმანენტული მარქსისტული ლიტურგიის ცენტრალური ადგილი დაიკავა.

უნდა გავიხსენოთ ის ხელოვნური თუ აშკარად ძალადობრივი ხერხები, რომლითაც რიგით ადამიანებში შრომითი ენთუზიაზმის აღძვრასა და საბჭოთა უტოპიისაკენ წარმართვას ცდილობდნენ. ამ ვითარებაში შრომა მხოლოდ იმ შემთხვევაში ინარჩუნებდა რეალურ საზრისს, თუ იგი ლოკალური გარემოს, პირველ რიგში, ოჯახური მეურნეობის მონესრიგებისაკენ იყო მიმართული და კარგავდა საზოგადოების მიერ საკუთარი სასიცოცხლო გარემოს შექმნის საზრისს. თუმცა, თუ გავიხსენებთ შრომის შედეგთა სიკეთებით სარგებლობის ტოტალურ რეგლამენტაციას,

რითაც ხელისუფლება სოციალური თანასწორობის მიღწევას ცდილობდა, ადამიანი ლოკალური სასიცოცხლო გარემოს შექმნაშიც არ იყო თავისუფალი, ეს უკანასკნელი მისგან კანონთან მუდმივ კონფლიქტს მოითხოვდა და ყველაფერი ეს კრიმინალის მიმართ მის დამოკიდებულებასა და შრომის ხასიათზეც აისახებოდა. ადამიანს საკუთარი თავისუფალი ნებით სასიცოცხლო გარემოზე ზრუნვა შეეძლო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეძლებდა იდეოლოგიურ დოქტრინებთან თანხმეობაში ყოფილიყო და პერმანენტული სოციალური იდეალიზმის დაძაბულობაში გამოეხატა საკუთარი თავი. რეალურ საზრისს იძენდა მხოლოდ ხშირად სამართლებრივ რეგლამენტაციასთან დაპირისპირებული პირადი ან მცირე ჯგუფების ინტერესები.

თუკი სეკულარიზაციაში ტრადიციულად იგულისხმება შრომის, გადანყვებილებათა მიღების, სოციალური და ინტერპერსონალური ურთიერთობების, იურიდიული პროცედურების, ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, განათლების, პიროვნების სოციალიზაციის და სხვათა გათავისუფლება რელიგიური მატრიცისაგან, ბოლშევიზმის შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი იდეოლოგიური მატრიცის მეორით შეცვლასთან. სულის ხსნის იდეა, რაც ყველა დიდი რელიგიის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს, კაცობრიობის აბსტრაქტული ბედნიერი მომავლის იდეით იქნა ჩანაცვლებული.

ყოველივე ამის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი მაინც იყო რელიგიური მსოფლმხედველობისა და რელიგიურ ორგანიზაციათა მარგინალიზაცია. ამას ხელი შეუწყო იმ დისკუსიებმაც, რომლებიც 20-იანი წლების განმავლობაში იმართებოდა საქართველოში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საქმეში მართლმადიდებელი ეკლესიის სავალალო როლის გამო. ყოველივე ეს ეხმარებოდა ინტელიგენციის წრეებშიც კი ათეიზმის გავრცელებას. იდეოლოგიური ალტერნატივის როლი იკისრა ერთგვარმა ეთნოკულტურულმა ნაციონალიზმმა, რომელიც თავის რიტორიკაში ქვეყნის ძირითად რელიგიას, მართლმადიდებელ ქრისტიანობას იყენებდა როგორც ერთგვარ ისტორიულ დეკორაციას. თავის რადიკალურ გამოვლინებებში ნაციონალიზმის ეს სახე მონოეთ-

ნიკური და მონოკულტურული სახელმწიფოებრიობის იდეის მატარებელი იყო.

რელიგიური ნაციონალიზმი, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩაენაცვლა ეთნიკურ ნაციონალიზმს, ვფიქრობთ, იყო უშუალო პროდუქტი იმ ექსისტენციალური შოკისა, რომელიც ტოტალტარული სისტემიდან „ისტორიაში დაბრუნებამ“ გამოიწვია. ახალი კულტურული და სოციალური რეალიები, რომლებშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახალი რელიგიური ორგანიზაციების ხშირად ხმაურიანი მისიონერული მოღვაწეობა, კულტურის თავისუფალი სივრცე, რომელშიც თითქმის არაფრის რეგლამენტირება არ ხდებოდა, რიგითი ადამიანისათვის შიშისა და დაბნეულობის მომგვრელი აღმოჩნდა. სწორედ 90-იანი წლების შუა ხანებს ემთხვევა საკუთარი კულტურული იდენტობის დაკარგვის შიშის გაძლიერებაც.

რელიგიური ცხოვრების რეანიმირება და სასულიერო პირების მიერ ახალი ვითარებების ადეკვატური ფორმების ძიება დროში მთელი საზოგადოების ადაპტაციურ კრიზისს დაემთხვა და თავის რადიკალურ და ფუნდამენტალისტურ გამოვლინებებში ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალი ირაციონალური შიში გაახმოვანა. მის ფარგლებშივე მოხდა ამ საზოგადოებათა ადაპტაციური კრიზისის იდეოლოგიზაციაც. ამ აზრით, მართლმადიდებელი რელიგიურობის დღევანდელი სოციო-კულტურული სახე დიდწილად არის იმ ექსისტენციალური და კულტურული შოკის პროდუქტი, რომელიც „ისტორიაში დაბრუნებამ“ და კარდინალურად ახალ სოციო-კულტურულ კონტექსტთან შეჯახებამ მოიტანა. რელიგიურ ტერმინებში აღწერილი ადაპტაციური კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვეულებრივი ადამიანების დამოკიდებულებაზე საკუთარი ყოფისა და სასიცოცხლო გარემოსადმი.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი. საბჭოთა ცხოვრების პირობებში მართლმადიდებელი საეკლესიო პირების ყურადღება ტრადიციული ფორმების შენარჩუნებისაკენ იყო წარმართული. ეს იყო ერთადერთი, რისი გაკეთებაც ამ დროს შეიძლებოდა. მთელი საბჭოთა სივრცის რელიგიური ცხოვრება ჩამო-

შორებული აღმოჩნდა დანარჩენ მსოფლიოს და შედეგად მივიღეთ ის პროფეტული და აპოკალიფტური დისკურსით გაჟღერებული არქაული რიტორიკა, რომლითაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეტყველება იყო და დღემდე არის გაჯერებული. ახალ ისტორიულ სიტუაციაში 1990-იანი წლების დასაწყისიდან მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა შემდეგი ამოცანის წინაშე: ან ეპოქის შესაბამისი დისკურსისათვის უნდა მიეგნო, ან კვლავ შუასაუკუნეობრივი რიტორიკის იმიტირება უნდა მოეხდინა.

ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ყველა სხვა ფუნქციის გარდა, რომელსაც რელიგია ამა თუ იმ საზოგადოებაში ასრულებს, ტოტალიტარულ სამყაროში იგი ერთ დამატებით ფუნქციასაც იძენდა: იგი იყო ის სივრცე, სადაც შესაძლებელი იყო იდეოლოგიზებული სამყაროსაგან თავის დაღწევა და ალტერნატიულ ექსისტენციალურ გარემოში ცხოვრება. ამით იგი მომხიბვლელობას იძენდა არარელიგიური ადამიანებისთვისაც, რომლებიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, პირველ რიგში, იაზრებდნენ, როგორც ალტერნატიულ ექსისტენციალურ სივრცეს და, ამდენად, როგორც ხსნის სიმბოლოს. სწორედ რელიგიურ წრეებში ხმოვანდებოდა გულუბრყვილო მისტიკით გაჯერებული ის ისტორიოსოფული კონცეფციებიც, რომლებიც იზოლირებულ საზოგადოებაში ერთგვარ პარალელურ და არაფორმალურ სუბ-კულტურასა და ისტორიის გაგებას ედებოდა საფუძვლად. რა თქმა უნდა, ამგვარ კონცეფციათა სპორადულობასა და გულუბრყვილო მისტიციზმს დიდად განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ არსებული იდეოლოგიური აკრძალვების გამო ისინი ვერ იქცეოდნენ საჯარო სამეცნიერო დისკუსიის საგნად. გარდა ამისა, ისინი რიგითი ქართველის მიერ უფრო ხშირად გაიაზრებოდნენ, როგორც პოლიტიკური პროტესტის ფორმები, როგორც მისთვის ალტერნატიული ისტორიისა და, შესაბამისად, იმედის მიმცემი კონცეფციები, ვიდრე რელიგიური თუ ფილოსოფიური დოქტრინები და, ამდენად, ნებისმიერი კრიტიკული დამოკიდებულება მათ მიმართ ხშირად საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ დაკვეთად აღიქმებოდა.

ეს თეორიები ჩნდებოდა იმგვარ სოციალურ-კულტურულ გარემოში, სადაც ადამიანებს რამდენიმე თაობის განმავლობაში ალკვეთილი ჰქონდათ სერიოზული თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლების მიღებისა და რელიგიური ძიებების შესაძლებლობა და რომლის ინტელექტუალური ელიტაც თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული გასული საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების განმავლობაში; მისი ადგილი კი იდეოლოგიური ფუნქციის მატარებელმა, ბოლშევიკების მიერ პოლიტიკურად მართულმა „წითელმა პროფესურამ“ და „წითელმა ინტელიგენციამ“ დაიკავა.

საწინააღმდეგოდ მოლოდინისა, რომ საბჭოთა კავშირის კოლაფსი რელიგიურ მსოფლმხედველობას სწრაფად გაათავისუფლებდა თავდაცვის არქაული ფორმებისა და თვითკონსერვაციის აუცილებლობისაგან, ეს ასე არ მოხდა. კულტურულმა და ეგსისტენციალურმა შოკმა ბევრი ადამიანისათვის ეკლესიას შეუნარჩუნა ალტერნატიული ისტორიული და ესქატოლოგიური სივრცის ფუნქცია. მარქსისტული ისტორიული მეტაფიზიკისა და ესქატოლოგიისაგან თავის დაღწევის შემდეგ მართლმადიდებლობა უნდა მორგებოდა სეკულარიზებულ სამყაროს თავისი ლიბერალური ესქატოლოგიით. როგორც „პერესტროიკის“ შემდგომმა პირველივე წლებმა გვიჩვენა, ეს ამოცანა საკუთრივ რელიგიური ცხოვრებისათვის არანაკლებ რთული ამოცანა აღმოჩნდა, ვიდრე მარქსისტული წნეხის გაძლება. ახალ სიტუაციაში მართლმადიდებლობას ან უნდა ელიარებინა სეკულარული იდეოლოგიების პრიმატი და ლიბერალურ კონტექსტში მოეხდინა აკომოდირება, ან კვლავ ალტერნატიული ისტორიული სივრცის როლი შეესრულებინა. თუ ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში უფრო ხშირად ამ ორი ტენდენციის ნაზავს ვხვდებოდით, დღეისათვის არქაულ რიტორიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. ყველაფერ სხვასთან ერთად, რიტორიკის არქაულობა აღმოჩნდა ინსტიტუციონალიზირებული, რომლითაც მორწმუნეებს არსებულის ალტერნატიული ექსისტენციალური სივრცის არსებობა შეიძლება დაანახო.

მოკლედ თუ ვიტყვით, ახალ ისტორიულ გარემოებებში ტრადიციული რელიგიური ინსტიტუციები აღმოჩნდნენ საკუთარი

ცივილიზაციური კონტექსტის განსაზღვრის ამოცანის წინაშე. ეს ამოცანა თითქმის სრულიად უცნობი იყო და არის საქართველოს სივრცეში შემოსული ახალი რელიგიური მოძრაობებისათვის. ისინი მოდიოდნენ სწორედ იმ მსოფლმხედველობრივი გარემოდან, სადაც თითქმის დასრულებულია სეკულარიზაციის, ანუ როგორც ამას მირჩა ელიადე ამბობს, „სეკულარულის მიერ რელიგიურის ინკორპორირების“ პროცესი. თუ დასავლური რელიგიური ინსტიტუციებისათვის ეს პროცესი დროში გაჭიმულად და ბუნებრივად ხდებოდა, ქართული ტრადიციული რელიგიური ინსტიტუციები უცებ აღმოჩნდნენ სამყაროში, რომელიც, მართალია, განსხვავებით საბჭოთა ტოტალიტარიზმისაგან, უშვებდა მათ არსებობას, მაგრამ მათგან სხვა ნარატივის, კერძოდ სეკულარული ნარატივის ნაწილად ქცევას და საკუთარი უნივერსალობის დათმობას მოითხოვდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ვითარების მიმართ მწვავე რეაქცია არც პროტესტანტული სამყაროსათვისაა უცხო. მთელს თეოლოგიურ სპექტრში თამაშდება დრამა, რომლის შინაარსიც ბიბლიური ნარატივის სხვა ნარატივში განთავსების მცდელობაა — იმის ნაცვლად, რომ, პირიქით, სწორედ ბიბლიურ ნარატივში მოხდეს ყველა სხვის ინკორპორირება (როგორც ამას ამერიკელი პროტესტანტი თეოლოგი ჰანს ფრეი წერს (Frei 1974: 236).

ძალზე მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური ინსტიტუციები მათი მსოფლმხედველობების „მეორადი მოხმარების“ პროდუქტებად ქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამან კი შეიძლება აამუშავოს ის დესტრუქციული პოტენციალი, რომელიც, იურგენ ჰაბერმასის თანახმად, მონოთეისტურ რელიგიებში იმალება, როგორც ნებისმიერი განსხვავებული სააზროვნო ტრადიციის ექსკლუზივისტური უარყოფა და „განთავსების“ ალტერნატიული სივრცის ძიება.

ამის თვალსაჩინო ნიმუშია, ჩვენი აზრით, ერთი გარემოება: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიულ უარს ამბობს გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლაზე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არ გახლავთ მხოლოდ თეოლოგიური პრობლემა. მთავარი, ვფიქრობთ, აქ ის არის, რომ გადასვლა ამგ-

ვარ კონტექსტში კაპიტულაციის მნიშვნელობასა და საკუთარი ისტორიის დათმობად და „მეორადი მოხმარების“ პროდუქტად საკუთარი თავის გამოცხადებად გაიაზრება. ამით სასულიერო პირები უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ სეკულარულ ესქატოლოგიაში, აღიარონ მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის ფაქტი, რადგან ეს უკანასკნელი მათვის რელიგიური გონის (mind) დასასრულის თანაზომადია. არქიტექტურის ტრადიციული ფორმების მიმართ ზედმინვენითი ერთგულებით, არქაული რიტორიკითა და ალტერნატიული კალენდრით ისინი ცდილობენ დაიბრუნონ ის ოდესღაც არსებული ექსისტენციალური გარემო, რომელშიც მათი ფუნდამენტური კატეგორიები შეასრულებენ არა „მეორადი მოხმარების“ პროდუქტა, არამედ კონსტიტუციურ პრინციპთა მნიშვნელობას. მეტიც, ამგვარ ალტერნატივას ისინი მორწმუნეებს სთავაზობენ, როგორც უმთავრეს სოცეროლოგიურ პრინციპს.

შედეგად მივიღეთ მცდელობა, რომ ქართული მართლმადიდებელი გარემო იქცეს ერთგვარ ჰერმეტიულ, გლობალური რეალიზებისაგან განმდგარ გარემოდ. თუ გავითვალისწინებთ, თუ როგორ მნიშვნელობას შეიძლება ატარებდეს შრომა ამა თუ იმ საზოგადოების გლობალურ კონტექსტში აკომოდაციის საქმეში, იოლი გასაგები იქნება, თუ როგორი უარყოფითი როლის შესრულება შეეძლო (და შეუძლია) ამ პროცესს. საგანთა ზუნებრივი მდინარებიდან ამოვარდნის მცდელობამ სპონტანურად გააჩინა თვითიზოლაციის ფორმათა მთელი პანორამა – დაწყებული ე.წ. მართლმადიდებელი სოფლების შექმნის იდეით, სადაც ისტორიულად იზოლირებულ გარემოში უნდა ეცხოვრად მორწმუნეებს და დამთავრებული გლობალურ სასიცოცხლო გარემოში ჩართვის ისეთი გულუბრყვილო პროექტების შემოთავაზებით, როგორიცაა ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის პურისა და ღვინის წარმოებაზე დაყვანისაკენ მოწოდება. ყველა შემთხვევაში საუბარია არა მართლმადიდებელი რელიგიურობისათვის ადეკვატური სამეურნეო საქმიანობის ფორმებზე, არამედ, თუ თანამიმდევრულები ვიქნებით, იმგვარი ფორმების მოძიებაზე, რომლებიც მართლმადიდებელი სამყაროს გლობალური სამყაროს შემოტევისაგან დაცვას უზრუ-

ნველყოფს. სამეურნეო ფორმების ძიებათა კათოლიკური მცდელობებისაგან განსხვავებით, აქცენტი კეთდება სწორედ იზოლაციის მომენტზე და არა გლობალურ სასიცოცხლო სივრცეში იმგვარ ჩართვაზე, რომელიც უზრუნველყოფს ორ მომენტს: გლობალური სამეურნეო სამყაროს რელიგიური თვალსაზრისით გარდაქმნას და შრომის, როგორც ფენომენისათვის საკრალური შინაარსის დაბრუნებას.

კათოლიკურ სამყაროში უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება პირველი საკმაოდ წარმატებული მცდელობები იმისა, რომ შექმნილიყო გლობალური სამეურნეო სამყაროსა და რელიგიური ინტერესების შემათავსებელი სამეურნეო ფორმები. 1956 წელს ბასკეთის ქალაქ მონდრაგონში იწყება მოკრძალებული მასშტაბების სამეურნეო მოძრაობა, რომელიც საბოლოოდ კოოპერატივთა ფედერაციის სახეს იღებს, რომლის 256 კომპანიაშიც 2008 წლისათვის 100 000-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. კორპორაცია მოქმედებს ოთხი მიმართულებით: ფინანსები, მრეწველობა, საცალო ვაჭრობა და განათლება. შრომის სუვერენიტეტის პრინციპი, რომელიც, საბოლოოდ, სოლიდარობის ეკონომიკურ მოდელად ჩამოყალიბდა, კორპორაციის დამაარსებლის, კათოლიკე მღვდლის ხოსე მარია არიზმენდიარეტას აზრით, წარმოადგენს კათოლიციზმის სოციალური დოქტრინის ყველაზე ადეკვატურ ფორმას. დღესდღეობით, კორპორაცია ესპანეთის ყველაზე მსხვილი კორპორაციების შვიდეულში შედის რამდენიმე მილიარდიანი ბრუნვით და მონაწილეობს ისეთ პროექტებშიც კი, როგორიცაა ნასას პროექტები. თავად ქალაქი მონდრაგონი, რომელშიც 1941 წელს სულ 7000 ადამიანი ცხოვრობდა, ესპანური სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად იქცა.

ჩვენი აზრით, მთავარი მომენტი, რომელმაც რელიგიური და ეკონომიკური ინტერესების ამგვარი შერწყმა გახადა შესაძლებელი, იყო იმ იზოლაციონიზმისაგან გათავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იყო კათოლიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი. რელიგიური ექსკლუზივიზმის დაძლევა და რელიგიური ინკლუზივიზმის დოქტრინის მიღება, რაც საბოლოოდ ვატიკანის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე

გაფორმდა, ათავისუფლებდა ინტელექტუალურ ძალებს იმ გარემოების წინა პლანზე წამოწევით, რომ სამეურნეო საქმიანობა უკვე შეიძლებოდა განხილულიყო კათოლიკური მისიონერული მოღვაწეობის ფორმად, რომლის წყალობითაც ღვთის სიტყვის სამეურნეო ენაზე თარგმნა გახდებოდა შესაძლებელი. ხოლო კორპორაციის სამეურნეო წარმატება კათოლიციზმის მისიონერული პრაქტიკის წარმატების მნიშვნელოვან ნიშნად აღიქმება. დავაზუსტებთ, რომ „მისია“, ზოგადი თვალსაზრისით, არ ნიშნავს მხოლოდ ღვთის სიტყვის უშუალო ქადაგებას არარელიგიურ თუ ნაკლებად რელიგიურ გარემოში. იგი, ზოგადად, აღნიშნავს, აგრეთვე ღვთის სიტყვის ქმედითობის დადასტურებასაც ადამიანური მოღვაწეობის ყველა, მათ შორის, სამეურნეო სფეროშიც.

ქართულ (და რუსულ) მართლმადიდებელ სამყაროებში ამის ალტერნატივად ჯერჯერობით ჩანს მხოლოდ მართლმადიდებელი დასახლებების შექმნის მცდელობები, რომლებიც იზოლირებულია ისტორიული გარემოსაგან და სადაც ისტორიის სხვა რიტმი და სხვა მდინარეაა. ამის შესაბამისად ყალიბდება შრომისადმი დამოკიდებულების ფორმებიც. ეკლესიის გარეთ შრომა განიხილება ერთგვარ ნეიტრალურ ფენომენად, ხოლო მისი პროდუქტულობა მეორეხარისხოვანია და რელიგიური ცხოვრების მხოლოდ ერთგვარ ფუნდამენტს უნდა წარმოადგენდეს (რაც ჩანს კიდევ კვლევის შედეგად მიღებულ მასალებში). თავად ეკლესიის წიაღში კი შრომა სულიერი ღვაწლის მნიშვნელობას იძენს. შრომისადმი დამოკიდებულების ამ დუალიზმმა დიდწილად განსაზღვრა ისიც, რომ ახალმა ისტორიულმა გარემოებებმა მორწმუნე მართლმადიდებელთა თვალში ვერ პოვა თეოლოგიური გამართლება და ვერ შეიძინა ახალი მისიონერული ამოცანის მნიშვნელობა. სასიცოცხლო გარემოს მნიშვნელობა დავინროვებული იქნა და დღემდე გრძელდება მცდელობა, მისგან განიდევენოს ყველაფერი, რაც სხვა მსოფლმხედველობრივი კონტექსტიდან არის მოსული.

ამას ემატება ის გარემოებაც, რომ (როგორც ეს ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერტთა გამოკითხვიდანაც გამოჩნდა), განსხვავებით კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმისაგან, სიზარმაცე და პროფანული სამყაროსაგან გაუცხოება მართლმადიდებელ

ეკლესიაში თითქმის არასოდეს განიხილებოდა მძიმე ცოდვად. აქვე უნდა გაეიხსენოთ, რომ პროტესტანტულ ტრადიციაში, ლუთერის წყალობით, მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ სწორედ სიზარმაცე (და როგორც ამას შემდგომ იმანუელ კანტი და იოჰან გოტლიბ ფიხტე ამბობდნენ) „ადამიანის ბუნებრივი სიხისტეა“ ის ძალა, რომელიც ყველა შესაძლო ბოროტებას შობს.

90-იანი წლების დასაწყისში თავად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში და ეკლესიასთან დაკავშირებულ ინტელიგენტურ წრეებში გაჩნდა აზრი, რომ აუცილებელი იყო შემუშავებულიყო მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური დოქტრინა, სადაც აისახებოდა ეკლესიის დამოკიდებულება თანამედროვე რეალების მიმართ და რითაც „ისტორიული აკომოდაციის“ პროცესი რაციონალურ ელემენტს დაექვემდებარებოდა. სამწუხაროდ, ეს აზრი სასულიერო პორთა და მორწმუნეთა უმრავლესობის მხრიდან ვერ იქნა გაგებული და გააზრებული. ისინი არჩევდნენ, მიჰყოლოდნენ სოციალური პოლიტიკის ისტორიულ ტრადიციას, რაც რეალურ გარემოებებში უმეტესწილად გულუბრყვილო პრეტერიზმში, წარსულის ფორმების რეანიმირების მცდელობაში გამოიხატებოდა და დღემდე გამოიხატება. ამით კი რეალური ისტორიული გარემოდან გაუცხოება კიდევ უფრო ღრმავდება. ადრექრისტიანული სისადავის კულტი და ცხოვრებისადმი საქმიანი დამოკიდებულების მიმართ აგებული დამოკიდებულება იყო ის სოციალური იმპერატივები, რომლებიც ვრცელდებოდა როგორც „მართლმადიდებლური კონცეფცია“ და რომელიც ისტორიული რომანტიზმისა და გულუბრყვილო ქრისტიანული სოციალიზმის ერთგვარ უსისტემო ნაზავს წარმოადგენს.

ასეთია, მოკლე აღწერით, ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც წინამდებარე კვლევა ჩატარდა. ვფიქრობთ, ამგვარი კვლევების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. ისინი გვაძლევს საშუალებას, რომ ნათლად აღვიქვათ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული სიტუაცია, რათა სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის აუცილებელი სტრატეგიების შემუშავება გახდეს შესაძლებელი.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის ანალიტიკურ ანგარიშში შესწავლილია შრომის საზრისი სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის – ორთოდოქსულობა, პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი და ისლამი – კონტექსტში.

ანალიტიკურ ანგარიშში წარმოდგენილი ემპირიული მონაცემები მიღებულია თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე საქართველოს სოფლის (რურალურ) და ქალაქის (ურბანულ) თემებში. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩოა *შემთხვევის შესწავლა* (Case Study). ეს გულისხმობს შემდეგი სპეციფიკური მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას: ლიტერატურის ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

სტრუქტურულად, ძირითადი მიგნებები შეიძლება განხილულ იქნეს ორ ნაწილად: ა) რელიგიური მიმდინარეობების დოქტრინალური საფუძვლები შრომის ეთიკასთან მიმართებაში და ბ) რელიგიური თემების წევრთა პრაქტიკები, წარმოდგენები და დამოკიდებულებები შრომის ეთიკის და ეკონომიკური ქცევის კუთხით. პირველ შემთხვევაში, კვლევა დაეყრდნო ლიტერატურის მიმოხილვას და ექსპერტულ გამოკითხვას, ხოლო მეორე შემთხვევაში – ჯგუფურ დისკუსიებს და სიღრმისეულ ინტერვიუებს, ისევე როგორც ფაილ სორტინგის შედეგებს.

დოქტრინალური განსხვავებები შრომის ეთიკასთან მიმართებაში

როგორც არაერთი მკვლევარი (Ward 1996; Henry 1964) აღნიშნავს, შრომის ეთიკის ბიბლიური გაგება აღიარებს ადამიანური შრომის ინტეგრალურ როლს ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს წესრიგში. ბიბლიის თანახმად, ადამიანებისათვის შრომა ღვთისადმი სიყვარულის წარმოჩენის გზაა. შრომის მემკვიდრით ადა-

მიანი ავითარებს თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს და ამით პატივს მიაგებს ღმერთს. შრომის საშუალებით ადამიანი იმორჩილებს და გარდაქმნის ბუნებას და ამით იმეორებს (ეზიარება) ღმერთის ქმნადობის აქტს. ამასთან, თავიანთი შრომით, ღმერთისთვის მსახურების გარდა, ადამიანები ემსახურებიან ერთმანეთს. შრომა ადამიანისგან მოითხოვს ურთიერთობის დამყარებას სხვებთან, საშუალებას აძლევს გათავისუფლდეს ეგოცენტრიზმისგან.

ლიტერატურის მიმოხილვა, ასევე ექსპერტული გამოკითხვა აჩვენებს, რომ სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის მიერ განსხვავებულად ხდება შრომის ბიბლიური გაგების გადააზრება.

მართლმადიდებლურ ტრადიციაში მკვიდრდება განსხვავება/ოპოზიცია შრომასა და რელიგიურ (სულიერ) მოღვაწეობას შორის. შრომაში უპირატესად ყოფით ცხოვრებაზე ზრუნვა იგულისხმება, ხოლო სულიერ მოღვაწეობაში – ისეთი ასპექტები, როგორცაა ლოცვა, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა, მარხვა და სხვ. მართლმადიდებლობა შრომას განიხილავს როგორც მნიშვნელოვან მოვლენას სააქაო, ყოფით ცხოვრებასთან მიმართებაში. თუმცა, მისი პირდაპირი კავშირი სულის ცხოვნებასთან ნაკლებია. აქ შრომის ღირებულება მცირდება რელიგიურ პრაქტიკებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, სიზარმაცე მართლმადიდებლურ რელიგიაში განხილულია როგორც ცოდვა, თუმცა, არა -- მომაკვდინებელი; კათოლიციზმისგან ან პროტესტანტიზმისგან განსხვავებით, სიზარმაცე არ განიხილება როგორც სულის ცხოვნების ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი.

გამოკითხული ექსპერტების აზრით, მართლმადიდებლურ ტრადიციაში (მათ შორის, ქართულში) არ არის შემუშავებული სოციალური პოლიტიკის დოქტრინა. შესაბამისად, მრევლთან ინტერაქციისას სოციალური საკითხები, შრომასთან დამოკიდებულების ჩათვლით, ინდივიდუალური მოძღვრის შეხედულებების მიერ კონსტრუირდება. შეხედულებები ბიბლიური სწავლებიდან იღებს სათავეს, თუმცა ინდივიდუალურ მოძღვარს მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების საშუალებას უტოვებს. შესაბამისად, რთულია გამოიყოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი პარადიგმები მართლმადიდებლურ რელიგიაში.

მაქ ვებერიდან მოყოლებული, თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი (Ward 1996; Henry 1964; Oetes 1971; Furnham 1990) აჩვენებს, რომ შრომის პროტესტანტული ეთიკა სახეს უცვლის და შორდება შრომის ეთიკის ბიბლიურ გაგებას. ბიბლიური გაგება დაულალავ (hard) შრომას ღმერთისთვის მსახურების შესრულების საშუალებად მიიჩნევს. დაულალავი შრომა *თავისთავადი ღირებულების* მქონე არ არის, თუკი ის ღმერთისათვის პატივის მიგებას არ ემსახურება. შრომის პროტესტანტულ ეთიკაში კი დაულალავი შრომა *თვითმიზანს* წარმოადგენს. შრომის პროტესტანტული ეთიკის მიხედვით, ღმერთი დალოცავს ადამიანთა შრომას და ამის ტრანსფორმირება მოხდება ღვთის მადლად. ეს ადამიანებს უბიძგებს იმისკენ, რომ შრომის მეშვეობით იპოვონ ხსნა; მატერიალური წარმატება იქცევა რწმენის სიმბოლოდ.

არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებში, როგორცაა იეჰოვას მოწმეები, შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შრომა რელიგიური ცხოვრების ერთგვარი ნაწილია, რაც გავლენას ახდენს მათი რელიგიური ცხოვრების მართებულობაზე. თუ იეჰოვას მოწმე არ შრომობს, ეს ნეგატიურად აისახება მის მიერ რელიგიური ცხოვრების წესების დაცვაზე.

ისლამი შრომას და ლოცვას ერთ სიბრტყეზე განიხილავს. ორივე კომპონენტი მნიშვნელოვანია ცხოვრებისათვის. შრომა ერთგვარ ლოცვადაც კი ითვლება. ისლამი მოუწოდებს თავის მიმდევრებს, რომ იქცნენ შრომაში ჩართულ აქტორებად, რადგან ჭეშმარიტი რწმენა ისაა, რისი დემონსტრირებაც ხდება პატიოსანი შრომის მეშვეობით და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. აქედან გამომდინარე, ისლამი აყალიბებს სოციალური ცხოვრების პრაქტიკულ წესს და ცდილობს უშეღავათოდ ებრძოდეს იმ მანკიერებებს, რასაც უმუშევრობა, სიზარმაცე და სიღარიბე შობს. ისლამი მკაფიო ინსტრუქციას აძლევს ადამიანებს, ადრეული ასაკიდანვე იტვირთონ შრომითი პასუხისმგებლობა, ხოლო ხანდაზმულებს – არ ჩაიქნიონ ხელი და თავიანთი გამოცდილება და უნარები მოახმარონ საზოგადოებრივ სიკეთეს. ყურანის მიხედვით, ყოვლისშემძლე ღმერთი თითოეულ ადამიანს თავისი შრომის საზღაურს აძლევს.

რელიგიური თემების წევრთა პრაქტიკები შრომასთან მიმართებაში

ჯგუფურ დისკუსიასა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებში ჩართული ყველა ჯგუფისათვის (სხვადასხვა რელიგიური თემები და არამორწმუნეები) შრომა ცხოვრების მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს. კავშირი შრომასა და რწმენას (სულიერებას) შორის ყველა რელიგიურ თემში შეიმჩნევა, თუმცა – სხვადასხვა ხარისხით. განსხვავებულია შრომის ფენომენის დატვირთვა განსხვავებული რელიგიური თემების და არამორწმუნეების პრაქტიკებში. მორწმუნე თემებში რელიგიური დოქტრინები ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას რელიგიური პრაქტიკების კონსტრუირებაზე ახდენს, როგორცაა რიტუალებში მონაწილეობა, ლოცვა, მარხვა და სხვა. მართალია, სულიერება, რწმენა ძირითადად სულის ცხოვრების მიღწევის შესაძლებლობაა, თუმცა, ისინი გარკვეულ გავლენას ახდენს თემის წევრთა სოციალური (მათ შორის, შრომითი) ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, სოციალურ ცხოვრებაში ქცევითი პრაქტიკების სტრუქტურირებაზე, მიკრო სოციალური ქსელების ფორმირებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, იკვეთება, რომ რელიგია თემის წევრთა ცხოვრების წესის მაკონსტრუირებელი ერთ-ერთი ცვლადია და სხვა მიკრო და მაკრო სოციალურ ინსტიტუტები (სამსახური, ოჯახი, სკოლა, კულტურული ტრადიციები და სხვა.), ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თემის წევრთა სოციალურ ქცევაზე.

ზოგადად თუ ვიტყვით, უშუალოდ შრომის დროს მორწმუნეზე რელიგიური დოქტრინების გავლენა შემდეგი მიმართულებებით განისაზღვრება: რელიგიის გავლენა მორწმუნის ქცევაზე სამსახურში, გავლენა კრიზისული სიტუაციების მართვაზე, საქმის მიმართ მორწმუნის დამოკიდებულებაზე და სამსახურში რელიგიური რიტუალების შესრულებაზე.

მოპოვებული ემპირიული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებულ ძირითად რელიგიურ თემებში ჯაკალონესა და იურკევიჩის (Giacalone and Jurkiewicz 2010) მიერ გამოყოფილი, სულიერებისა და შრომის დამოკიდებულების

სამივე ტიპი (პარალელური, ინტეგრაციული, დაპირისპირებული) გვხვდება, თუმცა – საკმაოდ არათანაბრად:

ა) გაბატონებულ ტიპად უნდა ჩაითვალოს *პარალელური ურთიერთდამოკიდებულება*, რომლის დროსაც სულიერება და შრომა პრაქტიკულად არ განიხილება ერთ დისკურსში. ამაზე მეტყველებს როგორც „ფაილ სორტინგის“ შედეგები (რელიგია-სა და შრომასთან დაკავშირებული ცნებები ყველა შემთხვევაში სხვადასხვა კლასტერში მოხვდა), ისე ფოკუს ჯგუფების მასალები; ტრანსკრიპტების გაცნობა ცხადყოფს, რომ რესპონდენტებს უჭირდათ შეთავაზებულ თემაზე თავისუფალი საუბარი; ეს, სავარაუდოდ, უნდა აიხსნას იმით, რომ შრომისა და სულიერების ურთიერთდამოკიდებულება არ წარმოადგენს რეფლექსიის თუ დისკუსიის საგანს, თუნდაც ყოველდღიური საუბრების დონეზე.

ბ) გარკვეული გამონაკლისს წარმოადგენს ბაპტისტებისა და იეჰოვას მოწმეების ჯგუფები, სადაც შეიმჩნევა *ინტეგრაციული ურთიერთდამოკიდებულების* ნიშნები. არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებში (იეჰოვას მოწმეები, ბაპტისტები) რელიგიის გავლენა სოციალური მორალის ფორმირებაზე უფრო მნიშვნელოვანია და ამ თემის წევრთა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის კონსტრუირება სწორედ რელიგიური შეხედულებების მიხედვით ხდება.

გ) რაც შეეხება სულიერებასა და შრომას შორის *დაპირისპირებულ ურთიერთდამოკიდებულებას*, მისი კვალი (თუმცა, არცთუ ძლიერად გამოკვეთილი) შეიძლება დავინახოთ მართლმადიდებლების ჯგუფების მასალებში: რელიგიური რიტუალების შესრულებას უდავო პრიორიტეტი ენიჭება შრომით ვალდებულებებთან მიმართებაში.

„ფაილ სორტინგმა“ რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოავლინა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლების და, აგრეთვე, არამოწმუნეთა კოგნიტური რუკები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც საბუთია იმისა, რომ რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური წარმოდგენებისა და ღირებულებების სისტემის ფორმირებაზე; მეტიც, დომინანტური რელიგიის გავ-

ლენა არამორწმუნეებზეც ვრცელდება: ჩვენს კვლევაში მართლმადიდებელთა და მართლმადიდებლური კულტურის გარემოში ჩამოყალიბებული არამორწმუნეების კოგნიტური რუკები საკმაოდ მსგავსი აღმოჩნდა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, კვლევაში შემოტანილ იქნა ხუთი ფაქტორი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ რელიგიური ჯგუფები შრომის ეთიკასთან მიმართებაში. ეს ფაქტორები, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტები, გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში (Zulfikar 2012, Furnham 1990):

1. დაულალავი ('hard') შრომა და ამასთან დაკავშირებული წარმატება;
2. ფულისა და დროის დაზოგვა;
3. თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება;
4. კონტროლის ინტერნალური ლოკუსი;
5. შრომა როგორც მიზანი თავისთავად.

თითოეულ ფაქტორთან მიმართებაში, სხვადასხვა რელიგიურ თემებს შორის, ისევე როგორც მათსა და არამორწმუნეებს შორის, შემდეგი განსხვავებები ვლინდება:

1. დაულალავი შრომა და წარმატება. პრაქტიკულად ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელი, ისევე როგორც არამორწმუნეები, აღნიშნავენ, რომ „დაულალავი“ შრომა და „პატიოსანი“ შრომა თავინთი მნიშვნელობებით მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. თუმცა, ერთი მხრივ, მორწმუნე და არამორწმუნე ადამიანები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ: ა) არამორწმუნეების აზრით, მძიმე (და პატიოსანი) შრომა არ არის წარმატების სანინდარი, არამედ ამისათვის საჭიროა დამატებითი სოციალური ფაქტორები (გავლენიანი ნაცნობები, განათლება, მეგვიდრეობა და სხვ. ბ) მორწმუნეებისათვის წარმატების მისაღწევად, შრომასთან ერთად, აუცილებელია ღმერთის რწმენაც. მეორე მხრივ, რელიგიური თემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, რამდენად „ერთვება“ ღმერთი წარმატების მიღწევაში, ანუ რა პროპორციით ნაწილდება შრომისა

და ღმერთის „მონაწილეობა“ წარმატების უზრუნველსაყოფად: ა) ყველაზე რადიკალური პოზიცია აქვთ *მუსლიმთა თემის* წარმომადგენლებს: წარმატებას ისინი არსებითად ღმერთის წყალობას მიაწერენ და შრომა მხოლოდ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც ის ღმერთის „კარნახით“ ხორციელდება და ყურანის სწავლებას მისდევს; ბ) *მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა* ჯგუფებში, მართალია, სჯერათ, რომ „წარმატების გასაღები ღმერთის მორჩილებაშია“, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ადამიანს შეუძლია აირჩიოს რწმენის გარეშე ცხოვრება და ეს მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საქმეა. მეორე მხრივ, არამორწმუნე ადამიანი ვერასოდეს დაკმაყოფილება მიღწეულით, წარმატების ზღვარი მისთვის უკონტროლო გახდება, რამაც ადამიანს შეიძლება მძიმე ცოდვებიც კი ჩაადენინოს; გ) *პროტესტანტების* ჯგუფში შრომის წილი წარმატების მიღწევაში დიდია; რწმენის სიძლიერე არ არის წარმატების გარანტია – მორწმუნე ადამიანი შეიძლება წარუმატებელიც იყოს, თუ დაკარგავს შრომის და სირთულეებთან (დაბრკოლებებთან) ბრძოლის სურვილს. დ) იეჰოვას მონმეთა ჯგუფი წარმატებას ადამიანის ცხოვრებისთვის მეორად მნიშვნელობას ანიჭებს. მათი აზრით, წარმატებამ შესაძლოა „ახალ ცხოვრებაში“ დაბრუნებასაც შეუშალოს ხელი;

ამასთან, პატიოსანი შრომა მნიშვნელოვანი ცვლადია ყველა რელიგიური თემის წევრთათვის. პატიოსან შრომას კავშირი აქვს რელიგიურ ეთიკასთან და სულის ცხონების განმაპირობებელი ერთ-ერთი მახასიათებელია.

2. *ფულისა და დროის დაზოგვა*. არც ერთი რელიგიური ფოკუს ჯგუფი არ იწონებს აზარტულ თამაშების გზით ფულის შოვნის შესაძლებლობას. თუმცა, მართლმადიდებელთა ჯგუფი ყველაზე რეზისტენტულია აზარტული თამაშების მიმართ (ამ გზით ნაშოვნი ფული არ შეიძლება კეთილი საქმეებს მოხმარდეს); ბაპტისტები საუბრობენ უშრომლად ნაშოვნი ფულის გარკვეულად დახარჯვის მიზაშენიშნობაზე – ისინი არ გამორიცხავენ, რომ, მაგალითად, კაზინოში მოგებული ფული შეიძლება „გაკეთილშობილდეს“ (მოხმარდეს გაჭირვებულებს, ეკლესიის აშენებას და

სხვ.). აღსანიშნავია, რომ ბაპტისტებმა და იეჰოვას მოწმეებმა, მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, ხაზი გაუსვეს, რომ მათი რელიგია ასწავლით დროის დაგეგმვას.

3. *თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.* მორწმუნეებისა და არამორწმუნეების ფოკუს ჯგუფებს აერთიანებთ თავისუფალი დროის უარყოფითი გაგების ის კონტექსტი, როდესაც თავისუფალი დრო გაგებულია როგორც დროის უქმად ხარჯვა. ამ აზრით, თავისუფალი დრო უპირისპირდება შრომას. დროის უქმად ხარჯვა იგივეა, რაც სიზარმაცე, რომლის დაძლევის სტრატეგიაა იმ შეგრძნების გამომუშავება, რომ დრო ძალიან სწრაფად გადის და ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, რათა ბევრი რამის გაკეთება მოვასწროთ. ის, რაც მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს, აგრეთვე, სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ჯგუფებს ერთმანეთისაგან განასხვავებთ, არის ის, თუ რა ჩაითვლება სასარგებლო საქმედ თავისუფალი დროის ფარგლებში: ა) მორწმუნეები იზიარებენ იმას, რომ სასარგებლო საქმე, უპირველეს ყოვლისა, ღმერთთან სიახლოვეშია. ამიტომ, ისეთი საქმიანობები, როგორიცაა, მაგალითად, ლოცვა, რელიგიურ მსახურებაზე დასწრება და ა.შ. სასარგებლო და საკრალურ შრომად ჩაითვლება თავისუფალ დროს. არამორწმუნეებში აქცენტი გადატანილია პროფანულ საქმიანობებზე თავისუფალი დროის შესავსებად, რასაც უშუალო კავშირი ღმერთთან არა აქვს და უფრო მეტად ყოველდღიურ აქტივობებს უკავშირდება; ბ) მეორე მხრივ, რელიგიურ თემებში გაზიარებულია მოსაზრება, რომ თავისუფალი დროის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს რეკრეაციული საქმიანობები (სპორტი, სეირნობა, თამაშები, წვეულებები და ა.შ.). თუმცა, ასეთმა საქმიანობებმა არ უნდა დაკარგოს კავშირი სულიერებასთან (მაგ., მართლმადიდებლები უარყოფენ კიქბოქსინგით გატაცებას, მუსლიმები – კაზინოში თამაშს და სხვ.); გ) მართლმადიდებელთა ჯგუფში რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას შრომის უნივერსალურ ლეგიტიმურ პრაქტიკად მიიჩნევენ (ის ადამიანი, ვინც მხოლოდ რელიგიური რიტუალების შესრულებით არის დაკავებული, მისაღებია). არამართლმადიდე-

ბლური რელიგიური ჯგუფები რელიგიური რიტუალების შესრულებას თავისუფალი დროისთვის რელევანტურ შრომად თვლიან, თუმცა, არ მოსწონთ, თუ ვინმესთვის (რელიგიური პირების გარდა) ეს ერთადერთი (ან, ძირითადი) საქმიანობა იქნება.

4. *კონტროლის ინტერნალური ლოკუსი.* მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა თემებში გამოიკვეთა პოზიცია, რომ ადამიანს შეუძლია საკუთარი ცხოვრების მართვა და ის ბედისწერის ტყვე არ არის. „საკუთარი ცხოვრების მართვაში“ კი შრომის ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. შრომით და პიროვნული ძალისხმევით ადამიანს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი მომავალი და შეცვალოს საკუთარი ცხოვრება. ეს კონტროლის ინტერნალურ ლოკუსის არსებობაზე მიუთითებს. თუმცა, მეორე მხრივ, მართლმადიდებელთა ჯგუფში შემოდის კონტროლის ექსტერნალური ლოკუსის ალტერნატიული ნაკადიც, რამდენადაც ეს ჯგუფი იზიარებს „იღბლის“, „გამართლების“ ფაქტორის მნიშვნელობას. იღბალია ის, როცა „საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდები.“ იღბალზე აქცენტირება ნიშნავს ირაციონალურის, შემთხვევითობის შემოტანას ცხოვრების ნაკადში, რაც არ შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანის მიერ.

ექსტერნალური ლოკუსი კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა მუსლიმთა ჯგუფში: ისინი აღიარებენ ბედისწერის არსებობას და იმას, რომ „ალაჰმა ყველაფერი იცის“; ალაჰი განაპირობებს იმას, თუ რისი მიღწევა შეუძლია ადამიანს, ანუ წინდანინვე განსაზღვრავს ადამიანის უნარ-ჩვევებს და მათი გამოყენების შანსებს, რომელთა შეცვლა ადამიანს არ შეუძლია.

5. *შრომა როგორც მიზანი თავისთავად.* სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევართა წარმოდგენები თანხვედბა იმასთან მიმართებაში, რომ ა) შრომა ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა; ბ) შრომა და შრომის ფორმები გავლენას ახდენს ადამიანის როგორც სააქაო, ასევე გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებაზე; გ) შრომა არის პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მიკრო სოციალურ ჯგუფის (ოჯახი, სანათესაო,

თემი), არამედ, ასევე, უფრო ფართო გაგებით, ქვეყნის და კაცობრიობის წინაშე.

რელიგიურ თემებს შორის განსხვავება ვლინდება *სულის ცხოვნებისათვის* შრომის მნიშვნელოვნების გაგებაში. მართლმადიდებელი და კათოლიკე ჯგუფების წარმომადგენელთა აზრით, შრომის დროს ადამიანი დაკავებულია და მას არ აქვს საშუალება ცოდვა ჩაიდინოს. ამრიგად, შრომა თავდაცვის ინსტრუმენტი, რომელიც სულის ცხოვნებაში (გადარჩენაში) გვეხმარება. მეორე მხრივ, მართლმადიდებელთა ჯგუფში აღიარებულია „სულიერი შრომის“ უპირატესობა სხვა სახის შრომასთან მიმართებაში). განდევნილობა/ბერობა – სააქაო ცხოვრებაში მოღვაწეობის მაქსიმუმია და ყველა სხვა შრომაზე მაღლა დგას. მუსლიმების პოზიცია განსხვავებულია: შრომას ისეთივე ღირებულება აქვს სულის გადარჩენისათვის, როგორც ლოცვას და სხვა რელიგიურ რიტუალებს. შრომის გარეშე ცხოვრება ისეთივე ცოდვაა, როგორც ლოცვაზე უარის თქმა. იეჰოვას თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი მოღვაწეობა თანაბრადაა განანილებული პროფანულ შრომასა და ბიბლიის ქადაგებას/განმარტებებს შორის.

საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალობაში რელიგიური თემების ემპირიული *იდეალური ტიპი* (ვებერისეული, ანუ სოციოლოგიური გაგებით) შრომის ეთიკასთან მიმართებაში შემდეგნაირად ყალიბდება:

მართლმადიდებლური თემისთვის შრომის ყველაზე ლეგიტიმური ტიპია სულიერი მოღვაწეობა, რაც რელიგიურ რიტუალებში ჩართვას გულისხმობს. საერო (პროფანული) შრომა, თანაც დაუღალავი და პატიოსანი, ამქვეყნიური წარმატების საწინდარია, თუმცა სააქაო ცხოვრების მაქსიმუმი მაინც რელიგიური მოღვაწეობაა (მაგ., ბერობა). შრომა ადამიანს ცოდვების ჩადენისგან იცავს და, ამდენად, ამზადებს მას საიქიო ცხოვრებისთვის (ცხოვნებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს შეუძლია შრომით განსაზღვროს თავისი სოციალური მომავალი, იღბალს (გამართლებას) ადამიანის ცხოვრებაში თავისი გავლენა აქვს. დროის და ფულის ფლანგვა ცუდია. თავისუფალი დრო, თუ ის უქმად ყოფნას გულისხმობს, არ არის მხარდაჭერილი. თუმცა, მისი

შევსება ცოდვილი საქმეებით არ უნდა მოხდეს; საქმიანობათა რანჟირებულ რიგში პრიორიტეტი კვლავ რელიგიურ აქტივობებს (მაგ., ლოცვას) ეძლევა.

აღნიშნული იდეალური ტიპიდან ყველაზე ნაკლებად „გადახრილი“ *კათოლიკეთა* თემია. შრომასთან დაკავშირებული განწყობები და ატიტუდები პრაქტიკულად უნაშთოდ ემთხვევა მართლმადიდებლებთან აღწერილ სურათს.

რაც შეეხება სხვა რელიგიური თემებს, ისინი შემდეგნაირად არიან „გადახრილი“ მართლმადიდებელთა ემპირიული იდეალურ ტიპიდან:

მუსლიმურ თემში, მართლმადიდებლებთან შედარებით, ძლიერდება ორი მომენტი: ა) ღმერთის წყალობის („მონანილეობის“) როლი შრომის გზით წარმატების მიღწევაში და ბ) საერო (პროფანული) შრომის ღირებულება და სულიერ/რელიგიურ მოღვაწეობასთან მისი გათანაბრება (თუმცა, მოითხოვება საერო შრომის პროცესში ერთგულება ყურანის პრინციპებისადმი).

ბაპტისტების თემში, მართლმადიდებლებთან შედარებით, უფრო მეტადაა აღიარებული შრომის „თავისთავადი“ ღირებულება, ანუ, – შრომა როგორც თვითმიზანი. როგორც ამქვეყნიური წარმატების, ისე სულის ხსნის გარანტია რწმენის სიძლიერე არ არის, აუცილებელია ერთგულება დაულალავი შრომის მიმართ.

იეჰოვას მონმეები დაბალანსებული შრომის ეთიკის მომხრეები არიან, ისინი მოითხოვენ წონასწორობის დაცვას დაულალავ შრომასა (რომელსაც მატერიალური წარმატება მოაქვს) და არამატერიალურ სიკეთეებს შორის (სულიერება, ოჯახი, ჯანმრთელობა და ა. შ.). სულიერი შრომის ფარგლებში ლოცვა და ქადაგება წარმმართველია. რაც შეეხება ამქვეყნიურ ყოფაზე ზრუნვას, ის ფიზიკურ და გონებრივ შრომას აერთიანებს, თუმცა, იეჰოვას მონმეები ფიზიკურ შრომას გონებრივ შრომაზე წინ აყენებენ, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვნად კი შრომისმოყვარეობას მიიჩნევენ. ფული და კარიერა ამ რელიგიის მიმდევრებისათვის ამქვეყნიური საცდუნებელია და, შესაბამისად, ნეგატიური კონოტაციის მქონე. სიზარმაცე, სხვა ჯგუფების მსგავსად, მიუღებელია, რადგან უპირისპირდება შრომას, რომელიც უფლის ძღვენია და ერთადერთი გზა, იყო ღმერთისთვის მოსაწონი.

კვლევის მეთოდოლოგია

პროექტის მიზანი იყო მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ (კერძოდ, კათოლიკე და პროტესტანტ) ქრისტიანთა, ასევე, მუსლიმთა რელიგიურ ღირებულებებს, მათი შრომის ეთიკასა და ეკონომიკურ ქცევას შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

შრომის ეთიკის კვლევა აქტუალური ხდება ე.წ. პოსტკომუნისტურ სამყაროში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ამ ქვეყნებში დაიწყო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად, რის გამოც მოვლენების განვითარების ამ სცენარს ხშირად „პოლიტიკურ კაპიტალიზმს“ უწოდებენ. ამ ვითარებაში შეიძლება დაისვას შეკითხვა: ფაქტორების ის სპეციფიკური კომბინაცია, რომელიც დახვდა „იმპორტირებულ კაპიტალიზმს“ ადგილებზე და რომლის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული „ეკონომიკური მენტალიტეტი“ და შრომის ეთიკა, რამდენად „კონგრუენტული“ შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური ურთიერთობების იმ ახალი ტიპისთვის, რომელიც ინერგება ე. წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში?

ეკონომიკური ცნობიერების მაკონსტიტუირებელი ფაქტორების კომბინაცია საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. კვლევებით დასტურდება, რომ მართლმადიდებლობის, როგორც კულტურული იდენტიფიკაციის ფაქტორის როლი, საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია. გამოკითხულთა 80%-ზე მეტი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ რელიგიურობა (კერძოდ, მართლმადიდებლობასთან იდენტიფიკაცია) გავლენიანი მოდერატორი ცვლადია შრომისადმი დამო-

კიდებულების ფორმირების პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანია გაირკვეს საქართველოში ალტერნატიული რელიგიურობის (კერძოდ, კათოლიციზმის, პროტესტანტიზმისა და ისლამის) შრომისადმი დამოკიდებულების ფუნქციური თუ დისფუნქციური მნიშვნელობები. ეს შესაძლებელს გახდის ჩატარდეს შედარებითი ანალიზი.

ამ ვითარებაში აქტუალურია შემდეგი საკითხების კვლევა:

- ✓ არსებობს თუ არა მართლმადიდებლური ეკლესიის შიგნით მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის მისაღები ეკონომიკური ქცევის მოდელის ექსპლიციტური დოქტრინის ფორმულირების მცდელობები?
- ✓ შესაბამისად, ქმნის თუ არა სხვა რელიგიური ინსტიტუტები ეკონომიკური ქცევის ალტერნატიულ მოდელს და, თუ ქმნის, რამდენად ადაპტაციურია ის ქართული სოციალისთვის, ანუ, ხომ არ იქცევა ეს მოდელი სოციალური დაძაბულობის წყაროდ თუნდაც ცალკეულ რეგიონებში/თემებში?
- ✓ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტების ღირებულებები მორწმუნეთა რეალურ ეკონომიკურ ქცევაზე, განსაკუთრებით კი შრომისადმი დამოკიდებულებაზე?
- ✓ არსებობს თუ არა კონფლიქტი, თუ, პირიქით, თანხმობა (თუნდაც, ლატენტური) საერო (პროფანულ) და საკრალურ ღირებულებებს შორის სწორედ შრომისადმი დამოკიდებულების (ზოგადად, ეკონომიკური ქცევის) კონტექსტში?
- ✓ განსხვავდება თუ არა შრომისადმი დამოკიდებულების ასპექტში რურალური და ურბანული თემების მორწმუნეთა ატიტუდები და განწყობები?

წარმოდგენილი პროექტი განხორციელდა *თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის* გზით. სოციოლოგიური კვლევა განხორციელდება *შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდოლოგიური მიდგომის* ფარგლებში. ეს მიდგომა შემდეგი კონკრეტული მეთოდ-

დების კომბინირებულ გამოყენებას გულისხმობს: ლიტერატურის ანალიზი, ექსპერტული გამოკითხვა, ფოკუსჯგუფები და ჩალრმავებული ინტერვიუები.

კვლევა ჩატარდა საქართველოს რეგიონების რურალურ და ურბანულ თემებში და მოიცვა შემდეგი ეტაპები:

პირველი ეტაპი: ექსპერტული გამოკითხვა და მეორადი მონაცემების ანალიზი. კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა შრომის ეთიკის და ეკონომიკური ქცევის შესახებ საქართველოს მართლმადიდებლური და სხვა ქრისტიანული რელიგიების, აგრეთვე, მუსლიმთა დოქტრინალური პრინციპების დადგენა.

ეს ამოცანა განხორციელდა შემდეგი გზით:

1. ექსპერტული ინტერვიუების ჩატარება. ექსპერტებად მონვეულ იქნენ თეოლოგები, რელიგიათმცოდნეები, სოციოლოგები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, სასულიერო პირები და სხვა. სულ გამოიკითხა 25 ექსპერტი.¹
2. მეორადი მონაცემების ანალიზი, რომელმაც მოიცვა:
 - გამოქვეყნებული მასალები/ლიტერატურა
 - უკვე განხორციელებული კვლევები
 - ქართული მართლმადიდებლური და არამართლმადიდებლური ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული მასალები და დოკუმენტები (ეპისტოლეები, ქადაგებები, მედიაში გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები და სხვა).

მეორე ეტაპი: საკვლევი თემატიკის ინდიკატორების განსაზღვრა (კვლევის ინსტრუმენტების დიზაინი.. პროექტის მეორე ეტაპზე განისაზღვრა ის კოგნიტური კონსტრუქტები და მათი ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ურბა-

¹ გამოკითხული ექსპერტების სია მოცემულია დანართში №2.

ნული და რურალური თემების დამოკიდებულებას ეკონომიკური ქცევის და შრომის მიმართ.

ეკონომიკურ სამყაროსთან დაკავშირებული კოგნიტური კონსტრუქტების იდენტიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა ის განზომილებები, რომლებიც უკვე შემუშავებულია ეკონომიკური სოციოლოგიისა და ქცევითი ეკონომიკის ფარგლებში. ეკონომიკური რწმენებისა და ეკონომიკური ქცევის ანალიზი ემყარება ბაზისური ცვლადების ერთობლიობას, რომელთა წყაროს, სხვა კულტურულ ღირებულებებთან ერთად, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში რელიგიური ღირებულებებიც წარმოადგენდეს. ეს ცვლადებია:

1. დროის პერსპექტივა და დაკმაყოფილების „გადადების“ უნარი. დროის ხანგრძლივი პერსპექტივა დაკავშირებულია მომავალზე ორიენტაციასთან, ცხოვრების და ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიან დაგეგმვასთან და არაკონტროლირებადი იმპულსურობის დაბალ ხარისხთან.
2. მიღწევის მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინდივიდის მოტივაციას, მიაღწიოს სოციალური სტანდარტის (მუშაობის, ცხოვრების) მაღალ დონეს საკუთარი ძალისხმევითა და შრომის სტანდარტის ყოველდღიური გაუმჯობესების გზით.
3. კონტროლის ლოკუსი, სამართლიანი სამყარო და მასთან დაკავშირებული რწმენები. კონტროლის ლოკუსი განისაზღვრება როგორც პიროვნების ზოგადი მოლოდინები იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მას საკუთარი ძალისხმევით აკონტროლოს საკუთარი ცხოვრება. კონტროლის ლოკუსთან დაკავშირებულია პიროვნების რწმენა იმის შესახებ, სამართლიანადაა თუ არა მონყობილი სამყარო.

პროექტის პირველ და მეორე ეტაპებზე განხორციელებული სამუშაოების შედეგს წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩალრმავებული ინტერვიუების მეთოდით საკვლევო თემატიკის ზუსტი იდენტიფიკაცია. კერძოდ, მომზადდა თვისებრივი კვლე-

ვის ინსტუმენტები: გზამკვლევები — ფოკუსჯგუფებისთვის და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარები — ჩალრმავებული ინტერვიუებისთვის.

გზამკვლევებმა და ნახევრად სტრუქტურირებულმა კითხვარებმა დაფარა შემდეგი საკითხები, რომლებიც გამოყოფს თითოეული რელიგიური თემის სპეციფიკას:

- შრომის ობიექტური და სუბიექტური საზრისის გაგება
- კავშირი რელიგიურობასა და შრომას შორის: შრომა და ხსნა
- შრომისა და რწმენის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში
- რწმენის მნიშვნელობა შრომით საქმიანობაში
- შრომის მიზანი; გასაკიცხი შრომა
- ლოცვა როგორც შრომის ნაირსახეობა
- სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა ინტერაქციები
- დაულალავი შრომა და მასთან დაკავშირებული წარმატება
- ბედისწერის გაგება
- დამოკიდებულება თავისუფალი დროის მიმართ
- დამოკიდებულება დროისა და ფულის უყარათო ხარჯვასთან
- შრომა როგორც მიზანი თავისთავად

და ა. შ.

მესამე ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები ფოკუს ჯგუფებისა და ჩალრმავებული ინტერვიუების ჩასატარებლად. პროექტის განხორციელების ამ ეტაპზე შეირჩა კონკრეტული რეგიონები და თემები ფოკუს ჯგუფებისა და ჩალრმავებული ინტერვიუების განსახორციელებლად. რეგიონებისა და თემების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორი: ეკონომიკური საქმიანობის ტიპი; ის კულტურულ-ტრადიციული გარემო, რომელსაც თემი წარმოადგენს; სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტების აქტივობის ხარისხი თემში და ა. შ.

კვლევამ დაფარა შემდეგი რეგიონები და თემები:

- ✓ თბილისი (მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და პროტესტანტთა თემები)
- ✓ აჭარა (მართლმადიდებელთა და მუსლიმთა თემები)
- ✓ სამცხე-ჯავახეთი (მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა თემები)
- ✓ იმერეთი (მართლმადიდებელთა და პროტესტანტთა თემები)
- ✓ შიდა ქართლი (იეჰოვას მოწმეთა თემი)

პროექტის ამ ეტაპზე განისაზღვრა, აგრეთვე, ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტთა შემადგენლობა და განხორციელდა მათი რეკრუტირება. ფოკუს ჯგუფების, ისევე როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტთა შერჩევასა მოხდა ისეთი სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა რესპონდენტის რელიგიურობის დონე, სქესი, ასაკი, შემოსავალი და ა. შ.

ამ პარამეტრებით განსხვავებული რესპონდენტების შრომის ეტიკისა და ეკონომიკური ღირებულებების შედარებითა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა რელიგიურობის, როგორც ეკონომიკური სამყაროს მიმართ დამოკიდებულების, ფაქტორის მნიშვნელობა.

მეოთხე ეტაპი: სავლელე სამუშაოების ჩატარება – ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები. პროექტის მეოთხე ეტაპზე ჩატარდა 15 ფოკუს ჯგუფი² და 15 ჩაღრმავებული ინტერვიუ. შერჩეულ რეგიონებსა და თემებში.

თითოეული ფოკუს ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე 8-დან 10 რესპონდენტამდე; ჯგუფური დისკუსია გრძელდებოდა საშუალოდ 1.5 საათი, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუ – საშუალოდ 1 საათი.

² ფოკუს ჯგუფების სია განსხვავებული თემებისა და რეგიონების მიუთითებით მოცემულია *დანართში №3*.

ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუებისათვის რესპონდენტთა შერჩევის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენდა: ა) რელიგიურ პრაქტიკებში მონაწილეობა; ბ) საკუთარი თავის იდენტიფიცირება მორწმუნედ ან არამორწმუნედ. ამა თუ იმ კონფესიის რესპონდენტთა განაწილება ჯგუფებში და ინტერვიუებში მოხდა შერეული პრინციპით.

მონაწილეთა რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი იყო რამდენიმე სუპერვაიზორი, რომელთა დატრენინგება მოხდა შერჩევის კრიტერიუმების და რეკრუტირების სპეციფიკის გათვალისწინებით. შემუშავდა ე. წ. „სკრინერი“ კვლევაში მონაწილეობის კრიტერიუმების საფუძველზე. „სკრინერის“ მეშვეობით ხდებოდა კვლევისთვის ადეკვატური რესპონდენტების შერჩევა. მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები არ იცნობდნენ ერთმანეთს და არ არიან ერთი და იმავე პირველადი ჯგუფის წევრები. ამან ხელი შეუწყო რესპონდენტთა გახსნილობას დისკუსიაში და ინტერვიუში მონაწილეობის პროცესში. რესპონდენტთა რეკრუტირება მოხდა მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე.

მეხუთე ეტაპი: ფოკუს ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. ამ ეტაპზე განხორციელდა მოპოვებული ემპირიული მასალის გაანალიზება.

ჯგუფური დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩაინერა აუდიო და ვიდეო ფორზე. შედგა ჩანერილი მასალის ტრანსკრიპტი, რომელმაც ასახა ვერბალური კომუნიკაციის ყველა თავისებურება. შემდეგ განხორციელდა საკუთრივ ტრანსკრიპტების („ნედლი“ მასალის) ანალიზი შემდეგი საფეხურების გავლით:

1. მონაცემების დაჯგუფება
2. ინფორმაციის კატეგორიზება
3. ცოდნის (მიგნებების) იდენტიფიკაცია
4. თეორიული სქემების მიყენება
5. ემპირიული „იდეალური ტიპების“ აგება

თავდაპირველად მოხდა განსახილველ თემებზე რესპონდენტთა პასუხების დაჯგუფება. შემდეგ განხორციელდა ინფორმაციის კატეგორიზაცია, ანუ მოხდა მსგავსი პასუხების გაერთიანება ერთი სახელის (კატეგორიის) ქვეშ. მომდევნო საფეხურზე პასუხი გაეცა შეკითხვას, თუ როგორ პასუხობს კვლევის ამოცანებს მიღებული ინფორმაცია, ანუ რა პოზიტიური ცოდნა და მიგნებები დაგროვდა. შემდეგ მოხდა ცნობილი თეორიული სქემების და მეორადი მონაცემების ინტეგრაცია კვლევის შედეგებთან. ანალიზის ბოლო საფეხურზე განისაზღვრა შრომასთან დამოკიდებულების იდეალური ტიპები (გებერიანული აზრით) სხვადასხვა კონფესიათა თემებში.

მეექვსე ეტაპი: „ფაილ სორტინგი“ და რანჟირება. კვლევის ერთ-ერთი კომპონენტად გამოყენებული იყო სოციალურ ანთროპოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ე. წ. „ფაილ სორტინგისა“ („დასტების დახარისხება“) და რანჟირების მეთოდები. მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ ამ მეთოდებით არ ხდება პირდაპირი პასუხების მიღება ჩვენთვის სასურველ კითხვებზე; ეს მეთოდები არის გარკვეული პროექციული ტექნიკა, რომელსაც მიყვავართ შესასწავლი ჯგუფების კულტურული თავისებურებების გამოვლენამდე. კვლევაში ჩაერთვნენ თვისებრივი ფოკუს ჯგუფებში მონაწილე პირები. ანთროპოლოგიურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 109 რესპონდენტმა. ანთროპოლოგიური კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოცემულ კვლევებში მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის სიღრმეს და არა ინფორმანტთა რაოდენობას. შესაბამისად, მოცემული მონაცემები ვალიდურ სურათს გვაძლევს კვლევაში მონაწილე ჯგუფების თავისებურებებზე.

მეშვიდე ეტაპი: საბოლოო ანალიტიკური ანგარიშის შედგენა. საბოლოო ანგარიშში განხორციელდა კვლევის დროს გამოყენებული ყველა მეთოდით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია. საბოლოო ანალიტიკური ანგარიში მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ამ თავში მიმოხილულია რელიგიასა და შრომის ეთიკას შორის მიმართების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ჩატარებული კვლევები. ამ ანალიზმა უნდა აჩვენოს, რა ინტერპრეტაციები განიცადა მაქს ვებერის თეზისმა იმის შესახებ, რომ რელიგიური აღმსარებლობა განსაზღვრავს ეკონომიკური ქცევის მოდელებს. ლიტერატურის მიმოხილვა შესაძლებლობას იძლევა, რომ წარმოჩინდეს აღნიშნული პრობლემის დამუშავების თანამედროვე დონე სოციალური მეცნიერებების კონტექსტში. ეს ნიშნავს, რომ მიმოხილვის არეში მოექცა ის ლიტერატურა, რომელიც თეოლოგიურ ან ფილოსოფიურ სპეკულაციებს კი არ ეწევა, არამედ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს.¹

1.1. ძირითადი თეორიული ფონი: მაქს ვებერის ბამონჯევა

თავის შრომაში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (Weber 1905/2010) მაქს ვებერმა ერთ-ერთმა პირველმა დაადგინა კავშირი რელიგიასა და ბაზარს, განსაზღვრულ რელიგიურ სწავლებასა და ეკონომიკურ ქცევას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეზისი არაერთხელ გააკრიტიკეს, ის ჯერ კიდევ არ მოძველებულია. ვებერის დაკვირვებით, იმ რეგიონებს და

¹ მიმოხილული ლიტერატურის ჩამონათვალი იხილეთ დანართში №1.

ქვეყნებს, რომლებმაც გაიზიარეს პროტესტანტული სწავლება, ბიზნესის და კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა. მეტიც: ვებერი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკურ საქმიანობებში და სტრუქტურებში ჩართვის განწყობები და მოტივაციები ფორმირდა და განახლდა რელიგიური იდეების, თეოლოგიური ეთოსის მიერ.

ვებერი შეეცადა შრომის პროტესტანტული ეთიკის ცნების გამოყენებით აეხსნა კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების ლოგიკა. კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების შრომისადმი დამოკიდებულება იყო. მიუხედავად იმისა, რომ შრომისადმი ადამიანთა დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობდა, ვებერს მიაჩნდა, რომ ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი პროტესტანტიზმი იყო. ოიტისი ასე ახასიათებს შრომის პროტესტანტული ეთიკას: *„უნივერსალური ტაბუ სიზარმაცეზე; მენარმეობა მიჩნეულია რელიგიურ იდეალად; მფლანგველობა არის მანკიერება, ხოლო მოძირნეობა – ღირსება; თვითკმაყოფილება და მარცხის აღიარება არალეგიტიმურია, ხოლო ამბიციაცია და წარმატება მიჩნეულია როგორც ღვთისგან გამორჩეულობის ნიშანი; ცოდვის უნივერსალური ნიშანი არის სიღარიბე, ღვთის წყალობის დამაგვირგვინებელი ნიშანი კი – სიმდიდრე“* (Oetes1971: 84).

მოცემული თეორიის გასაანალიზებლად სასურველია განვიხილოთ ვებერის მეთოდოლოგიური მიდგომის არსი და ძირითადი მიგნებები, რაც გასაგებს გახდის მოცემული კვლევის თეორიულ წანამძღვრებს და ამ წანამძღვრებით ოპერირებას საქართველოში არსებული დამოკიდებულებების მიმართ განსხვავებულ რელიგიურ მიმდინარეობებში.

ვებერის თანამხმად, „კაპიტალისტური სულის“ ჩამოყალიბება ისტორიულად უნიკალური მოვლენა იყო და ამ ცნების გაგება სწორედ ისტორიული ფაქტების თანმიმდევრულ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. ვებერისთვის კაპიტალისტური ეთოსის კვლევის ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტი ბენჯამინ ფრანკლინის შრომა იყო, სადაც მოხდა კაპიტალისტური ეთიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაქსიმის ჩამოყალიბება. მოცემული მაქსიმებია: ა)

დრო – რომელიც განხილულია როგორც ფულის დაგროვების შესაძლებლობა; ბ) სიზარმაცე – რომელიც გაგებულია როგორც „ცოდვა“ და აქვს რეგრესული გავლენა ფულის გამომუშავებაზე; გ) დათქმულ დროს კრედიტის დაბრუნების მნიშვნელოვნება; დ) ფულის უმიზნო ფლანგვა, როგორც ამორალური ქცევა. ფრანკლინის გარდა, ვებერი განიხილავს მეორე ავტორს – იაკობ ფუგერს – რომლისთვისაც მნიშვნელოვანია თანხის მაქსიმალური დაგროვება, თუმცა, განსხვავებით ფრანკლინისგან, ეს ქმედება მორალურად ნეიტრალურია. ვებერის თანახმად, წარმოდგენილმა ხედვებმა იქონიეს გავლენა ისეთი მორალური მაქსიმუმის ჩამოყალიბებაზე დასავლურ სამყაროში, როგორიცაა პუნქტუალობა, მომჭირნეობა და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმდიდრის დაგროვება აუცილებლად კანონიერი გზით უნდა მომხდარიყო. ვებერი ცდილობს მონახოს მოცემული მორალის ირაციონალური საფუძვლები; კერძოდ, თანხის დაგროვების და დაზოგვის ფენომენი და სიმდიდრით სიამოვნების მიღებაზე უარის თქმა ადამიანური ბუნების საწინააღმდეგოა. შესაბამისად, მსგავს მოვლენას უნდა ჰქონდეს გარკვეული საფუძველი. როგორც ვებერი აღნიშნავს, უფრო და უფრო მეტი ფულის გამომუშავება და ცხოვრების მიერ შემოთავაზებული სპონტანური სიამოვნების და გართობის შესაძლებლობებზე უარის თქმა, მთლიანადაა მოკლებული ადამიანის ევდემონისტურ და ჰედონისტურ მოთხოვნელებს. ამდენად, მოცემულ მორალში ბედნიერების გაგება ეფუძნება მთლიანად ტრანსცენდენტალურ საფუძვლებს. წარმოდგენილი ეთიკა ექსპლიციტურად შეიცავს ირაციონალურ ელემენტს, რომელსაც, თავის მხრივ, მკაცრად რაციონალური კაპიტალიზმი ეფუძნება. ერთი მხრივ, სოციალურ ცხოვრებაში არსებობს ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა ზუსტი კალკულაცია და დროის ზუსტი გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემული ეთიკური მაქსიმუმი არ აძლევს ინდივიდს საშუალებას თავისუფლად დახარჯოს ფული და მიიღოს ყოველდღიური სიამოვნება ცხოვრებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ტენდენცია, რაც კაპიტალიზმს თან სდევს ტრადიციული ცხოვრების წესისგან განსხვავებით:

გამოიძუშავო უფრო მეტი თანხა, ვიდრე საჭიროა ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ვებერის თანახმად, შრომის ტრადიციული მიზანი, რომელიც გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, ეფუძნებოდა იდეას – გქონოდა იმდენი დოვლათი, რაც აუცილებელი იყო ყოველდღიური ცხოვრებისთვის, ანუ ადამიანის ბაზისური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. ახალი მორალის მიხედვით კი, რაც შეიძლება მეტი დოვლათის დაგროვებაა ნახალისებული.

ვებერის აზრით, შემდეგი კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას, ასეთია: რას ეფუძნებოდა ფრანკლინის, ფუგერის თუ სხვა ავტორთა ხედვები? რამ განაპირობა მსგავსი მორალური მაქსიმების ჩამოყალიბება? მოცემულ კითხვებზე პასუხს ვებერი რეფორმაციაში პოულობს და რეფორმაციის შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი რელიგიური დენომინაციების დოქტრინებში ხედავს. გამომდინარე იქედან, რომ ვებერი მკაცრად მიყვება ისტორიზმის პრინციპს, პირველ ეტაპზე შესაძლოა განხილულ იქნეს ლუთერის მოღვაწეობის პერიოდი, ხოლო შემდეგ – ის კონკრეტული დენომინაციები, სადაც ექსპლიციტურად გაჩნდა ახალი მორალური მაქსიმები.

რეფორმაცია

ვებერის თანახმად, ცნება „მონოდება“ (Beruf გერმანულად; Calling ინგლისურად) მნიშვნელოვანია კაპიტალიზმის სულის გასაგებად. ზემოთ აღწერილი მაქსიმები ავალდებულებდა მორწმუნეს, რომ გარკვეული სახის სოციალური ქცევა განეხორციელებინა, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევდა, მონაწილეობა მიეღო და გაეზიარებინა თემში მიღებული ღირებულებები. ვებერი „მონოდებას“ განსაზღვრავს როგორც მოვალეობას, როდესაც ინდივიდი გრძნობს საკუთარი პროფესიული აქტივობის მნიშვნელოვნებას; სულერთია, რა სახისაა ეს აქტივობა და რას აძლევს ის ინდივიდს – ძალაუფლებას თუ მხოლოდ მატერიალურ დოვლათს (როგორც კაპიტალს). ვებერის თანახმად, „მონოდების“ იდეა გაჩნდა რეფორმაციის შედეგად და ის წინ უსწრებდა ფრანკლინისა თუ სხვა ავტორებს შრომებს, რომლებიც კაპიტალის-

ტური ეთიკის ავტორებად შეიძლება მივიჩნიოთ. კერძოდ, ვებერის თანახმად, „მონოდების“ ცნება პირველად ჩნდება ლუთერის მიერ ბიბლიის თარგმანში, ზირახის თავში. ბიბლიის მოცემულ ნაწილში „მონოდება“ გაგებულია როგორც ცხოვრების ამოცანების შესრულება განსაზღვრულ სფეროში მუშაობის გზით. შუა საუკუნეებში ყველაზე ღირებული, რაც მორწმუნეს შეიძლებოდა ღმერთისთვის გაეკეთებინა, მონასტერში ცხოვრება იყო. სულის ცხოვნება ყველაზე მეტად ამ გზით იყო შესაძლებელი, ხოლო ყოველდღიური აქტივობები – კვება, სასმელის მიღება, შრომა – მორალურად ნეიტრალური იყო ღვთის წინაშე. შუა საუკუნეების ქრისტიანის სააქაო ყოფას „ამაგრება“ ის სარგებელი, რასაც მორწმუნე საიქიო ცხოვრებაში მიიღებდა. ამის საპირისპიროდ, ლუთერმა გადადგა პირველი ნაბიჯები იმისკენ, რომ მორწმუნე დაებრუნებინა საერო ცხოვრებისათვის. ეს „მონოდების“ კონცეფციაში გამოიხატა და გარკვეული სახით შემოსაზღვრა რეფორმაციის ეთიკური მაქსიმები. აქ შესაძლოა გამოვყოთ ახალი ხედვის ორი მახასიათებელი, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული: ა) აქტორის საერო აქტივობების როლი; ბ) საერო ცხოვრების აქტივობების განხორციელება როგორც ღვთის წყალობის მიღების საუკეთესო გზა. ვებერის თანახმად, საერო ვალდებულებების პირნათლად შესრულება რეფორმაციის კონცეფციაში გაგებული როგორც ყველაზე მაღალი მორალური საქციელი, რაც ინდივიდმა შეიძლება განახორციელოს. ამ ცვლილებამ საერო აქტივობებს რელიგიური განზომილება შესძინა. „მონოდების“ გაგებამ განსაზღვრა ცენტრალური დოგმა, რომელიც გაზიარებულია ყველა პროტესტანტული დენომინაციის მიერ. ღვთის მსახურება აღარ გამოიხატებოდა მონასტერში ჩართვით, არამედ – ინდივიდის მიერ საერო ცხოვრებაში საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულებით, მისი სოციალური პოზიციების (სტატუსების) შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ლუთერის დოქტრინა არ აღმოჩნდა საკმარისი „კაპიტალიზმის სულის“ ჩამოსაყალიბებლად, რადგან, ლუთერის თანახმად, ღვთის მორჩილება უმნიშვნელოვანესია მორწმუნესათვის, რაც გულისხმობს სამყაროს

როს მიღებას ისეთის, როგორც არის. ეს ეწინააღმდეგება ცვლილების იდეას, შესაბამისად, კაპიტალიზმის იდეასაც, რომელიც ცვლილებებზეა ორიენტირებული. მეორე წინააღმდეგობა „კაპიტალიზმის სულთან“, რომელიც ლუთერის დოქტრინაში შეიძლება ვნახოთ, არის „ფულის უნაყოფობა“, რაც, თავის მხრივ, უპირისპირდება დაგროვების იდეას. ლუთერი ქონების დაგროვებას და სხვა საერო წარმატებებს არ განიხილავს როგორც ღვთის წყალობის მოპოვების გზას. ამრიგად, ლუთერის „მონოდების“ იდეამ ადამიანი საერო ცხოვრებაში დააბრუნა, თუმცა, ვებერის აზრით, მონოდების ამ ტიპს „ტრადიციონალისტური“ უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც ის ეფუძნება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა სწავლებას, რომლის თანახმადაც გადამწყვეტია ღვთის მორჩილება. ეს ნაკადი ორთოდოქსულ ლუთერანიზმში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე აქცენტის მუშაობაზე როგორც მონოდებაზე, რითაც ის დაშორდა კაპიტალიზმის იდეას.

„მონოდების“ ტრადიციული გაგება ეწინააღმდეგება ქონების დაგროვების მოდერნულ იდეას. ლუთერის დოქტრინის ფარგლებში ქონების დაგროვების იდეა თეორიულადაა გამორიცხული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვიკითხოთ: თუ მონოდების ტრადიციული გაგება თავის თავში გამორციხავს დაგროვების იდეას (შესაბამისად, „კაპიტალისტური სულის“ გაჩენას) მაშინ რამ განაპირობა მოგვიანებით ამ სულის გაჩენა? ვებერი მოცემულ კითხვაზე პასუხს „მონოდების“ იდეის შემდგომ ისტორიულ ტრანსფორმაციაში პოულობს. ვებერი გამოყოფს ოთხ ძირითად რელიგიურ მიმდინარეობას: კალვინიზმს, პურიტანიზმს, პიეტეზმს და სხვა სექტებს, რომლებიც წარმოიშვა ბაპტიზმის საფუძველზე. აქ შედარებით დაწვრილებით განვიხილავთ კალვინიზმს, რომელმაც, ვებერის თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კაპიტალისტური სულის ჩამოყალიბებაში.

კალვინიზმი

კალვინიზმი შეიცავს თითქმის ყველა მახასიათებელს, რამაც განაპირობა „მონოდების“ ახალი გაგების ჩამოყალიბება. ასევე, კალვინიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წინასწარგანსაზღვრულობის (Predestination) კონცეფციის და გამართლების (Justification) კონცეპტის ჩამოყალიბებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებერისთვის მოცემულ დოგმატურ ცვილებებს მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მათ განაპირობებს ინდივიდის ქცევის სპეციფიკური სახის ჩამოყალიბება, რამაც, თავის მხრივ, ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სტრუქტურაში.

მთავარი კონცეფცია, რაც კალვინიზმს განასხვავებს როგორც ლუთერალიზმისგან, ისე კათოლიციზმისგან, არის „წინასწარგანსაზღვრულობის“ იდეა. მოუხეშავი განმარტებით, ეს გულისხმობს, რომ სამყაროში ყველაფერი ღვთის მიერ წინასწარაა განსაზღვრული და მორწმუნეს არ აქვს გავლენა ღვთის ნებაზე. უაზრობაა რაიმეს ცვლილება, რადგან ეს შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ადამიანი „ჩავარდა ცოდვაში“ მას აღარ აქვს რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა. ადამიანს არ ძალუძს გააკეთოს რაიმე საკუთარი სულის ხსნისათვის. მოცემულმა კონცეფციამ შეცვალა თავისუფალი ნების გაგება, რაც კათოლიკური და ლუთერანული დოქტრინების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. შესაბამისად, შეიცვალა ცხოვნების შესაძლებლობის გაგებაც კალვინიზმში: ცხოვნება მხოლოდ ღვთის შესაძლებლობაა და ის განსაზღვრავს, თუ ვინ არის რჩეული და ვის უნდა მიეცეს სამუდამო ცხოვნება. მოცემულ კონცეფციაში აღარ არსებობს ინსტიტუცია (ეკლესია) ან ინსტიტუციის წარმომადგენელი (მღვდელი), რომელთაც აქვთ შესაძლებლობა დაეხმარონ მორწმუნეს ცხოვნებაში. აქ მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ უნდა მიხვდეს მორწმუნე, ის არის რჩეული თუ არა? კალვინიზმის პასუხი მოცემულ კითხვაზე შემდეგია: მორწმუნე უნდა იყოს დარწმუნებული და მუდმივად დაამტკიცოს, რომ ის რჩეულია; ხოლო *რჩეულობის დამტკიცების ერთადერთი გზა სოციალურ ცხოვრებაში ყოველდღიური პასუხისმგებლობების ზუსტად შესრულებაა*. შრომა უნდა იყოს

მუდმივი პროცესი მორწმუნისათვის, მისი ცხოვრების თანმდევი. არ არსებობს სხვა გზა, რომელიც რჩეულობის განმაპირობებელი იქნება. კალვინიზმის ეთიკამ განსაზღვრა ცვლილებები მორწმუნე ადამიანის ცხოვრების სტილში, რაც ჩამოყალიბდა როგორც პურიტანული ცხოვრების წესი. კალვინიზმის თანახმად, სამყაროში არსებობენ საგნები, რომელთა არჩევაც შეუძლია მორწმუნეს, მაგრამ ამ საგნების ნაწილი ეშმაკის მიერ არის შემოთავაზებული; შესაბამისად, მორწმუნე ვალდებულია, რაც შეიძლება შორს დაიჭიროს თავი მოცემული არჩევანისგან. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო პურიტანული ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნული პროცესის აღსაწერად ვებერს შემოაქვს ახალი ცნება – „საერო ასკეტიზმი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება კათოლიკური ასკეტიზმისგან, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვდა საერო ცხოვრებაზე უარის თქმას, მის მიტოვებას და მონასტერში წასვლას. თანამედროვე ასკეტიზმმა კი მონასტრიდან საერო ცხოვრებაში „გადმონაცვლა“. შესაბამისად, ორი რამ იყო აუცილებელი (როგორც „რჩეულობის“ ნიშნები) ახალ რეალობაში: ა) საქვეყნო ამოცანების პირნათლად შესრულება, რაც დაულალავ შრომაში გამოიხატებოდა და ბ) ასკეტური, მინიმალისტური ცხოვრების წესი. ეს მახასიათებლები, ამავე დროს, ცხოვრებისთვისაა აუცილებელი.

ვებერის თანახმად, მოცემულმა ცვლილებებმა განაპირობა საერო ცხოვრების რაციონალიზაცია. გამომდინარე იქედან, რომ სულის ცხოვრებისათვის აღარ იყო აუცილებელი სპეციალური მაგიური რიტუალების დაცვა (იგულისხმება ტრადიციული ქრისტიანობისათვის აუცილებელი რიტუალები, როგორცაა ზიარება, აღსარება და სხვა) და მღვდელის საჭიროება ამ რიტუალების შესასრულებლად, „ახალი მორწმუნის“ რჩეულობა აღარ იყო დამოკიდებული ტრანსცენდენტურ ნიშნებზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რომელიც რაციონალურ ორგანიზებას საჭიროებდა.

ვებერს სურდა დაემტკიცებინა, რომ პროტესტანტული თეოლოგიის კალვინისტური და პურიტანული ასპექტები, რომლებიც ლუთერის თეოლოგიის გავლენით განვითარდა, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე იყო სამეწარმეო აქტივობების გაჩენისთვის.

ლუთერმა რელიგიური საზრისი მიანიჭა ყოველდღიურ შრომას, რომელიც, ტრადიციულად, ითვლებოდა პროფანულად; მოახდინა რა შრომის გაიგივება პროფესიასთან/მოწოდებასთან, მიანიჭა მას თეოლოგიური მნიშვნელოვნება იმავე ხარისხით, როგორც სასულიერო პირის შრომას. კალვინიც, ლუთერზე დაყრდნობით, შრომას გაცილებით ფართო მნიშვნელობით განიხილავდა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ წინსვლას, თვითგანვითარებას და განაპირობებს ღვთის რჩეულობას. კალვინიზმი, ვებერის აზრით, შრომაში თეოლოგიურ მოტივაციებს ხედავს: დაულალავი შრომა, ზომიერება და მოკრძალებული (უბრალო) ცხოვრების წესი, აგრეთვე, მოგების რეინვესტირება ბიზნესში (კომერციული წარმატება) მიჩნეულ იქნა როგორც ღმერთის კეთილგანწყობის ნიშანი და იმ მარადიული ჯილდოს ინდიკატორი, რომელიც ცნობილია წინასწარგანსაზღვრულობის დოქტრინის სახით. „წინასწარგანსაზღვრულობა“, როგორც უკვე ითქვა, დაკავშირებულია ხსნასთან და ეფუძნება რწმენას, რომ ღმერთმა ვიღაცას დაუმკვიდრა მარადიული ხსნა, როგორც წყალობა, ხოლო დანარჩენებს – მარადიული წყევლა ყველა ცოდვისათვის, „პირველცოდვის“ ჩათვლით. პირველს ეწოდება „უპირობო შერჩევა“, ხოლო მეორეს – „გაკიცხვა“. ადამიანებს, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, შეუძლიათ დაიმსახურონ მარადიული ხსნა ან წყევლა. რაციონალური, ასკეტური შრომა სწორედ ასეთი მარადიული ხსნის წინაპირობაა.

ამდენად, ვებერი თვლის, რომ რაციონალური ეკონომიკური მოქმედება, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, რელიგიურად არის მოტივირებული. წარმოების სულისკვეთება გაჩნდა იქ, სადაც შრომის სურვილი იქცა მოტივაციურ ტვირთად ინდივიდებისათვის, როდესაც თითოეული ადამიანის შრომა იყო ღვთის წყალობის საჩუქარი, ღმერთის კეთილგანწყობის დადასტურება.

1.2. შრომის ეთიკის ბიბლიური გაგება

ქრისტიანებისათვის ბიბლია არის საწყისი წერტილი/საზომი შრომის ეთიკის გაგებისას. ბიბლია შრომას ადამიანებისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე მოვლენად მიიჩნევს. როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს (Ward 1996; Henry 1964), შრომის ეთიკის ბიბლიური გაგება აღიარებს ადამიანური შრომის ინტეგრალურ როლს ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს წესრიგში და აყალიბებს კონცეპტუალურ ჩარჩოს იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იშრომონ ადამიანებმა, რა უნდა იყოს შრომის მიზანი, როგორ უნდა მიუდგნენ შრომას და რა გზით უნდა მოიყვანონ სისრულეში შრომის მიზანი.

არსებობს საფრთხე, რომ შრომის ბიბლიური გაგება შემოიფარგლოს იმით, რომ შრომა არის „ცოდვით დაცემის“ მანკიერი შედეგი, როგორც წყევლა, რომელიც ადამმა და ევამ დაიმსახურეს აკრძალული ნაყოფის მიერთმევით. ეს ვითარება აღწერილია ბიბლიური დაბადების მესამე თავში, სადაც ღმერთი ადამსა და ევას მძიმე შრომით ავალდებულებს.

თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ (Ward 1996), იმავე დაბადების პირველ თავში აღნიშნულია, რომ ადამიანებისათვის, როგორც „ღვთის სახედ და ხატად“ შექმნილებისათვის შრომის ვალდებულების დაკისრება ღმერთის აღმზრდელითი განზრახვა იყო. ადამიანებისათვის შრომა ღვთისადმი სიყვარულის ნარმოჩენის გზაა. ადამიანები შეიქმნენ, რათა იშრომონ და საკუთარი შრომით პატივი მიაგონ შემოქმედს. „ყველაფერი, რასაც აკეთებ, გულმოდგინედ აკეთეთ, როგორც უფლისთვის, და არა როგორც კაცთათვის“ (კოლოსელთა მიმართ, 3:23)². ღმერთისთვის მსახურება დასტურდება მაშინ, როცა ჩვენს შრომას უფალს მიუძღვნით (იგავნი სოლომონისა, 16: 3); შრომის მეშვეობით ჩვენ ვავითარებთ ჩვენს ნიჭსა და შესაძლებლობებს და ამით პატივს მივავებთ ჩვენი ნიჭისა და შესაძლებლობების მბო-

² ბიბლია 2013: 966.

ძებელს: „*არა თვალის ასახვევად და მოსაჩვენებლად, როგორც პირმოთენენი, არამედ, როგორც ქრისტეს მონებმა, აღასრულეთ ნება ღმრთისა სულით*“ (ეფესელთა მიმართ, 6:6)³.

ღვთის სიყვარული არ შეიძლება განცალკევებული იყოს სხვების სიყვარულისგან. ჩვენი შრომით, ღმერთისთვის მსახურების გარდა, ჩვენ ვემსახურებით ერთმანეთს. ჯერ-ერთი, შრომის მეშვეობით ჩვენ სხვებს ვუნვეთ საჭირო და სასარგებლო სამსახურს. ამასთანავე, შრომა ჩვენგან მოითხოვს ურთიერთობის დამყარებას სხვებთან, საშუალებას გვაძლევს გავათავისუფლოთ საკუთარი თავი თანდაყოლილი ეგოცენტრულობისგან. ღმერთისა და სხვა ადამიანებისთვის მსახურების მიზანი ერთმანეთს თანხვდება: როცა ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, ამით სარგებლობა მოგვაქვს სხვებისთვის; ღმერთმა კარგი საქმეებისთვის შეგვქმნა (ეფესელთა მიმართ 2:10: „*რადგანაც მისი ქმნილებანი ვართ, კეთილ საქმეთათვის შექმნილნი ქრისტე იესოში, საქმისთვის, რომელნიც წინასწარ დაგვინესა ღმერთმა, რათა მათში ვიარებოდეთ*“⁴), ამით ლოცვა-კურთხევა მოგვაქვს სხვებისთვის; ხოლო, როცა ჩვენ ვემსახურებით სხვებს, ამით ვადიდებთ ღმერთს.

როგორც ღმერთი შრომობდა სამყაროს შექმნისას და აგრძელებდა შრომას მისი ქმნილების შესანარჩუნებლად, ასევე შრომობენ ადამიანები და საკუთარ თავზე გამოცდიან ქმნადობაზე დომინაციას. როგორც ჰენრი ალნიშნავს (Henry 1964), შრომის მეშვეობით ადამიანი (მაღაროს მუშა, მექანიკოსი, სტენოგრაფისტი თუ სხვა), იმორჩილებს და გარდაქმნის რა ბუნებას, თითქოსდა იმეორებს (ეზიარება) ღმერთის ქმნადობის აქტს. ეს ერთდოულად ღვთის სამსახური, კაცობრიობისთვის სარგებლის მოტანა და ბუნების დამორჩილებაა ქმნადობის მორალისადმი.

ჩვენი შრომით ღმერთისა და სხვებისთვის მსახურების საპირისპიროდ, ცოდვა გვიბიძგებს საკუთარ თავს ვემსახუროთ. ბიბლია გვაფრთხილებს, პირადი სარგებელი არ ვაქციოთ შრომის

³ ბიბლია 2013: 960.

⁴ Ibid: 956.

მიზნად. მაგალითად, ახალი აღთქმის ლუკას სახარების მე-12 თავში იგავი მდიდარი ბრიყვის შესახებ შეგვახსენებს, რომ საკუთარ სარგებელზე ფოკუსირება გვაშორებს ღმერთისგან.

ბიბლიის მიხედვით, შრომა ცენტრალურია ადამიანებისათვის, როგორც ღვთის სახედ და ხატად შექმნილებისათვის. შრომა საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვადიდებთ შემოქმედს. ღმერთმა ისეთი სახით მოაწესრიგა ადამიანის არსებობა, რომ ბუნებრივი ურთიერთმიმართება არსებობს შრომის პროცესსა და შედეგს შორის. ბიბლიურ ნარატივებში ბევრი საუბარია იმის შესახებ, რომ დაუღალავ შრომას ბარაქა მოაქვს (იგავნი სოლომონისა, 21:5: *„მუყაითის ზრახვები სიუხვეს აჩენს, ხოლო მოჩქარისა – სიღუბჭირეს“*⁵). მძიმე შრომის მნიშვნელოვნება ახალ აღთქმაშიც ნარჩუნდება. პავლე მოციქული თესალონიკელ ქრისტიანებს ეუბნება, რომ *„თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურც ჭამს“* (მეორე თესალონიკელთა მიმართ, 3:10⁶), და რომ საჭიროა მეტი და მეტი შრომა მშვიდი და ნეტარი ცხოვრების მოსაპოვებლად (პირველი თესალონიკელთა მიმართ, 4:10-11: *„და გუდმოდგინედ ეცადეთ, რომ იცხოვროთ მშვიდად, აკეთოთ თქვენი საქმე, და იშრომოთ თქვენი ხელით“*); სხვები განგვსჯიან ჩვენ (და გარკვეული აზრით განსჯიან ქრისტეს, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ) იმის მიხედვით, თუ როგორ ვშრომობთ.

როგორც მარკ ვარდი აღნიშნავს (Ward 1996:9), მძიმე შრომისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭებამ შესაძლოა გამოიწვიოს შრომის პურიტანული გაგება, რომლის თანახმადაც შრომა უფრო ტვირთია და არა – სიხარული. მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი მიდგომა არარელევანტურია შრომის ბიბლიური გაგების, რომლის თანახმადაც ღმერთი უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს იშრომონ და ამ გზით გახდნენ შემოქმედნი, ანუ იყვნენ ღმერთის „ხატები“. შრომა ღვთისა და მოყვასისადმი

⁵ ბიბლია 2013: 474.

⁶ Ibid: 470.

⁷ Ibid: 968.

საკუთარი სიყვარულის გამოხატვის საშუალებას აძლევს ადამიანებს. შესაბამისად, შრომა არ არის „ცოდვით დაცემის“ შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე შრომის გამოცდილება ადამისა და ევას ცოდვაზე რეფლექსიას წარმოადგენს. სამოთხის სურათი, რომელიც შესაქმის პირველ და მეორე თავებშია მოცემული, აღწერს, რისი მსგავსი იქნება ახალი ზეცა და მიწა: ადამიანები გააგრძელებენ შრომას სამოთხეში, მაგრამ ცოდვის გარეშე, რომელიც შრომის ჩვენს ამჟამინდელ გამოცდილებას ჩრდილს აყენებს.

1.3. შეუსაბამოები შრომის პროტესტანტულ და ბიბლიაზე დაფუძნებულ ეთიკას შორის

მ. ვარდი (Ward 1996) სვამს შეკითხვას: არის თუ არა სეკულარიზებული ბიზნეს სამყაროს შრომის პროტესტანტული ეთიკა და შრომის ეთიკის ბიბლიაზე დაფუძნებული გაგება ურთიერთ-თავსებადი? – და ამ შეკითხვას უარყოფითად პასუხობს.

შრომის ეთიკის ბიბლიური პერსპექტივის მიხედვით, შრომა ადამიანებისათვის ღვთის მიერ შექმნილი წესრიგის ნაწილია. შრომის მიზანი ღმერთის მსახურებაა, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალება კი – დაუღალავი შრომა. როგორ უკავშირდება ეს პერსპექტივა შრომის სეკულარული გაგებას?

ვარდის აზრით, მნიშვნელობა, რომელიც შრომას აქვს შრომის პროტესტანტულ ეთიკაში, შეუსაბამოა შრომის ეთიკის ბიბლიურ პერსპექტივასთან. შრომის ეთიკის ბიბლიური ელემენტები შრომის პროტესტანტულ ეთიკაში დამახინჯებულია.

ქრისტიანებისათვის შრომის მიზანი ღმერთის მსახურებაა. შრომის პროტესტანტული ეთიკა ფოკუსირდება არა ღმერთზე, არამედ – ადამიანზე. შრომის ეთიკის ვებერისეულ კონცეფციაში შრომის შედეგი უფრო მეტად არის ადამიანის „მოხსენებითი ბარათი“ ('report card'), ვიდრე შრომის ღმერთისთვის მიძღვნა. ადამიანის შრომის შედეგი არის ღმერთის წყალობის საზომი

და არა ღმერთისთვის მიძღვნილი საჩუქარი. შრომის მიზნის ღმერთისთვის მსახურებიდან საკუთარი თავისთვის სამსახურზე გადანაცვლებით, შრომა კარგავს მის ფართო (საკრალურ) მნიშვნელოვნებას და პროტესტანტული შრომის ეთიკა ხდება საკუთარი ღირსების მაჩვენებელი. შრომის პროტესტანტულ ეთიკაში ღმერთი აღარ არის ადამიანური შრომის ცენტრში/ფოკუსში.

როგორც პროტესტანტული ასევე ბიბლიაზე დაფუძნებული შრომის ეთიკა აფასებს დაუღალავი შრომის მნიშვნელოვნებას. თუმცა, შრომის ეთიკის ბიბლიაზე დაფუძნებული გაგება მძიმე შრომას ღმერთისთვის მსახურების შესრულების საშუალებად მიიჩნევს. მძიმე შრომა თავისთავადი ღირებულების მქონე არ არის, თუკი ის ღმერთისათვის პატივის მიგებას არ ემსახურება. სეკულარიზებულ შრომის პროტესტანტულ ეთიკაში კი მძიმე შრომა თვითმიზანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, პოზიტიური გაგება, რომ დაუღალავი შრომა მნიშვნელოვანია, ტრანსფორმირდება და შრომა თვითმიზნად იქცევა. შრომის პროტესტანტული ეთიკის მიხედვით, ღმერთი დალოცავს ამ ადამიანთა შრომას და ამ წყალობის ტრანსფორმირება მოხდება ღვითს მადლად. ეს ადამიანებს უბიძგებს იმისკენ, რომ შრომის მეშვეობით ეძებენ/ მოელიან ხსნას, მატერიალური წარმატება იქცევა რწმენის სიმბოლოდ.

შრომის პროტესტანტული ეთიკა ცალსახად უცვლის სახეს შრომის ეთიკის ბიბლიურ გაგებას. შრომის სეკულარიზებული ეთიკა დღესდღეობით იმდენად პრევალენტური არ არის, როგორც ადრე. ქრისტიანები მიიჩნევენ, რომ არაქრისტიანების მსოფლმხედველობაც ქრისტიანების მსოფლმხედველობის მსგავსია. შრომის პროტესტანტული ეთიკის ამჟამინდელი კვლევები მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ჩვენ პოსტმატერიალისტურ ეპოქაში გადავდივართ.

ამრიგად, მ. ვარდი ასკვნის, რომ შრომის პროტესტანტული ეთიკა და შრომის ბიბლიაზე დაფუძნებული ეთიკა თავსებადი არ არის. ბიბლია შრომას მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ღმერთისა და სხვებისთვის სამსახურს, ეს კი შრომის პროტესტანტულ ეთიკაში ასახული არ არის.

1.4. რელიგიისა და ეკონომიკური ქცევის (შრომის) მიმართების თანამედროვე კონტექსტი

შრომის ეთიკის თანამედროვე სეკულარული გაგება დიდწილად ვებერის ნაშრომის (“პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულის“) გავლენას განიცდის. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა ვებერის ნააზრევის თანამედროვე სამყაროსთვის რელევანტურობის შესახებ.

როგორც ვარდი აღნიშნავს (Ward 1996), არ არსებობს შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ვებერის მიერ გამოყენებულ შრომის პროტესტანტული ეთიკის ცნებაში. ვებერს არასდროს განუსაზღვრავს შრომის პროტესტანტული ეთიკა ისე, რომ ის ყოფილიყო მკაცრად შემოსაზღვრული და ადვილად გაზომვადი. შედეგად, შრომის პროტესტანტულ ეთიკაში მრავალი რამ იგულისხმებოდა და ინსტრუმენტები, რომლებიც მის გასაზომად იყო შექმნილი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ზოგი შრომის ეთიკას საშუალებებზე ორიენტირებულად მიიჩნევს: ძლიერი შრომის ეთიკის მქონე ადამიანები ბევრს მუშაობენ, არ აცდენენ სამუშაოს და ა.შ. ნაწილი კი – შრომის ეთიკას მიზნებზე ორიენტირებულად მიიჩნევს: ძლიერი შრომის ეთიკის მქონე ადამიანები შრომას დასვენებაზე მეტად, ხოლო მუშაობის პროცესს – მუშაობის რეზულტატზე მეტად აფასებენ. აქედან გამომდინარე, ხშირად დამაბნეველი და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებები არსებობს პროტესტანტული შრომის ეთიკის შესახებ.

გარდა ამისა, ვებერის მიერ ეკონომიკური აქტივობის რელიგიურ რწმენასთან დაკავშირების ფაქტს ბევრი მკვლევარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მათ მიაჩნიათ, რომ კაპიტალიზმის განვითარებას სხვა არარელიგიური ფაქტორები ხსნის (Robertson 1985), როგორცაა ცვალებადი ეკონომიკური და სოციალური ვითარება.

სოციალური კონტექსტი

რელიგიასა და შრომის ეთიკას შორის ურთიერთმიმართების ინტერესი იზრდება, რაც გამომწვეულია მზარდი ეთნიკური და რელიგიური განსხვავებებით, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებით, ადამიანის უფლებებზე საყოველთაო ყურადღებით, სამართლიანობის იდეის წინ წამოწევით და სხვა.

რწმენისა და შრომის ურთიერთმიმართების კვლევის სფეროში ჯერ კიდევ აქტუალურია ძირითადი ცნებების განსაზღვრა, გაზომვისა და შემდგომი ინტერპრეტაციებისთვის სტანდარტების დადგენა. იკვლევენ სხვადასხვა ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციებში ადამიანების ქცევასა და შესრულებულ სამუშაოზე.

რელიგიასა და შრომის ტიპს შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია *„იმის გაცნობიერება, რომ დასაქმებულებს აქვთ შიდა სამყარო, რომელიც ასაზრდოებს მათ ქცევას და საკუთრივ ნასაზრდოებია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოს კონტექსტით“* (Rego and Pina e Cunha 2008: 55).

თანამედროვე მკვლევარების აზრით, ორგანიზაციებში ისეთი ბიუროკრატიული გარემოს შექმნა, რომლიც კულტურაში აქცენტირებული მიზნებითაა ნაკარნახევი, *„დასაქმებულებს ეხმარება განიცადონ ტრანსცენდენტურობა მუშაობის პროცესში, ხელს უწყობს მათ სხვასთან დაკავშირებულობის გრძნობას და უზრუნველყოფს სიხარულისა და სრულყოფილების განცდას“* (Giacalone and Jurkiewicz 2003: 13).

უკვე არსებობს ზოგადი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ადამიანებს სურთ იცხოვრონ ინტეგრირებული, ჰარმონიული ცხოვრებით, არ აკმაყოფილებთ სამსახურის კარებთან დატოვონ თავიანთი რწმენა და ტრადიციები. მათ არ სურთ უარყონ ან სუბლიმირება მოახდინონ მათი რელიგიურობის, ისევე როგორც ეთნიკურობის, რასის, გენდერისა თუ სექსუალური ორიენტაციის (Miller 2007).

სწორედ იმიტომ, რომ რელიგია გავლენას ახდენს ადამიანთა ატიტუდებსა და ქცევაზე, მნიშვნელოვანია, რომ მკვლევრებმა ადეკვატურად გაზომონ ეს გავლენები.

მზარდი რელიგიური განსხვავებულობა ადამიანებს უბიძგებს გაზიარებული ეთიკური აქცენტების დასამისკენ და ბაზრის ეთიკური საფუძვლის გამოძენისკენ. ხდება ეთიკური საფუძვლებისა და რელიგიური ტრადიციების შესწავლა, რათა შემდგომში მოხდეს მათი გამოყენება ბაზრის ჰუმანიზაციისთვის. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შემუშავებული იქნა „რწმენა და გლობალური პროგრამა: ღირებულებები პოსტ-კრიზისული ეკონომიკისათვის“ („Faith and the Global Agenda: Values for the Post-Crisis Economy“), რომელიც 77 გვერდს შეიცავს და ფოკუსირებულია მორალურ და ეთიკურ სწავლებაზე. პაპი ბენედიქტ მეთექვსმეტე 2009 წელს თავის Caritas in Veritate -ში („სიკეთე ჭეშმარიტებაშია“) აღნიშნავს, რომ „სამყაროს ფუნდამენტური ღირებულებების ხელახლა აღმოჩენა სჭირდება, რათა უკეთესი მომავალი ააშენოს“.⁸ პაპი, ასევე აღნიშნავს, რომ „ბაზარმა მორალური ენერჯია იმ ინსტიტუციებისგან უნდა მიიღოს, რომელიც ამას, მორალურ ენერჯიას აწარმოებს“.⁹ ამ უკანასკნელში კი პაპი რელიგიას გულისხმობს. კენტერბერის არქიეპისკოპოსი როვან ვილიამსი თავის 2009 წლის გამოსვლაში „ეთიკა, ეკონომიკა და გლობალური სამართლიანობა“ საუბრობს ქრისტიანობის წვლილზე ეკონომიკური კრიზისის შესახებ მიმდინარე დებატებში, რომელიც შეიცავს ისეთი ქრისტიანული ღირებულებებისადმი დაბრუნებას, როგორებიცაა ნდობა, თავმდაბლობა და სუსტიცის არდაჩაგვრა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანები ისწრაფვიან ინტეგრირებული, ჰარმონიული ცხოვრებისკენ. 1980-იან წლებში დაწყებული მასობრივმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებ-

⁸ Charity in Truth 2009: 20.

⁹ Ibid: 37

ბებმა („თეთრსაყელიანთა“ სამსახურებიდან დათხოვნა, ურბანული მიგრაცია, სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის გაზრდა) იმ ადამიანთა რიცხვის მატება გამოიწვია, რომლებიც საზრისს და მიზანს სამუშაოში ეძებდნენ, ეს ეხმარებოდა მათ სოციალური ზენოლისა და გაურკვევლობების თავიდან აცილებაში. სწორედ ეს იყო ის კონტექსტი, რომელიც სულიერებისა და რელიგიის მიმართ მზარდ ინტერესს იწვევდა.

თანამედროვე კვლევები

მეოცე საუკუნის გვიანდელი სამყარო მკვეთრად განსხვავდება იმ სამყაროსგან, რომელსაც ვებერი აღწერდა. შრომის ეთიკის თანამედროვე მკვლევრები შეკითხვებს რამდენიმე მიმართულებით სვამენ: ა) იყო თუ არა ვებერი სწორი, როდესაც შრომის პროტესტანტულ ეთიკას გამოყოფდა? ბ) მნიშვნელობს თუ არა შრომის პროტესტანტული ეთიკა თანამედროვე სეკულარულ საზოგადოებებში და რა ალტერნატივები გააჩნია მას? როგორ გვეხმარება შრომის პროტესტანტული ეთიკა მშრომელთა მოტივაციების გაგებაში?

თანამედროვე მეცნიერები ცდილობენ იმის იდენტიფიცირებას, თუ რას წარმოადგენს შრომის პროტესტანტული ეთიკა. შრომის პროტესტანტული ეთიკის გაზომვის თანამედროვე კვლევებში ფურნჰამი (Furnham 1990) შრომის ეთიკის შვიდ საზომს გამოყოფს, ხუთი განსხვავებული კონტექსტის ფარგლებში: დაულალავი შრომისადმი რწმენა, თავისუფალი დროის როლი; რელიგია და მორალური რწმენები; აქცენტი სხვებისაგან დამოუკიდებლობაზე და ასკეტიზმი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არც ერთი საზომი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც დაფარავდა ხუთივე კონტექსტს და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ფოკუსირდებოდა ორ სფეროზე. ამან მკვლევრებში გააჩინა შეკითხვა: არსებობს თუ არა და არსებობდა თუ არა ოდესმე ისეთი რამ, როგორც შრომის პროტესტანტული ეთიკაა?

ეს შეკითხვა მნიშვნელოვანი გახდა იმის პარალელურად, რომ პროტესტანტიზმმა თანდათან დაკარგა გავლენა ამერიკულ კულტურაზე. დიტზი (Ditz 1980) აღნიშნავს, რომ შრომის ეთიკა სეკულარული გახდა დროთა განმავლობაში და უკვე ფუნქციონირებს როგორც ეკონომიკური, და არა რელიგიური, ფილოსოფიის მანიფესტაცია. შრომის ეთიკის სკალის ბუნდოვანი შინაარსის გამო ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შრომის ეთიკას საფუძველმდებარე სტრუქტურები არ გააჩნია და ცნება შრომის ეთიკა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დამოუკიდებელი ცვლადების ერთობლიობას (მაგ., McDonald and Ganz 1992).

ზოგიერთისათვის პროტესტანტული შრომის ეთიკა არის იმ მსოფლხედვის ერთ-ერთი საზომი, რომელიც არსებობდა ადრეული კაპიტალიზმის პირობებში, მაგრამ ბოლო ათწლეულებში მან გავლენა დაკარგა. მაგალითად, ინგლეჰარტი (Inglehart 1991) მიიჩნევს, რომ ვებერის მიერ იდენტიფიცირებულმა მატერიალისტური ღირებულებების წარმატებამ მიგვიყვანა ზოგადად ღირებულებების „ჩუმი რევოლუციისკენ“: კაპიტალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდა გამოწვეული იყო შრომის პროტესტანტული ეთიკით, რომელმაც კეთილდღეობა განაპირობა, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, პოსტმატერიალისტური ღირებულებების განვითარებას შეუწყო ხელი.

მაკკობი და ტეზი (MacCoby and Tezi 1979) შრომის პროტესტანტული ეთიკის გამოვლენის ოთხი დონის იდენტიფიცირებას ახდენენ, რომლებიც სოცალურ-ეკონომიკური ცვლილებების პერიოდებთან არის დაკავშირებული. პირველი ეტაპია შრომის თავდაპირველი პროტესტანტული ეთიკა, მეორეა „მოხერხებულობის ეთიკა“ ('Craft Ethic'), რომელიც ასახავს რაციონალობას ისეთი ინდივიდების, როგორცაა, მაგალითად, ბენჯამინ ფრანკლინი; შემდეგ მოდის „სამერნამეო ეთიკა“ ('Entrepreneurial Ethic') და „კარიერული ეთიკა“ ('Career Ethic'), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. მაკკობი და ტეზი საუბრობენ შრომის ეთიკის მეხუთე განზომილებაზე, როგორცაა „თვითგანვითარების ეთიკა“ ('Self-deve-

lopment Ethic’), რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ინგლეჰარტის პოსტმატერიალისტურ ღირებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვებერის დასკვნები და მონაცემები არაერთხელ მოექცა კრიტიკის ქვეშ, მისი მთავარი დაკვირვება, რომ არსებობს მიმართება რელიგიურ რწმენასა და ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმიანობებს შორის ფართოდ გაზიარებულია.

მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი – ერნესტ გელნერი (Gellner 1959) – ვებერის მიდგომის ახსნისათვის იყენებებს მაკის (Mackey) მიზეზობრიობის თეორიას. ეს თეორია გულისხმობს, რომ არსებობს გარკვეული მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც არ არის აუცილებელი დროში ერთმანეთს განაპირობებდნენ, მაგრამ მათი თანამთხვევა ხელს უწყობს ახალი, მანამდე განუსაზღვრელი შედეგის დადგენას. მაგალითად, არსებობს: C1, C2, C3 და ა.შ. ხდომილებები, რომლებმაც ერთობლიობაში შეიძლება განაპირობონ X შედეგი, რომლის დადგომაც ზემოთ აღნიშნული ყველა წინაპირობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მოცემული მიდგომა უფრო გასაგებს ხდის ვებერის თეორიას. წინაპირობები, როგორცაა ბულატერია, თანამედროვე მეცნიერების განვითარება, განმანათლებლობა, მნიშვნელოვანი მაგრამ არასაკმარისი საფუძველი იყო თანამედროვე კაპიტალიზმის ჩამოყალიბებისათვის, რადგან იგივე მოვლენები სხვადასხვა დროს სხვადასხვა კულტურებშიც არსებობდნენ. საჭირო იყო რაღაც მეტი, რაც მოცემული შედეგის დადგომას განაპირობებდა. ვებერს აინტერესებდა ის, თუ რა იყო ის უნიკალური ფაქტორი, რომელიც არ გვხვდებოდა სხვა კულტურებში და რომელმაც უზრუნველყო თანამედროვე ეკონომიკური ქცევის ჩამოყალიბება. სწორედ აქ ხედავდა ვებერი (სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად) პროტესტანტული ეთიკის როლს.

ფილიპ როუნდი თავის კვლევაში (Roundy 2009) ცდილობდა დაედგინა, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ადამიანის რელიგიურობასა და სეკულარულ სამოქალაქო ორგანიზაციებში მის ჩართულობას შორის. ავტორის მთავარი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეტად რელიგიური ადამიანები ორგანიზაციულ საქმიანობაში არიან გაცილებით ნაკლებად ეფექტიანები, ვიდრე

ნაკლებად რელიგიური ან არარელიგიური ადამიანები. ასევე, მათ გაცილებით ნაკლებად აქვთ ორგანიზაციის წინაშე ნორმატიული ვალდებულების შეგრძნება. როუნდი თვლის, რომ რელიგიურობასა და ორგანიზაციულ ჩართულობას შორის ზემოხსენებულ კავშირს არეგულირებს „ორგანიზაციული ერთიანობის შეგრძნება“, რომელსაც შეუძლია ამ ნეგატიური ურთიერთმიმართების შესუსტება ან, საერთოდ, აღმოფხვრაც კი.

წლების განმავლობაში რელიგიურობასა და შრომას, ნავთობისა და წყლის მსგავსად, განიხილავდნენ როგორც დიქტომიურ წყვილს, რომელთა „შერევა“ არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ორგანიზაციულ პრაქტიკაში მიღებული იყო კრედო „ეკლესია კვირას, შრომა ორშაბათს“. თუმცა, როგორც როუნდი აღნიშნავს, ბოლო პერიოდში ნათელი გახდა, რომ ის ტრადიციული კედელი, რომელიც რელიგიურობასა და შრომას ყოფდა, უფრო და უფრო მყიფე ხდება. შესაბამისად, *„რელიგია აღარ წარმოადგენს ქუდს, რომლის მოხდაც მუშას ქარხნის/საწარმოს შენობაში შესვლისთანავე შეუძლია“*. აქედან გამომდინარე, როუნდი თავის კვლევაში ცდილობს, ამ ორი ცნების ურთიერთმიმართების დადგენას.

როუნდის აზრით, კვლევებმა აჩვენა, რომ რელიგიურობის ზრდა სეკულარულ სამოქალაქო ორგანიზაციებში ჩართულობის დონის ამაღლებას იწვევდა. თუმცა, მოგვიანებით, გაბატონდა ჰიპოთეზა, რომ ამ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებას სულაც არ აქვს წრფივი ხასიათი – ის უფრო პარაბოლას მოგვაგონებს: მზარდი რელიგიურობა იწვევს სამოქალაქო ჩართულობის ზრდას, თუმცა მას შემდეგ, რაც ის გარკვეულ დონეს მიაღწევს, რელიგიურობის მაჩვენებლის ზრდა ავტომატურად იწვევს სამოქალაქო ჩართულობის შემცირებას. როუნდი ამის სამ ძირითად მიზეზს გამოყოფს:

- პირველი უკავშირდება დროს: ინდივიდები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი რელიგიურობითა და რელიგიური ჩართულობით, დიდ დროს უთმობენ სალოცავ ადგილებსა და ეკლესიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებს; შესა-

ბამისად, მათ ნაკლები დრო რჩებათ სეკულარული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის.

- მეორე მიზეზს *სოციალური კავშირები* წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ ეკლესიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს, ინდივიდის რელიგიურობის ზრდასთან ერთად იზრდება მისი სოციალური კავშირებიც, რაც საბოლოო ჯამში, ხდება ამ ადამიანის „სამყარო“; შესაბამისად, „ორგანიზაციის“ გარეთ აქტივობის სურვილი სუსტდება.
- მესამე მიზეზი *„კეთილი საქმეების“ კეთების* პასუხისმგებლობას უკავშირდება. მსოფლიო რელიგიათა უმრავლესობა თავის მრევლს მოუწოდებს, რომ აკეთოს კეთილი საქმეები, ანუ დაეხმაროს გაჭირვებულებს და ა.შ. ეს სამოქალაქო ორგანიზაციებში ჩართულობაზე ორი კუთხით ახდენს გავლენას: ა) ეკლესია, რომელიც მოუწოდებს მრევლს კეთილი საქმეების კეთებისკენ, ხშირ შემთხვევაში, თვითონ ქმნის ამის შესრულების საშუალებას – იქნება ეს ეკლესიის მიერ ორგანიზებული მოხალისეობა, თუ სხვა აქტივობები. შესაბამისად, ინდივიდი, რომელსაც სურს მსგავს აქტივობებში ჩართვა, არ დაინწყებს სამოქალაქო ორგანიზაციებში მათ ძებნას, არამედ ჩაერთვება ეკლესიის მიერ ორგანიზებულ პროექტებში. მეორე, ის ადამიანები, რომლებიც ღრმად რელიგიურები ხდებიან, ძირითად ყურადღებას უთმობენ სულიერ სამყაროსა და მეტაფიზიკურ ცხოვრებას, ვიდრე მატერიალურ, სეკულარულ სამყაროს.

ეკლესიაში როუნდი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ორგანიზაციულ ერთგულებაზე რელიგიურობის გავლენის შესწავლას. ავტორი ორგანიზაციის წინაშე ინდივიდის სამი სახის ერთგულებას გამოყოფს (ემოციურს, განგრძობითს და ნორმატიულს) და აყალიბებს ჰიპოთეზას, რომ მზარდი რელიგიურობა უარყოფით გავლენას ახდენს ერთგულების თითოეულ ტიპზე.

- *ემოციური ერთგულება* – შესაძლოა, თავისი რელიგიური რწმენიდან გამომდინარე, ინდივიდმა ვერ მოახერხოს საკუთარი

მიზნების იდენტიფიცირება ორგანიზაციის ძირითად მიზნებსა და ამოცანებთან. მაგალითად, სეკულარული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს კეთილი საქმეების უანგაროდ კეთება. ამის გამო მცირდება ორგანიზაციის წინაშე ემოციური ერთგულების შეგრძნება.

- *განგრძობითი ერთგულება* ეფუძნება ორგანიზაციაში დარჩენის საჭიროებას და გულისხმობს სამსახურის შენარჩუნების ღირებულებას, ანუ სამსახურის დატოვებით გამოწვეული დანაკარგის შიშს. შესაბამისად, ყველაფერი, რაც შეამცირებს ამ შესაძლო დანაკარგის აღქმას, ამცირებს ორგანიზაციის წინაშე ინდივიდის განგრძობით ერთგულებასაც. როუნდის მოსაზრებით, რელიგიურობა ორი მიზეზის გამო ამცირებს ასეთი დანაკარგის აღქმას: პირველი, როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანები, რომლებიც მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან, ძირითად ყურადღებას სულიერ ცხოვრებასა და მეტაფიზიკურ სამყაროს უთმობენ. აქედან გამომდინარე, ისინი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სარგებელს, რომელსაც ისინი იღებენ ორგანიზაციაში მუშაობით. მეორე, როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანები, რომლებიც მაღალი რელიგიური ჩართულობით გამოირჩევიან, ფართო სოციალური კავშირების (მრევლის) ნევრები არიან. ამიტომ ასეთი ინდივიდი, შესაძლოა, ფიქრობდეს, რომ სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში, ვინმე თავისი „უსაფრთხოების ქსელიდან“ დაეხმარება მას დასაქმებაში. შესაბამისად, მაღალი რელიგიური ჩართულობის შემთხვევაში, სამსახურის დატოვებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგის აღქმა გაცილებით მცირეა, ვიდრე ნაკლებად რელიგიური ან არარელიგიური ინდივიდის შემთხვევაში. როუნდი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ადამიანები, რომლებიც მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან, სამსახურს ღვთის ბოძებულად თვლიან და იმედი აქვთ, რომ მისი დაკარგვის შემთხვევაში, ღმერთი მათ ახალს უბოძებს. ეს ამცირებს ორგანიზაციის დატოვე-

ბით გამოწვეულ ტრავმებს და, საბოლოო ჯამში, – ინდივიდის განგრძობით ერთგულებას.

- *ნორმატიული ერთგულება* – მაღალი რელიგიური ჩართულობა, რელიგიური სკოლები, სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტები, რომლებიც ასწავლიან რელიგიურ ღირებულებებს, საბოლოო ჯამში ქმნს ღირებულებათა სისტემას, რომელიც განაპირობებს რელიგიის პრინციპებისადმი ერთგულებას. ეს უკანასკნელი უფრო წინ დგას, ვიდრე ორგანიზაციის ნორმებისადმი ერთგულება. ცხადია, ეს ამცირებს ნორმატიულ ერთგულებას.

როგორც აღინიშნა, როუნდის კვლევის მთავარი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია რელიგიურობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის არსებული ნეგატიური ურთიერთმიმართების შეცვლა. როუნდი თვლიდა, რომ ეს „ორგანიზაციულ ერთიანობას“ შეუძლია. ორგანიზაციული ერთიანობის ქვეშ იგულისხმება ის, რომ ორგანიზაციის თანამშრომლებს აქვთ პოზიტიური სოციალური ურთიერთობები, არსებობს ორგანიზაციისა და ინდივიდუალური ღირებულებების ინტეგრაციის საშუალება.

ორგანიზაციული ერთიანობის შემთხვევაში შესაძლებელია მაღალი რელიგიური ჩართულობის მქონე ადამიანების როგორც ემოციური და განგრძობითი, ასევე ნორმატიული ერთგულების ამაღლება. ამისთვის ორგანიზაციამ უნდა შექმნას პირობები, რათა შესაძლებელი გახდეს ინდივიდის ღირებულებებისა და პირადი მიზნების ინტეგრირება ორგანიზაციის ღირებულებებსა და მიზნებთან. განგრძობითი ერთგულების ასამაღლებლად კი ინდივიდებს (იგულისხმება მაღალი რელიგიური ჩართულობის მქონე პირები) უნდა მიეცეთ საშუალება, დაიკმაყოფილონ თავისი რელიგიური მოთხოვნები – მათ უნდა მიეცეთ საშუალება აკეთონ „კეთილი საქმე“ სხვებისთვის ორგანიზაციის შიგნით. რაც შეეხება ნორმატიულ ერთგულებას, როუნდი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციულმა ერთიანობამ შესაძლოა, თავისთავად უზიძვოს ვალდებულებებზე ორიენტირებულ სოციალიზაციას.

როუნდი ასკვნის, რომ რელიგიურობისა და სამოქალაქო ჩართულობის ურთიერთმიმართებას განაპირობებს ის, თუ რამდენად შეუძლია ორგანიზაციას თავის თანამშრომლებს ჩაუნერგოს ორგანიზაციული ერთიანობის შეგრძნება.

მარიკე ტერ ვოერტი თავის კვლევაში (Voert 1993), ნიდერლანდების მაგალითზე, აანალიზებს, რამდენად აქვს ქრისტიანულ რელიგიას გავლენა კაპიტალისტური შრომის ორ ძირითად ელემენტზე: 1) შრომა, როგორც ვალდებულება – ყველა, ვისაც შეუძლია, უნდა იშრომოს და 2) დასაქმებულმა უნდა იბრძოლოს დანინაურებისთვის.

ვებერის თეზისმა შრომის ეთიკის შესახებ შექმნა კონცეპტუალური ჩარჩო იმ მკვლევრებისთვის, ვინც ამ საკითხით იყო დაინტერესებული. მკვლევრების ნაწილი კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმში შრომისადმი დამოკიდებულება ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მეორე ნაწილი კი საგრძნობ განსხვავებაზე საუბრობს. ვოერტი ცდილობს საკითხი უფრო გაართულოს. ის მიიჩნევს, რომ საკითხის უფრო ფუნდამენტური ანალიზია საჭირო, რადგან მაგალითად, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს შორის უფრო ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე პროტესტანტიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის. ნიდერლანდების შემთხვევაში ის არ საუბრობს ზოგადად პროტესტანტიზმზე, არამედ ჰოლანდიელ კალვინისტებში გამოყოფს ორ ძირითად ჯგუფს: *Nederlands Hervormd* და *Gereformeerd*, რომელთა მაგალითზეც განსაზღვრავს როგორც რელიგიური, ასევე არარელიგიური ცვლადების ზემოქმედებას. მისი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი არარელიგიური მახასიათებლების გათვალისწინება, როგორცაა ასაკი, სქესი, განათლების დონე, სოციალური კლასი და ა.შ.

კვლევის შედეგად ვოერტი შემდეგ ძირითად დასკვნებამდე მივიდა:

- რელიგია, განსაკუთრებით ქრისტიანული რწმენა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომისადმი ადამიანების დამოკიდებულებაზე.

- ღრმადმორწმუნე ქრისტიანები უფრო მეტად განიხილავენ შრომას, როგორც ვალდებულებას, ვიდრე ნაკლებად რელიგიურები.
- შრომისადმი დამოკიდებულებაზე რელიგიურ ჩართულობას პირდაპირი გავლენა არ აქვს.
- პროტესტანტიზმის სხვა მიმდინარეობებთან შედარებით, ორთოდოქსი კალვინისტები უფრო მეტად განიხილავენ შრომას, როგორც ვალდებულებას.
- ქრისტიანული რწმენა კათოლიკეებში უფრო ნაკლებია, შესაბამისად, მათი დამოკიდებულება შრომისადმი ნაკლებად პოზიტიურია.

ზოგიერთი მკვლევარი ეკონომიკურ ქცევაზე რელიგიის გავლენას პროტესტანტიზმისაგან განსხვავებულ რელიგიურ დოქტრინებში ეძებს. მაგალითად, მსგავს გავლენაზე ლაპარაკობენ კათოლიციზმშიც (Novak 1990; 1996).

ზოგიერთმა მეცნიერმა (Woodrum 1985) იგივე ფენომენი იკვლია იაპონური წარმოშობის ამერიკელებში, რომლებიც ამერიკაში ემიგრირდნენ იაპონიის ტოკუგავას (Tokugawa) პერიოდში (1600-1868). ვუდრამი ამტკიცებს, რომ ბუდისტური სექტა, ჯოდო-შინშუ იზიარებდა პროტესტანტული ქრისტიანობის მსგავს ეთიკას, კერძოდ: ასკეტიზმს, შრომისაკენ მოწოდებას და ზედამხედველობას. ამ პერიოდში ჯოდო-შინშუს სექტის ბევრი წარმომადგენელი ემიგრირდა შეერთებულ შტატებში. 1964-66 წლებში განხორციელდა იაპონელ ამერიკელთა კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულ იქნა 18000 ემიგრანტი, რომელიც ამერიკაში 1924 წლამდე ჩავიდა. გამოკითხულ რესპონდენტებს ჰქონდათ მაღალი ხელფასი და იყვნენ თვითდასაქმებულები. ჯოდო-შინშუ ემიგრანტების წარმატება კორელაციაში აღმოჩნდა ვებერისეულ რელიგიურ ინდიკატორებთან, რომლებიც დაეხმარა წარმოების განვითარებას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რელიგიურმა რწმენებმა, კერძოდ ბუდიზმისა

და შინშუს დოქტრინამ, ხელი შეუწყო იაპონელ ემიგრანტთა ეკონომიკურ წარმატებას.

გასათვალისწინებელია რედინგის კვლევა (Redding 1995), რომელიც აჩვენებს, რომ კაპიტალიზმი ცოცხლობს ჩინეთშიც, რამდენადაც კონფუციანელობის რელიგიურ ღირებულებებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ჩინელების ეკონომიკურ ქცევაზე. ჩინელ მენარმეებთან, აგრეთვე, ტაივანის, ჰონგ-კონგის და სამხრეთ დასავლეთ აზიის აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან ჩატარებული 72 ინტერვიუს საფუძველზე, რედინგი აჩვენებს, რომ კონფუციანელობის ძირითადმა რელიგიურმა ღირებულებებმა, როგორცაა პატერნალიზმი, კოლექტივიზმი, ფემინიზმი და სოციალური იერარქია, შექმნა ის კონტექსტი, რონელშიც ახალ წამოწყებებს ჩაეყარა საფუძველი.

ძირითადი ცნებები: სულიერება და რელიგია

სულიერების მრავალი განსაზღვრება არსებობს. მაკგინი (McGinn 1993) ამ განსაზღვრებათა სამ ტიპად კატეგორიზაციას ახდენს: 1. თეოლოგიური ან დოგმატური; 2. ანთროპოლოგიური, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ბუნებაზე და 3. ისტორიული-კონტექსტუალური, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში ადამიანთა საერთო ისტორიულ გამოცდილებაზე ფოკუსირდება.

ნაში (Nash 2001) ახდენს სულიერების დეფინიციის შემადგენელ სამი კომპონენტის გამოყოფას: ა) შიდა, ინტერნალური სელფი; ბ) ყოველდღიურ ცხოვრებაში საზრისის პოვნა და გ) ძალები, რომლებიც ინდივიდს აღემატება (ტრანსცენდენტალურია). სულიერება ინდივიდუალური და ინკლუზიურია, რელიგია კი – ექსტერნალური და ექსკლუზიური. სულიერება თავის საწყისს პოულობს რელიგიაში და რელიგიისგან განცალკევებით არსებობა არ შეუძლია. რელიგია ერთი ადამიანის რწმენა არ არის, ის ადამიანთა მიერ გაზიარებული მორალური წარმოდგენებისა და პერცეფციების ერთობლიობაა, რომელიც სამყაროში ადამია-

ნის არსებობას, ეგსისტენციას ხსნის. რელიგია არის ღირებულებების, დოქტრინებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც ადამიანებს ეთიკურ და მორალურ ჩარჩოს აწვდის მოტივაციისა და ქცევისათვის (King 2007).

სტარტერი, ჰოლი და ედვარდსი (Slater, Hall and Edwards 2001) სულიერებას განსაზღვრავს როგორც ადამიანის ინდივიდუალურ გამოხატულებას. რელიგია შეიცავს ამ ელემენტს (ინდივიდუალური გამოხატულების), მაგრამ კვლევა უნდა წარიმართოს ჯგუფის კონტექსტში, რომელიც ახდენს არსებულ ინდივიდუალ გამოხატულებათა მნიშვნელობისა და მეთოდების ლეგიტიმაციას.

გამოყოფენ სულიერების სამ აპექტს, რომლებიც მნიშვნელოვანია შრომასთან მიმართებაში: პარალელური ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება და ინტეგრაციული ურთიერთდამოკიდებულება (Giacalone and Jurkiewicz, 2010). პარალელური ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს, რომ სულიერება და შრომა განცალკევებული და განსხვავებული სამყაროებია. ორივე მათგანი არსებობს, თუმცა ურთიერთზე გავლენას არ ახდენენ. ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულების შემთხვევაში შრომა და სულიერება არა მხოლოდ არ კვეთს ერთმანეთს, არამედ ერთმანეთთან მტრულ ურთიერთმიმართებაში არიან. ინტეგრაციული ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევაში სულიერება და შრომა ურთიერთდაკავშირებულია და კაუზალური ურთიერთმიმართებით ხასიათდება.

1.3. ლოურენს ჰარისონი: „ცენტრალური ლიბერალური ჭეშმარიტება“

ნაშრომში ჰარისონი (Harrison, 2006) ცდილობს, გამოკვეთოს კულტურის როლი საზოგადოების განვითარებაში. მისი აზრით, განმანათლებლობის, დემოკრატიზაციისა და სოციალური თანასწორობის დამყარების პროცესში კულტურა არანაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე კლიმატი, ბუნებრივი რესურსები ან

ზოგადად გეოგრაფიული მდებარეობა. კულტურის როლი, ხშირ შემთხვევაში, ნიველირებულია, რადგან მეცნიერებისა და პოლიტიკოსებისთვის არ არის მომგებიანი ამა თუ იმ ჯგუფის შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარება და წარუმატებლობა მიაწერონ, მაგალითად, მათ რელიგურ კუთვნილებას. ჰარისონი მიიჩნევს, რომ ძირითადად სწორედ კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა, ის არ გამორიცხავს, ზემოხსენებული სხვა ფაქტორების როლსაც. ავტორი ასევე ცალკე გამოყოფს პოლიტიკური ლიდერების ფენომენს, რომლებსაც აქვთ უკეთესი საზოგადოების ხედვა. ამის მაგალითად წიგნში მოყვანილია მეიძის რევოლუციის ლიდერები იაპონიაში, მუსტაფა ქემალი თურქეთში, ფრანკლინ რუზველტი აშშ-ში, ლი კუან იუ სინგაპურში... ყველაზე ახლო წარსულიდან კი – მიხელ გორბაჩოვი. თუმცა, ჰარისონისთვის მთავარ ფაქტორად კულტურა რჩება.

კულტურის ქვეშ ის მოიაზრებს ღირებულებების, წარმოდგენებისა და დანაწესების ერთობლიობას, რომელიც გაზიარებულია საზოგადოების წევრების მიერ და თაობიდან თაობას გადაეცემა. ღირებულებებისა და წარმოდგენების ფორმირებაში მთავარ როლს გარემო, ისტორია და რელიგია ასრულებს. თაობიდან თაობას კი ბავშვების აღზრდით, სოციალიზაციით, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითა და რელიგიური პრაქტიკებით გადაეცემა.

ჰარისონი თვლის, რომ კულტურაზე დიდ ზეგავლენას ახდენს რელიგია. შესაბამისად, წიგნში განხილული კულტურები მას განსაზღვრული აქვს დომინანტი რელიგიების ან მორალური კოდექსის საფუძველზე: მაგალითად, პროტესტანტული, კათოლიკური, მართლმადიდებლური, იუდეური, ისლამური, კონფუციანური, ინდუისტური და ბუდისტური კულტურები.

აქედან გამომდინარე, ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რელიგიისა და პროგრესის ურთიერთმიმართებას, კერძოდ ჰარისონი აანალიზებს, თუ რა გავლენას ახდენს რელიგიური კუთვნილება ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების ტემპზე.

ჰარისონი აღნიშნავს, რომ როცა საუბარია პროგრესზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ლიბერალური ტრადიცია, რომელიც ყველა რელიგიის მიმართ თანაბარ პატივისცემას მოითხოვს. თავისი მრავალწლიანი დაკვირვების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ზოგიერთი რელიგია, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად შეესაბამება დემოკრატიულ პოლიტიკას, სოციალურ სამართლიანობასა და განვითარებას. პროგრესის მიმართ ყველაზე რეზისტენტული/წინააღმდეგობრივი რელიგიის მაგალითად განხილულია ვუდუ – რელიგია, რომელიც დომინირებს ჰაიტიზე. გამომდინარე იქედან, რომ ვუდუ აღმერთებს ირაციონალურობის კულტს, ის ბადებს უსუსურობის შეგრძნებასა და ფატალიზმს, რის შედეგადაც ახშობს ეკონომიკური საქმიანობის მცდელობასაც კი. ამიტომ ჰარისონი ჰაიტიზე უკიდურესი სიდუხჭირის, სოციალური და პოლიტიკური პათოლოგიების მთავარ მიზეზად სწორედ ვუდუს მიიჩნევს.¹⁰

რელიგიის როლს საზოგადოების განვითარებაში ჰარისონი აანალიზებს 117 ქვეყნის მაგალითზე, რომელთაგან თითოეულის მოსახლეობა, სულ მცირე, 1 მილიონია. ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა კი შემდეგი ექვსი რელიგიიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება – პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, ბუდიზმი, ისლამი, ინდუიზმი და კონფუციანიზმი. კვლევაში ასევე ჩართულია ისრაელი, სადაც ძირითადად იუდეიზმია გავრცელებული.

ჰარისონი კვლევაში იყენებს შემდეგ მონაცემებს:

1. გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსი
2. გაეროს მონაცემები მსოფლიოში წერა-კითხვის შესახებ
3. გაეროს მონაცემები მსოფლიოში წერა-კითხვის შესახებ ქალებში

¹⁰ ჰარისონი 1997-1999 წლებში ხელმძღვანელობდა USAID-ის მისიას ჰაიტიზე. ამ საკითხზე გამოქვეყნებული აქვს საინტერესო სტატია *The Wall Street Journal*-ში *Haiti and the Voodoo Curse: The Cultural Roots of County's Endless Misery*

4. გაეროს მონაცემები შობადობის შესახებ
5. Freedom House-ის თავისუფლების ინდექსი
6. დემოკრატიული განვითარების ქრონოლოგია
7. მსოფლიო ბანკის მონაცემები ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის რაოდენობის მიხედვით
8. მსოფლიო ბანკის მონაცემები შემოსავლების განაწილების შესახებ
9. ღირებულებებისა და ნდობის მსოფლიო ცენტრის მონაცემები
10. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსი

ზემოჩამოთვლილ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ჰარისონი აყალიბებს „შვიდ საერთო დასკვნას“, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ანალიზის სამეცნიერო სიზუსტე შეზღუდულია რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, ქვეყნების რელიგიური შემადგენლობა ერთფეროვანი არ არის. მეორე, გერმანია, შვეიცარია და ჰოლანდია კვლევაში განხილულია, როგორც პროტესტანტული სახელმწიფოები, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ამ სახელმწიფოებში კათოლიკეები შეადგენენ. ჰარისონი ამ შემთხვევაში ამოდის შეხედულებიდან, რომ ისტორიულად ეს სახელმწიფოები სწორედ პროტესტანტიზმმა შექმნა. მესამე, ყველა რელიგიაში არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობა, რამაც ასახვა ვერ ჰპოვა კვლევაში. ასევე არაა გათვალისწინებული სხვადასხვა ხალხების ნაციონალური თავისებურებები და ა.შ.

1. პროტესტანტიზმმა უფრო კარგი პირობები შექმნა მოდერნიზაციისთვის, ვიდრე კათოლიციზმმა, განსაკუთრებით დასავლეთ ნახევარსფეროში.

გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსიდან ნათლად ჩანს, რომ პროტესტანტულმა სახელმწიფოებმა უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს, ვიდრე კათოლიკურმა სახელმწიფოებმა. ავტორს ეს ინდექსი ყველაზე «კარგ» საზომად მიაჩნია, რადგან ის აერთიანებს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა სიცოცხლის სავარაუდო

ხანგრძლივობა, სწავლის დონე სკოლაში, წერა-კითხვის ცოდნა ზრდასრულ ადამიანებში და მშპ ერთ სულ მოსახლეზე.

Freedom House-ის მონაცემებით პროტესტანტული სახელმწიფოების დემოკრატიულობის საშუალო მაჩვენებელი 2,3-ია, კათოლიკურის კი – 5,5.¹¹ მართალია, კათოლიკური სახელმწიფოების საერთო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად განაპირობებს არადემოკრატიული ლათინური ამერიკა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჰარისონი პოულობს ალექსის დე ტოკვილის ჰიპოთეზის «პროტესტანტიზმის დემოკრატიულობასთან შინაგანი სიახლოვის შესახებ» დამამტკიცებელ ფაქტობრივ მონაცემებს – განვითარებულ სამყაროში პროტესტანტული ქვეყნების დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის საშუალო მაჩვენებელი 1852 წელია, კათოლიკურ სახელმწიფოებში კი – 1934 წელი.

საშუალო მაჩვენებლით პროტესტანტული სახელმწიფოები ასევე უსწრებენ კათოლიკურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობის, ნდობის ხარისხისა და კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მონაცემებით, მსოფლიოს 10 ყველაზე ნაკლებად კორუფციული სახელმწიფოდან 8 პროტესტანტულია, ერთი – კონფუციანური და მხოლოდ ერთი კათოლიკური (ლუქსემბურგი, მოსახლეობით დაახლოებით 0,5 მლნ). თუმცა, კათოლიკური სახელმწიფოების საშუალო მაჩვენებელი გაცილებით უკეთესია, როცა საქმე შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას ეხება.

პროტესტანტული სახელმწიფოების ზემოთაღნიშნული უპირატესობის მთავარ მიზეზად ჰარისონს პროტესტანტული ეთიკა (პროგრესული ღირებულებები – შრომის ეთიკა და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, რასაც ეფუძნება პროტესტანტიზმი) მიაჩნია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამრეწველო რევოლუციასთან. ავტორი ამერიკის მაგალითზე აღნიშნავს, რომ პროტესტანტული რელიგია თავიდანვე იყო შრომის რელიგია. თუკი სხვა საზოგადოებებში, სოციალურ სტატუსს განსაზღვარ-

¹¹ 2-ყველაზე კარგი მაჩვენებელი, 14-ყველაზე ცუდი

ვდა ტრადიციები, სოციალური და კლასობრივი მდგომარეობა, ან ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება, ამერიკაში ასეთი განმსაზღვრელი იყო შრომა.

2. პროგრესის ჩემპიონები სკანდინავიური ქვეყნები არიან

სკანდინავიური ქვეყნები – დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი და ისლანდია, თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით მონინავე პოზიციებზე არიან – Freedom House-ის პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ინდექსის, საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის, გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსის და ა.შ. მიხედვით. ამის მთავარ მიზეზად ჰარისონს ლუთერანობა მიაჩნია, რომელმაც მისი სიტყვებით ამ სახელმწიფოებზე «ღრმა გავლენა მოახდინა».

3. მოდერნიზაციის მიმართ კონფუციანიზმი უფრო გახსნილი აღმოჩნდა, ვიდრე ბუდიზმი, ისლამი ან ინდუიზმი.

ჰარისონის მიერ მოყვანილ ტიპოლოგიაში კონფუციანური სახელმწიფოების საერთო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აუარესებს ჩინეთის ფაქტორი. განვითარებული სამყაროს წევრი კონფუციანური ქვეყნების(იაპონია, ჰონგკონგი, ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა) მაჩვენებლები უახლოვდება ანალოგიური კათოლიკური სახელმწიფოების მაჩვენებლებს – გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსი, წერა-კითხვის დონე, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, შემოსავლების განაწილება.

4. საბერძნეთი, რომელიც ყველაზე განვითარებულია მართლმადიდებლური ქვეყნებიდან, 2004 წლამდე ევროკავშირის წევრებს შორის ყველაზე ღარიბი იყო. კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ქვეყნებს შორის არის ზოგიერთი მსგავსება. თუმცა, მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში შეინიშნება კომუნისტური წარსულის უდავო ნიშნები.¹²

¹² ჰარისონის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, გვსურს ერთი ეპიზოდის მოყვანა, რომელიც საყურადღებოა სპონტანურობითა და მასში

მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სახელმწიფოებს თითქმის იდენტური მაჩვენებელი აქვთ გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსსა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ კომუნისტები განათლებაზე დიდ აქცენტს აკეთებდნენ, მართლმადიდებლურ ქვეყნებს წერა-კითხვის დონის ისეთივე მაჩვენებელი აქვთ, როგორც განვითარებული სამყაროს წევრებს. თუმცა, მართლმადიდებლური სამყაროდან მხოლოდ საბერძნეთი შედის მათ რიცხვში. ამ სახელმწიფოებში კორუფციის საკმაოდ მაღალი დონე წარსულში მათ ტერიტორიაზე კორუმპირებული კომუნისტური რეჟიმების არსებობით აიხსნება.

ჰარისონს მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით მოყავს აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტის ნიკოლას გვოზდევის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის დოქტრინა მხარს არ უჭერს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საბაზრო ეკონომიკას. ავტორი აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლური ეკლესია დღეს იზიარებს პოზიციას, რომელიც კათო-

გამოხატული ცხოვრებისეული ფილოსოფიით (ცხადია, ყოველგვარი განზოგადება დაუშვებელია): წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრს, საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე ყოფნისას, გამოელაპარაკა ადგილობრივი ტაქსის მძღოლი, დაახლოებით 60 წლის მამაკაცი. მოქმედება ხდება 2012 წელს, როცა რეალურად დადგა საბერძნეთის ევროკავშირიდან გაყვანის საკითხი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო; ბუნებრივია, რომ ეს თემა მთელ ქვეყანაში ვნებათა ლეღვის საგანი იყო, და ტაქსის მძღოლმაც, როგორც ეტყობა, მგზავრთან გააგრძელა ვილაცასთან დაწყებული ტემპერამენტიანი საუბარი. იგი ჯერ დარწმუნდა, რომ მგზავრი არაა დასავლეთ ევროპიდან, შემდეგ კი გაუზიარა საკუთარი შეხედულებები, რომელთა რეზიუმეს გთავაზობთ: რადგან საბერძნეთი ევროკავშირში მიიღეს, დასავლეთმა უნდა შეინახოს კიდევ იგი. ბერძნები განსაკუთრებული ხალხია, ისინი შრომობენ იმისათვის, რათა იცხოვრონ და არა პირიქით, როგორც დასავლეთელები, რომლებიც ცხოვრობენ, რათა იშრომონ. „მაგალითად მე – დასძინა მძღოლმა – დღე დაკარგულად მიმაჩნია, თუ საღამოს ერთი კარგად არ ვიცეკვე!“

ლიკურს ქონდა წინა საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ მან XX საუკუნის მეორე ნახევარში ღიად და სრულად არ დაუჭირა მხარი დემოკრატას. ჰარისონს ასევე მოყავს ამონარიდი ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნის (ირაკლი ჭყონია) სტატიიდან, სადაც საუბარია საქართველოში მართლმადიდებლობის ნიშნებზე: «ხელისუფლების ერთგულება, განსხვავებული აზრისა და ინიციატივების ჩახშობა, ნოვატორობისა და სოციალური ცვლილებების მიმართ წინააღმდეგობა, კოლექტივიზმი, აქცენტირება ეთნიკურ კუთვნილებაზე, იზოლაციონიზმი და პარტიკულარიზმი, ფატალიზმი და სულიერი დეტერმინიზმი. ასევე სახეზეა ზიზლი სხვა არამართლმადიდებლური დასავლური ეკლესიებისა და ისლამური სამყაროს მიმართ».

5. ისლამი ყველა მაჩვენებლით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლურ რელიგიებსა და კონფუციანობას. არაბულ და არაარაბულ ისლამურ ქვეყნებს შორის არსებობს განსაზღვრული განსხვავებები.

ისლამური სახელმწიფოები თითქმის ყველა მაჩვენებელით ჩამორჩებიან კონფუციანურ სახელმწიფოებს. სხვაობის მასშტაბები იზრდება ქრისტიანულ ქვეყნებთან შეპირისპირებისას. ჰარისონი ისლამის პროგრესისადმი რეზისტენტულობის ასახსნელად იშველიებს ბასსამ ტიბის მოსაზრებებს. ტიბი წარმოშობით სირიელი არაბია, რომელიც გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

ტიბის აზრით, ისლამური ქვეყნების მოდერნიზაციისადმი ჩაკეტილობას რამდენიმე ძირითადი მიზეზი იწვევს. პირველი ისლამური კულტურის ჩაკეტილობაა. სხვებისგან სწავლის სურვილის არქონაში ავტორი წინ ფსიქოლოგიურ მომენტს აყენებს – სხვისგან სწავლა აღიქმება, როგორც ზიანის მიყენება საკუთარი ეგოსთვის, თვითმყოფადობისთვის. ტიბისთვის ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი არაკულტურული, პოლიტიკური ფაქტორი – „რევოლუცია დასავლეთის წინააღმდეგ“, რაც არ გულისხმობს დაპირისპირებას მხოლოდ დასავლურ ჰეგემონიასთან, არამედ – ზოგადად დასავლურ ღირებულებებთან.

ჰარისონი აღნიშნავს, რომ, შესაძლოა, ისლამურ სამყაროში არსებული ანტიდასავლური განწყობის მთავარი მიზეზი ისლამის მიერ ისტორიული პოზიციების დაკარგვა/დასავლური ქვეყნების განვითარების დონე იყოს. ავტორს ისლამური ქვეყნებისთვის საუკეთესო გამოსავლად ბერნარდ ლუისის ცნობილი შეგონება მოჰყავს: როცა ადამიანები ხვდებიან, რომ ყველაფერი ისე არაა, როგორც საჭიროა, მათ შეიძლება, გაუჩნდეთ ორი კითხვა: პირველი, რა გავაკეთეთ არასწორად? და მეორე – ვინაა დამნაშავე? მეორე კითხვას მოჰყვება შეთქმულების თეორია და პარანოია, მაშინ როცა პირველს სხვა მიმართულებით მივყავართ: „როგორ გამოვასწოროთ?“

ჰარისონის აზრით, სხვების დადანაშაულების ნაცვლად, სწორედ ეს პირველი გზა უნდა აირჩიონ ისლამურმა სახელმწიფოებმა, გახადონ კულტურა ღია სხვა კულტურებისთვის, პატივი სცენ მათ და დააფასონ ცოდნა და განათლება.

6. ინდოეთის დემოკრატიული ინსტიტუტები საკმაოდ სტაბილურია. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ის განიცდის ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, შედარებით ნაკლებად ვითარდება განათლების სფერო და მაღალია კორუფციის დონე.

პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მიხედვით, ინდუისტურ ინდოეთს აქვს ყველა ჯგუფზე უკეთესი მაჩვენებელი, პროტესტანტული სახელმწიფოების გარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდა ინდოეთში უკვე 1990-იანი წლების ბოლოს შეადგენდა 6%-ს. თუმცა, ძალიან დაბალია განათლების დონე. ინდოელი ქალების ნახევარზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა, რაც ასევე მიუთითებს გენდერულ უთანასწორობასა და ქალების დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე.

ჰარისონს პროგრესთან მიმართებაში ინდუიზმის როლის ასახსნელად მოჰყავს ბჰანუ მეჰტას მოსაზრებები. მეჰტა თვლიდა, რომ როგორც დოქტრინა, ინდუიზმი ზედმეტად მოქნილია, მისი სტრუქტურა იმდენად დაქუცმაცებულია, რომ ის ვერ გამოდგება რეფორმების მხარდამჭერად. მეტიც, მეჰტა მიიჩნევდა, რომ ინდუიზმსა და მოდერნიზაციას შორის საერთოდ არ არსებ-

ბობდა კავშირი. ინდუიზმი ისწრაფვის საკუთარი მე-ს სრული რეალიზებისთვის, რაც შეიძლება მოგვეჩვენოს დემოკრატიული მომავლის კარგ რესურსად. თუმცა, ინდოეთის ისტორიაში იყო ამ საქმისთვის რაიმე ქმედითი სოციალური სტრუქტურის შექმნისა სულ რამდენიმე მცდელობა.

ჰარისონს იქვე მოყავს გუნარ მიურდალის მოსაზრება, რომ დემოკრატიისადმი ინდუიზმის წინააღმდეგობა კასტური სისტემის არსებობითაა განპირობებული.

ინდუიზმზე საუბარს ავტორი ასრულებს მეჭტას მოსაზრებით – ინდუიზმის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მან თავის მიმდევრებს თვით ინდუიზმისვე შექმნილი შეზღუდვების დაძლევა ასწავლა.

7. ბუდიზმის შესახებ რაიმე განზოგადების გაკეთება რთულია მისი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. თუმცა, ერთი რამ ცხადია – ის არ წარმოადგენს მოდერნიზაციის ძლიერ საშუალებას.

ეკონომიკურ საქმიანობასა და დემოკრატიასთან ბუდიზმის მიმართების ასახსნელად ჰარისონი იშველიებს ბოსტონის უნივერსიტეტის მკვლევარის, კრისტალ უილანის მოსაზრებებს. უილანი აღნიშნავს, რომ ბუდიზმსა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის არსებობს გარკვეული თავსებადობა, თუმცა ბუდისტების უმრავლესობა იზიარებს ერნსტ შუმპახერის მიერ შემოთავაზებულ მიდგომას „მცირედი-მშვენიერია“. უილანის აზრით, ბუდიზმი შეიძლება არც იყოს პროგრესის შემაფერხებელი, რადგან ის მიესალმება სიმდიდრის მოპოვებას, თუმცა კი გმობას მასთან მიჯაჭვულობას.

რაც შეეხება ბუდიზმის მიმართებას დემოკრატიასა და სოციალურ სამართლიანობასთან, უილანი აღნიშნავს, რომ ინდოეთში ბუდას დროს არსებული ბუდა-შაკიამუნის მიმდევართა თემი, სანგჰა, გამოხატავდა დემოკრატიის იდეალს – „წმინდანობის მოპოვების გზაზე ყველაზე თანასწორია“... თუმცა, შემდგომში, სხვა კულტურებთან ასიმილირების შედეგად, ბუდიზმმა მრავალი იერარქიული ინსტიტუტი შექმნა.

წიგნში განვითარებული, ზემოთ ხსენებული შვიდი ძირითადი დასკვნის პარალელურად, ჰარისონი განიხილავს იუდაიზმს, რომელიც დომინირებს მხოლოდ ერთ სახელმწიფოში – ისრაელში. ავტორი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაზე ებრაელების დიდი გავლენა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მისი წიგნის მთავარ საკვლევ კითხვას – რა არის ებრაულ კულტურაში ისეთი, რამაც მათ ამის საშუალება მისცა?

ჰარისონი კითხვას კანადელი ჟურნალისტის ჯიმ ლედერმანის მოსაზრებებით პასუხობს. ებრაული ტრადიციის მიხედვით, ამქვეყნად ჩვენი არსებობა არის დაუსრულებელი პროექტი, რომლის გაგრძელებაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავივლით ამ გზას. ამიტომაც აუცილებელია მომავალზე ორიენტირება, რაც მოითხოვს უწყვეტ სოციალურ წარმოებასა და კონსტრუირებას. ყველაფერი ეს წყდება მხოლოდ მესიის გამოჩენის შემდეგ. აქედან გამომდინარე, საზოგადოების თითოეული წევრი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნიერების გაუმჯობესებაში. საზოგადოების წევრების სტატუსს კი განაპირობებს მათი ინდივიდუალური მიღწევები და სწრაფვა სრულყოფილებისაკენ.

თავი 2. შრომის კულტურა და რელიგიური დისკურსი

ექსპერტული/ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი

2.1. ქართული საზოგადოება და მართლმადიდებლობა

როგორც კვლევაში ჩართული ექსპერტები მიუთითებენ, სტალინის სიკვდილისა და ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის“ ნაწილობრივი დემონტაჟის შემდეგ, საბჭოთა ისტებლიშმენტში ძალიან სერიოზული, პრაქტიკულად რევოლუციური ცვლილება მოხდა – ძალაუფლების მწვერვალზე უშიშროების ორგანოები შეცვალა პარტიულმა ნომენკლატურამ, რომელიც ამის საფასურად იძულებული გახდა გარკვეული ლიბერალიზაცია დაეშვა. ეს შეეხო რელიგიისადმი დამოკიდებულებასაც. „მებრძოლი ათეიზმი“ შეცვალა უფრო ნეიტრალურმა პოზიციამ, თუმცა, რა თქმა უნდა, რელიგია კვლავ ცხადდებოდა კომუნისტურ იდეოლოგიასთან შეუთავსებლად, ხოლო რელიგიური ორგანიზაციები სპეცსამსახურების გაძლიერებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

რეჟიმის ლიბერალიზაცია საქართველოში განსაკუთრებით იგრძნობოდა; ამის მიზეზების კვლევა მოცემული კვლევის ამოცანას სცილდება, თუმცა, ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიური წნეხი საქართველოში შედარებით შესუსტებული იყო, ისევე, როგორც ცენზურა საერთოდ, მათ შორის რელიგიის მიმართ (მაგალითად, ნოდარ დუმბაძის რომანში „მარადისობის კანონი“ მღვდელი გამოყვანილია როგორც დადებითი პერსონაჟი, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო სხვა რესპუბლიკების ლიტერატურულ პროდუქციაში).

მიუხედავად ამისა, გამოკითხული ექსპერტების აზრით, სარწმუნოება, ანუ მართლმადიდებლობა, ამ პერიოდის ქართულ იდენტობაში არ გადაიქცა მნიშვნელოვან კომპონენტად. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, იყო ის, რომ სოციალური შეკვეთა რელიგიაზე არ იყო გამოკვეთილი: რეჟიმი აღქმული იყო როგორც ძლიერი და ბოროტი, თუმცა – ბრიყვი მონსტრი, რომელთანაც ბრძოლას აზრი არა აქვს, მაგრამ იგი ადვილად შეიძლება მოატყუო და აშენო შენი „პატარა ბედნიერება“. საერთო ატმოსფეროში უდარდებლობა სჭარბობდა, მასობრივი სტრესისა და უიმედობის ფაქტორები არ მოქმედებდა, ქუხდა ქართული ხელოვნება და სპორტი (რომლებიც შეადგენდნენ იდენტობის მნიშვნელოვან კომპონენტებს) – ასე რომ, რელიგიის მოთხოვნილება არ იგრძნობოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რელიგია მაინც თამაშობდა გარკვეულ როლს ყოველდღიურ ცხოვრებაში: ბავშვის მონათვლა საყოველთაო პრაქტიკა იყო (ოღონდაც ეს იყო „სოციალურად სასურველი“ და არა აუცილებელი), არსებობდა ნათლიის სოციალური როლი; კარგ ტონად და ერთგვარ ფრონდიორობადაც ითვლებოდა ეკლესიაში საშობაოდ და სააღდგომოდ მისვლა (რასაც რეჟიმი ებრძოდა შესაბამის დღეებში ტელევიზიით პოპულარული უცხოური ფილმების დემონსტრირების მეშვეობით). რელიგიის მნიშვნელოვნება პრაქტიკულად ამით ამოიწურებოდა.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მართალია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტური რეჟიმი ერთგვარად დაუპირისპირდა ეკლესიას, მაგრამ მოგვიანებით, უკვე ედუარდ შევარდნაძის დროს, ნაციონალიზმი და მართლმადიდებლობა დაუახლოვდნენ ერთმანეთს იმდენად, რომ „გაცოცხლდა“ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული პარადიგმა, რომლის მიხედვითაც „ქართველი“ და „მართლმადიდებელი“ სინონიმებს წარმოადგენდა.

სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, დღეისათვის ეკლესია გაცილებით მეტი ნდობით სარგებლობს, ვიდრე სხვა რაიმე საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მოსახლეობის 90%-მდე თავს მორწმუნედ მიიჩნევს, ხოლო საქართველოს ეკლესიის მე-

თაურის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ნდობის რეიტინგი 95%-ს აღემატება;¹ ყველა ზომის ხატები და ჯვრები თანამედროვე ინტერიერისა თუ ლანდშაფტის ჩვეული დეტალი გახდა, რელიგიურობის დემონსტრირება საჯარო სივრცეში „კარგ ტონად“ იქცა და ა.შ. (თუმცა, ამავე დროს, იგივე სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საეკლესიო რიტუალების რეგულარულად შემსრულებელთა რიცხვი 15-18%-ს არ აღემატება).

ამავე დროს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ქვეყანაში მოქმედებს მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომლებიც მართლმადიდებლობის დროშით აქტიურად იბრძვიან სექსუალური განათლების, ევოლუციის თეორიის, რელიგიური უმცირესობების, გენდერული თანასწორობისა და ზოგადად, დასავლური გავლენის წინააღმდეგ.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობისათვის რელიგია ასრულებს დაცვით ფუნქციას მომავლის შიშისაგან, რაც თან სდევს „ისტორიაში დაბრუნებას“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით; სხვა სიტყვებით, რელიგია „გაურკვევლობის აცილების“ საშუალებაა (Hofstede 1983). ამაზე მეტყველებს ფართოდ გავრცელებული რწმენა იმისა, რომ საქართველო ღვთისმშობლის პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, გამოთქმა „ღვთიური საქართველო“ და სხვ.

ექსპერტებში თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ეკლესიის გავლენა იგრძნობა სოციალური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში (განსაკუთრებით კი სოფლად, სადაც მორწმუნეები თავის ვალად თვლიან მოძღვრისაგან თანხმობის მიღებას წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებზეც კი, როგორცაა, მაგალითად, თმის შეჭრა). ეს კი განაპირობებს ეკლესიის ზემოქმედებას სოციალური ღირებულებების სისტემასა და ყოველდღიური ქცევის პატერნებზე, მათ შორის შრომის პრაქტიკებზე

¹ იხ. „ქართული საზოგადოებების ღირებულებები“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2006 წ.

2.2. ინდივიდუალიზმი VERSUS კოლექტივიზმი

ექსპერტების აზრით, ლ. ჰარისონი (იხ. მოცემული წიგნის პარაგრაფი 1.5) თავის ნაშრომში (Harrison, 2006) არ იყენებს ძალზე მნიშვნელოვან ეტალონურ ცვლადებს/დიხოტომიებს (pattern variables), როგორცაა „ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი“. ეს ცვლადები, როგორც კულტურის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებელი, ფართო სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ჰ. ტრიანდისმა (Triandis 1978), ხოლო შემდგომ განავითარა გ. ჰოფსტედემ (Hofstede 1983).

ინდივიდუალისტური კულტურები ნაახალისებენ და აფასებენ ადამიანის ინდივიდუალობასა და უნიკალურობას; იერარქიული ძალაუფლება და სოციალური განსხვავებები ნაკლებადაა გამოკვეთილი. კოლექტივისტურ კულტურებში ფასობს ჯგუფური ინტერესები; ინდივიდების ატრიბუცია ხდება უფრო ჯგუფური მიკუთვნებულობის, ვიდრე მისი საკუთარი უნარ-თვისებების მიხედვით. ამგვარ საზოგადოებებში დაცულია იერარქიული დიფერენციაცია და ვერტიკალური კავშირები; ადამიანის როლი, სტატუსი და ქცევა განპირობებულია იერარქიულ სტრუქტურაში მისი მდგომარეობით.

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი განიხილება როგორც კულტურის პარამეტრი, თუმცა, ექსპერტების აზრით, მისი მისადაგება შეიძლება ცალკეული რელიგიების მიმართაც; სხვა სიტყვებით, იმის გარკვევა, თუ რამდენად ნაახალისებს ესა თუ ის კონფესია ინდივიდუალისტურ ან კოლექტივისტურ ტენდენციებს თავის მრევლში.

ზოგადად, რელიგია როგორც სოციალური ინსტიტუტი, თავისი არსით, კოლექტივისტურია. ჯგუფური რიტუალები, პროზელიტიზმი, სხვა რელიგიებთან დაპირისპირება, რაც მეტ-ნაკლებად ყველა სარწმუნოებისთვისაა დამახასიათებელი, ეს ყველაფერი განაპირობებს კოლექტივისტური სულის და იდენტობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას.

ინდივიდუალიზმი კაპიტალისტური სულის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს; ასე რომ, თუ დავრჩებით მაქს ვებერის

პარადიგმის ჩარჩოებში, შეიძლება ვთქვათ, რომ კალვინისტურმა პროტესტანტობამ დიდად შეუწყო ხელი (თუ არ განაპირობა) ინდივიდუალისტური საზოგადოებებისა და კულტურების ჩამოყალიბებას. სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო მღვდელთმსახურებისათვის ღმერთთან შუამავლის ფუნქციის გაუქმებამ, რაც დღემდე შემორჩენილია კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობაში.

რაც შეეხება ევროპის კათოლიკურ ქვეყნებს, აქ საბაზრო ეკონომიკამ, ინდუსტრიალიზაციამ და ეკონომიკურმა განვითარებამ განსაზღვრა სეკულარიზაცია და ინდივიდუალიზმის ხარისხის ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, გადაიდგა ახალ რეალობის მიღებისა და მასთან ადაპტაციისაკენ მიმართული ნაბიჯები საკუთრივ ეკლესიის მხრიდან, რაც არ მოხდა მართლმადიდებელ ქვეყნებში. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე დიდში, რუსეთში, ეკლესიისაგან გაუცხოება (სხვა ფაქტორებთან ერთად) დასრულდა რევოლუციითა და პრინციპულად კოლექტივისტური, იერარქიული რეჟიმის დამყარებით, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურისა და იდეოლოგიის ბევრი ნიშანი იკითხება (პრეტენზია აბსოლუტურ და უცვლელ ჭეშმარიტებაზე, „მღვდელთმსახურების“ – პარტიული ნომენკლატურის დომინანტური ფენა, წმიდა ნაწილების თაყვანისცემა და სხვ.). მოგვიანებით ახალმა რეჟიმმა მოიცვა ყველა ტრადიციულად მართლმადიდებელი ქვეყანა, საბერძნეთის გარდა, რაც ძნელია შემთხვევითობად ჩავთვალოთ, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ თვით კომუნისტურ ბლოკში ქრისტიანული ტრადიციის მქონე ქვეყნებს შორის მართლმადიდებელი ქვეყნები ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩებოდნენ დანარჩენებს.

რა კავშირშია ზემოთქმული შრომის ეთიკასთან? თუ დავეთანხმებით მ. ვებერს იმაში, რომ გაბატონებული რელიგია მეტნაკლებად გავლენას ახდენს საზოგადოების ღირებულებით სისტემაზე და ქცევით პრაქტიკებზე (მათ შორის რელიგიისაგან დამორებულ სფეროებში), მაშინ შეგვიძლია დავსახოთ მართმადიდებლური იდეოლოგიის ის „ვექტორები“, რომლებიც სავარაუდოდ დაკავშირებულია შრომის კულტურასთან:

- კოლექტივიზმი
- იერარქიულობა
- წარსულზე მიმართული დროის ლოკუსი; შესაბამისად ნაკლები ყურადღება სოციალური ცვლილებებისა და ახალი ტექნოლოგიების მიმართ
- უარყოფითი დამოკიდებულება კომერციისა და, ზოგადად, ფულის მიმართ
- სიტყვის პრიორიტეტი საქმესთან შედარებით

როგორც ვხედავთ, გამოყოფილი „ვექტორები“ რადიკალურ წინააღმდეგობაშია „კაპიტალისტურ სულსა“ და მის შესაბამის შრომის ეთიკასთან. იძლევა თუ არა ეს გარემოება პესიმისტური დასკვნების საფუძველს ტრადიციულად მართლმადიდებლური ქვეყნების მომავალთან დაკავშირებით? ექსპერტების აზრით, ასეთი დასკვნა ნაადრევია, ვინაიდან გაუთვალისწინებელი რჩება საბაზრო ეკონომიკა და მასთან განუყრელად დაკავშირებული მენტალური და ქცევითი ცვლილებები (არ დაგვავიწყდეს, რომ საბაზრო ეკონომიკა ჯერ კიდევ ახალი რეალობაა ტრადიციულად მართლმადიდებელი ქვეყნების უმრავლესობისათვის). თუ შემოვიფარგლებით საქართველოს მაგალითით, ამ სოციალურ სივრცეში ექსპერტები დღეისათვის გამოყოფენ ორი ნამყვან დისკურსს: 1. ფუნდამენტალისტურ-ნაციონალისტურს და 2. დემოკრატიულ-ინდივიდუალისტურს. ამჟამად ეს წინააღმდეგობრივი ტენდენციები ასე თუ ისე თანაარსებობენ და ღია კონფლიქტში ერთმანეთთან ნაკლებად შედიან, მაგრამ მომავალში, ექსპერტების აზრით, მოსალოდნელია მათი უფრო მწვავე დაპირისპირება, რომელიც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა, ისიც არაა გამორიცხული, რომ ერთ-ერთმა დათრგუნოს მეორე. ჯერ-ჯერობით ფუნდამენტალისტურ-ნაციონალისტური დისკურსი უფრო გავლენიანია, თუმცა, გამოკითხვების მიხედვით, დემოკრატია და მენარმეობასთან დაკავშირებული ღირებულებების რეიტინგი იზრდება, და ამასთან, საკმაოდ სწრაფად, რაც გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

2.3. შრომა სულიერების წინააღმდეგ თუ სულიერებასთან ერთად?

ქართულ საეკლესიო ტრადიციაში შრომა არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ღირებულება (სიქველე). იგი გაგებულია როგორ ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფის საშუალება. ფიზიკური არსებობის მიზანი კი არის სულიერი სრულყოფა. ამასთან, შრომა „ბიბლიურად“ გაიგება, როგორც მინათმოქმედება ან ხელოსნობა.

კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ტრადიციებში სხვადასხვანაირადაა ინტერპრეტირებული ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვა Acedia (უმოქმედობა): კათოლიკური ეკლესია მას აიგივებს სიზარმაცესთან, ხოლო მართლმადიდებელი – სასონარკვეთილებასთან. შესაბამისად, მართლმადიდებელ ეკლესიებში, მათ შორის ქართულში, სიზარმაცე არ ითვლება ცოდვად, ყოველ შემთხვევაში, მძიმე ცოდვად.

საინტერესოა, რომ მართლმადიდებელ ტრადიციაში შრომა (ან რაიმე ანალოგიური ცნება) არ მოიხსენიება შვიდი მომაკვდინებელი „საპირნონეს“, შვიდი სიქველის რიცხვში, რომლებიცაა: 1. სიყვარული; 2. არამომხვეჭელობა (რომელიც ახსნილია როგორც „მხოლოდ აუცილებელით დაკმაყოფილება“, „სიყვარული ევანგელური სიღარიბის მიმართ“); 3. უმანკობა (როგორც მრუშობის საწინააღმდეგო ცნება); 4. ღვთისმოშიშობა (რომლის ინტერპრეტაციაში გვხვდება „მინიერი განსწავლულობის (სიბრძნის) უარყოფა“); 5. თავშეკავება; 6. თვინიერება; 7. სულის სიფხიზლე.²

ერთ-ერთი რესპონდენტის, მართლმადიდებელი თეოლოგის თქმით, მართლმადიდებელი საეკლესიო ცხოვრება გადატირებულია დღესასწაულებით, წირვა გრძელა, ამასთან, წირვის დროს მრევლი ფეხზე დგას (კათოლიკური წესისაგან განსხვავებით);

² «В помощь кающимся», из творений святителя Игнатия Бранчанинова. Сретенский монастырь, 1999 г. Стр. 3-16;
http://voliaboga.narod.ru/stati/08_03_04_poiashenie_dobrodet.htm

მრევლი იღლება და დროც არ რჩება პროდუქტიული შრომისათვის.

კიდევ ერთი რესპონდენტი, ყოფილი მართლმადიდებელი მღვდელთმსახური აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლობა ორიენტირებულია სიტყვაზე და არა საქმეზე; საქმე გაგებულია პირველ რიგში როგორც სულიერი მოღვაწეობა (ამას ეხმაურება ქართული სუფრის ტრადიცია, სადაც ეროვნული ღირებულებებისადმი (წინაპრები, სამშობლო და სხვ.) სიტყვიერი ლოიალობის გამოხატვა (სადღეგრძელო) პრაქტიკულად გაიგივებულია სოციალური ვალდებულებების შესრულებასთან).

დღემდე მოპოვებული მასალის ანალიზი გარკვეულ საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებული ეკლესიები გარკვეულ აკულტურაციას, „გაქართულებას“ განიცდიან, სახელდობრ, შემჩნევა აქცენტის გადატანის ტენდენცია „საქმიდან“ „სიტყვაზე“. განსაკუთრებით ეს ეხება ქართულ ბაპტისტურ ეკლესიას (რომელსაც, სხვათა შორის, არ აღიარებენ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ბაპტისტთა ჯგუფები). სხვა სურათია ე.წ. „ახალ ეკლესიებში“. მაგ. იეჰოვას მოწმეთა წარმომადგენლის ინტერვიუში შრომა დახასიათებულია როგორც რელიგიური ღირებულება: *„მორწმუნე ადამიანისათვის ღვთის მსახურება არის მნიშვნელოვანი, თუმცა მიუღებელია ამის გამო პიროვნებამ თავი იმართლოს, რომ ღვთის მსახურების გამო მე ვერ ვშრომობ“.*

2.4. „მადლი“ და მისი გავლენა ყოველდღიურ პრაქტიკაზე

სავარაუდოდ, დომინანტური რელიგიის, სახელდობრ კი მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატიკის გავლენა ყოველდღიურ შეხედულებებსა და პრაქტიკებზე (მათ შორის შრომასთან დაკავშირებულებზე) შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთი ცენტრალური ზოგადქრისტიანული ცნების – *მადლის* – მაგალითზე. ეს ცნება

სხვადასხვანაირად არის გაგებული მართლმადიდებლობაში, კათოლიციზმსა და პროტესტანტულ მიმდინარეობებში; ამ შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად საკუთრივ „მადლის“ ცნების შინაარსი (თეოლოგიურ-დოგმატური დეტალები), არამედ ამ ფენომენის გავლენა ყოველდღიურ პრაქტიკებზე. ამიტომ საკმარისია ტერმინ „მადლის“ განსაზღვრება, რომელიც მოცემულია რუსულ მართლმადიდებელ ენციკლოპედიაში და ეყრდნობა ბიზანტიელი თეოლოგის, წმ. გრიგოლ პალამას განმარტებას: *„ხელთუქმნელი (нетварная) ღვთიური ენერგია, ძალა ან ქმედება, რომელშიც ღმერთი ეცხადება ადამიანს, რომელიც მისი წყალობით გარდალახავს ცოდვას და მიაღწევს ღმერთთან ერთიანობას“*.³

როგორც ჩანს, განსაზღვრება საკმაოდ ზოგადია და ექვემდებარება ინტერპრეტაციას. სხვადასხვა ინტერპრეტაციამ მრავალი რელიგიური კონფლიქტი და ომიც კი გამოიწვია, საბოლოო ჯამში კი თანამედროვე მართლმადიდებლობის დოგმატიკისა და გაგების მიხედვით (მასთან ახლოს დგას კათოლიკური ინტერპრეტაცია), ზებუნებრივი ძალით, ღვთის მადლით, დაჯილდოებულია გარკვეული რელიგიური ობიექტები (ხატები, წმინდა ნაწილები, ნაგებობები და ა.შ.); მორწმუნესათვის, გარკვეული რიტუალების შესრულებით, შესაძლოა ამ მადლის გაზიარება, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ამისათვის აუცილებელია შუამავალი მღვდელთმსახურის სახით, რომელიც იმთავითვე მადლითაა მოსილი.

ამგვარი რწმენიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს (აქვე აღსანიშნავია, რომ გასათვალისწინებელია მაქს ვებერის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც დომინანტური რელიგიის გავლენა ვრცელდება არა მარტო ღრმად მორწმუნეებზე, არამედ ათეისტებსა და ფორმალურ მორწმუნეებზეც):

- ნეიტრალური დამკვირვებლისათვის ცხადია, რომ აღმსარებლობა უშვებს *მაგიის* ელემენტებს (რა თქმა უნდა, ოფიციალური ეკლესია ამ გარემოებას კატეგორიულად

³ `Благодать`, <http://www.pravenc.ru/text/149313.html>

უარყოფს): გარკვეული საკრალური ქმედებების შედეგად შესაძლებელია ზებუნებრივი ძალების სასიკეთო ჩარევა მიწიერი მოვლენების მიმდინარეობაში.

- გავრცელებული რწმენისა და პრაქტიკის მიხედვით ითვლება, რომ აღსარების რუტინულ-საკრალური პროცედურისა და მსუბუქი ეპიტიმიის მეშვეობით ხდება წინა აღსარების შემდეგ დაგროვილი ცოდვებისაგან (მათ შორის სიზარმაცისა თუ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულებისაგან) სრული განთავისუფლება, რის შემდეგაც იწყება ახალი ცოდვების „დაგროვება“ მომავალ აღსარებამდე.
- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამგვარი რწმენები და პრაქტიკები ხელს უწყობს *კონტროლის ექსტერნალური ლოკუსის* ჩამოყალიბებას (Rotter 1966), რომელიც *ოპტიმისტური ფატალიზმის* მსოფლხედვის (Nizharadze 2011) სახეს იძენს: ცხოვრება უკეთესისაკენ მიდის, მაგრამ საზოგადოებას და ცალკეულ ინდივიდებს ამაში წვლილი ნაკლებად მიუძღვნით, ყველაფერი ღვთის კეთილ ნებაზე, მადლზეა, დამოკიდებული; შესაბამისად, არასასურველი მოვლენები მიენერება ან ღვთის რისხვას (მაგ. სტიქიური უბედურებები), ან „ანტიმართლამიდებელ“, „სატანისტურ“ (ეს ეპითეტები, ფაქტიურად, სინონიმებად განიხილება) ძალებს (მაგ. ქალთა ემანსიპაცია).
- ვინაიდან მღვდელმსახური ღმერთთან შუამავალია და მას მადლით მანიპულირების უნარი მიენერება, იგი იმთავითვე ამაღლებულია რიგით მორწმუნეზე და „ქვემოდან“ კრიტიკას არ ექვემდებარება.
- მადლის აღწერილი გაგება, ისევე როგორც მართლმადიდებელი აღმსარებლობის ზოგიერთი სხვა მახასიათებლები (როგორცაა სიტყვის პრიმატი საქმესთან მიმართებაში, საეკლესიო დღესასწაულთა დიდი რაოდენობა და სხვ.) ხელს უწყობს კონტროლის ლოკუსის ექსტერნალიზაციას

და იერარქიზმს, რაც თავის მხრივ, ასუსტებს შრომის მოტივაციას და მეორე პლანზე ათავსებს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა პროფესიონალიზმი, პროფესიული რეპუტაცია და მისთ.

2.5. სხვადასხვა რელიგიათა (ეკლესიათა) სოციალური პოლიტიკა

რესპონდენტები – მართლმადიდებლობის ექსპერტები – ერთ-ხმად აღნიშნავენ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას (სომხური სამოციქულო ეკლესიის მსგავსად, მაგრამ კათოლიკური და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებით) არა აქვს შემუშავებული სოციალური პოლიტიკა; არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ეკლესიის პოზიცია ცვალებად სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ეკლესიისა და მრევლის ურთიერთობაში დიდ როლს იძენს სუბიექტური ფაქტორი, სახელდობრ, მოძღვარის ინდივიდუალური შეხედულებები და თვისებები.

სოციალური პოლიტიკისადმი „უყურადღებობა“, სავარაუდოდ, განპირობებულია მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ფუნქციონალური წანამძღვრით; სახელდობრ, მართლმადიდებელი ეკლესიები, მათ შორის ქართული, თვლიან, რომ, სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან და მიმდინარეობებთან შედარებით, ისინი ყველაზე უფრო ზუსტად იცავენ პირველი საეკლესიო კრებების განჩინებებს, რომლებიც საბოლოო და რეფორმირებას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ბოლო ოცი საუკუნის განმავლობაში მომხდარი სოციალური თუ ტექნოლოგიური ცვლილებები არ მიიჩნევა არსებითად, ადამიანის ბუნება და მოწოდება უცვლელად განიხილება; წინააღმდეგ შემთხვევაში დგება დოგმატიკის რევიზიის საფრთხე, რაც სწორედაც საფრთხედ აღიქმება. შესაბამისად, მრევლთან ურთიერთობისას მართლ-

მადიდებელი მღვდელთმსახური ამჯობინებს ადრექრისტიანულ უბრალოებას, მიმართავს მარტივ სიუჟეტებს სქემატური პერსონაჟებით; როგორც უკვე აღინიშნა, მშრომელი არსებითად იგივედება მიწათმოქმედსა ან ხელოსანთან, რომელთათვის შრომა მხოლოდ არსებობის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს (მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ნებისმიერი საეკლესიო გამოცემა ან საიტი).

ადრექრისტიანული უბრალოების „პარადიგმით“ შეიძლება აიხსნას აგრეთვე მართლმადიდებელი ეკლესიის, კერძოდ კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, უარყოფითი დამოკიდებულება ისეთი რეალიებისადმი, როგორიცაა ფული, კომერცია, კაპიტალი და ა.შ. რამაც მთელი ქართულ კულტურის ნორმატიულ ღირებულებებს დაასვა დაღი: ფული „ხელის ჭუჭყია“, მასზე საუბარი ცუდ ტონად ითვლება, ვაჭრობა სათაკილოდ თუ არა, სოციალურად არცთუ სასურველ საქმიანობად მიიჩნევა; კომერციული საქმიანობა ასოცირდება უპატიოსნებასთან. საგულისხმოა, რომ საბაზრო ურთიერთობების დაკანონებასთან ერთად გაჩნდა სიტყვა „ფულის“ ევფემიზმი – „თანხა“.

2.6. შრომისა და რწმენის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში

შრომა, როგორც ღირებულება, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის თემებისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ შრომას დღის დიდი ნაწილი ეთმობა. შრომის თავდაპირველი საჭიროება მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა, თუმცა გარდა ამ საბაზისო ცვლადისა, ისეთი სოციალური ასპექტებიც მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელია, როგორიცაა თვითრეალიზაცია, წარმატება, სიამოვნების მიღება და სხვა.

ზოგადი თვალსაზრისით, რწმენა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისათვის მათი ცხოვრების მუდმივი თანმდევია. ის დაკავშირებულია საიქიო ცხოვრებასთან, თუმცა, ახდენს ყოველდღიური ცხოვრების გარკვეულ კონსტრუირებას და მორწუნეთა სოციალური ქცევის ჩამოყალიბებას. როგორც ჯგუფური დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს: *„აქ ჩვენ ვემზადებით საიქიო ცხოვრებისთვის, აქაური საქმეების შესაბამისად განისაზღვრება ჩვენი საიქიო ცხოვრება“*. მოცემული პოსტულატი კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა დენომინაციისადმი განმსაზღვრელია; გამონაკლისია მხოლოდ იეჰოვას მოწმეები, რომლების არ აღიარებენ საიქიო ცხოვრებას. მათი ხედვით, ღმერთის მიერ გამართლებული ადამიანები მკვდრეთით აღდგებიან. მოცემული განსხვავება სოციალური ქცევის ანალიზისათვის არაფერს ცვლის, იეჰოვას მოწმის მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობას მისი სააქაო ცხოვრებისას რელიგიური დოქტრინის წესების დაცვა განაპირობებს, რაც მათი მსოფლხედველობის და სოციალური ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

რელიგიურ მიმდინარეობასთან აფილაცია რამდენიმე მიმართულებით ახდენს მორწმუნის ქცევის, მსოფლხედველობის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება: რელიგიურ პრაქტიკაში, მსოფლხედველობის ჩამოყალიბებაში, მორალის კონსტრუირებაში. ქვემოთ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

რელიგიური პრაქტიკების შესრულება დამახასიათებელია ყველა დენომინაციის წარმომადგენლებისათვის. შესაძლოა გამოიყოს პრაქტიკის სამი ძირითადი ჯგუფი: ა) ინდივიდუალური პრაქტიკა – მორწმუნეები გარკვეული თანმიმდევრობით ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს საკუთარ სახლში, სამსახურში ან სხვა გარემოში. მოცემული ქცევის ტიპის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ რელიგიური რიტუალი სრულდება ინდივიდუალურად. თუმცა, მორწმუნეს გაგებით ის „მარტო“ არაა, ეს არის რიტუალი მასსა და ღმერთს შორის. ამ სახის პრაქტიკა დილის და საღამოს ლოცვები მართლმადიდებლურ თემში (მორწმუნეთა ნაწილი სხვა სახის ლოცვებსას ასრულებს; მაგალითად, ლოცვა ჭამის წინ, სწავლის წინ და სხვა.), მუსლიმები ხუთგზის ლოცვებს

ასრულებენ. მეტანიები ასეთი პრაქტიკის ერთ-ერთი სახეა. რელიგიური პრაქტიკა, ზოგადი თვალსაზრისით, მკვეთრად ინდივიდუალურია თუმცა, ამ პრაქტიკაში კულტურულ-სოციალური განზომილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მორწმუნენი ასრულებენ იმ საზრისისეულ ან სიმბოლურ რიტუალს, რომელიც მათი აღმსარებლობის მიერ არის განსაზღვრული. ამ სახით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან „ევროპელი არარელიგიური მორწმუნეებისაგან“, რომლებიც არცერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიეკუთნებიან, თუმცა სწამთ გარკვეული ზებუნებრივი ძალის არსებობის. საქართველოში დენომინაციის წევრთა პრივატული, ინდივიდუალური, რელიგიური პრაქტიკა კი მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული კონკრეტული აღმსარებლობის მიერ. შესაბამისად, მოცემული ასპექტი მორწმუნის რელიგიურ აღმსარებლობასთან მნიშვნელოვანი მაკავშირებელია. მეტიც: მოცემული ინდივიდუალური პრაქტიკის გარეშე მორწმუნე ერთგვარად „ნაკლული“ აღმსარებელია. ის სრულყოფილად ვერ ასრულებს წესებს, რომლებიც კულტურულ-რელიგიური დოქტრინის მიერაა განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებულ ტრადიციულ მიმდინარეობებს (მართლმადიდებლობა, ისლამი) უფრო მკაცრად კონსტრუირებული ინდივიდუალური პრაქტიკები აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი მორწმუნეების მიმართ. ისლამში პრაქტიკები, რომლებიც მორწმუნემ უნდა შეასრულოს რელიგიურ დოქტრინაშია განწერილი. მართლმადიდებლობის შემთხვევაში რელიგიური პრაქტიკების შესრულების კონტინუუმი უფრო ფართოა და მოძღვრის მიერ განისაზღვრება, თუ რა უნდა შეასრულოს მორწმუნემ. არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებში ინდივიდუალური პრაქტიკის შესრულება უფრო თავისუფალია და ინდივიდს შეუძლია აირჩიოს, თუ როდის და სად შეასრულებს რიტუალს. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ მათ ინდივიდუალურ პრაქტიკას რელიგიურ აღმსარებლობასთან კავშირი არ აქვს.

კოლექტიური რელიგიური რიტუალი ყველა რელიგიური მიმდინარეობის მნიშვნელოვანი ასპექტია. მართლმადიდებლურ რელიგიაში ის ძირითადად წირვასა და სალამოს ლოცვაში

მონაწილეობის მიღებას გულისხმობს. მუსლიმებში – პარასკევის ლოცვას, იეჰოვას მონაწილეთა შემთხვევაში – კონგრესში მონაწილეობას და სხვა. მოცემული სახის რელიგიური პრაქტიკების შესრულების ძირითადი მახასიათებელი მისი კოლექტიურობაა. თემის მრევლის წევრობა მორწმუნისათვის აუცილებელი მახასიათებელია. კოლექტიური რელიგიური რიტუალების თეოლოგიური მნიშვნელობების განხილვა, წარმოდგენილი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამგვარი პრაქტიკის სოციალური ასპექტებიდან კი შეიძლება შემდეგი მახასიათებლები გამოიყოს:

ა) *თემის წევრობის განცდა*. ეს მახასიათებელი ორმხრივ კავშირს გულისხმობს: ინდივიდი გრძნობს თემის წევრად თავს და ამით ის იზიარებს ჯგუფის მიერ აღიარებულ ღირებულებებს. მეორე მხრივ, თემი განაპირობებს ერთობის განცდას. მორწმუნეობის ხარისხი, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ კოლექტიურ რიტუალებში მონაწილეობით გამოიხატება. ფოკუს ჯგუფების მასალა აჩვენებს, რომ კოლექტიურ რიტუალში მონაწილეობა ყველა რელიგიური აღმსარებლობისთვის მნიშვნელოვანია:

„თუ ერთხელ არ მოვა კრებაზე მორწმუნე, ან მეორედ, მესამედ – ეს ნიშნავს, რომ ის დაშორდა ღმერთს. თუ ასე გააგრძელა, გამოვა რომ ჩვენი და ან ძმაც აღარ იქნება“ *(იეჰოვას მონაწილე, ხაშური)*.

მოცემულ დამოკიდებულებაში ჩანს ორი ურთიერთდამოკიდებული ასპექტი: მორწმუნის არმონაწილეობა რიტუალებში რელიგიიდან მის გაუცხოებად ფასდება, ხოლო ეს გაუცხოება, თავის მხრივ, თემის ან რელიგიური ჯგუფის დატოვებასთან არის დაკავშირებული. კოლექტიური რიტუალში მონაწილეობა „ნამდვილი“ მორწმუნის აუცილებელი ნაწილია. ტრადიციულ რელიგიები, როგორცაა მართლმადიდებლობა და ისლამი, სპეციალური სანქციონების მომხრეა, როდესაც მორწმუნე მონაწილეობას არ ღებულობს რიტუალში. სანქცირება მრავალფეროვანია, რაც შეიძლება გამოიხატოს, ვთქვათ, დამატებითი მეტანიების

შესრულებით მართლმადიდებლურ თემში და თანხის შენირვით მუსლიმურ თემში.

ბ) *სოციალური კავშირის ინტენსიფიკაცია*. რიტუალში მონაწილეობა, უშუალოდ რელიგიური დატვირთვის გარდა, სოციალურ განზომილვებასაც მოიცავს, რაც გამოხატულია სხვადასხვა სახით: ა) მორწმუნეთა ერთმანეთთან ინტერაქციით, სასულიერო პირის ქადაგებით წირვის შემდეგ მართლმადიდებლურ და ბაპტისტურ-ევანგელისტურ რელიგიაში; ბ) ბიბლიაზე საუბრით – იეჰოვას მონწმეთა თემში; გ) ლოცვის შემდეგი საუბრებით – მუსლიმურ თემში და სხვ. მოცემული ქცევები ორი მიმართულებით არის საინტერესო: ერთი მხრივ, სოციალური კავშირების საშუალებით ხდება რელიგიური ღირებულებების გადაცემა მორწმუნესათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარეობს მრევლის ყოველდღიური ცხოვრების ყოფითი ასპექტების გააზრება რელიგიური თვალსაზრისით. იქმნება ერთგვარი მედიატორული სივრცე, სადაც რელიგიური ხედვა და მორწმუნეთა ცხოვრების სოციალური ასპექტები კვეთს ერთმანეთს. შრომისა და რელიგიის გადაკვეთის ერთ-ერთი ადგილი სწორედ მოცემულ სივრცეშია, სადაც აქტორებს მიეწოდებათ რელიგიური ხედვა და, თავის მხრივ, ისინი მონაწილეობენ ამ ხედვის გაზიარების ან უარყოფის პროცესში. პროცესის ორმხრივობა მდგომარეობს იმაშიც, რომ ყოფითი (სოციალური) ცხოვრების ასპექტები გარკვეულ გავლენას ახდენს ამა თუ იმ რელიგიაზეც. ერთი შეხედვით მყარი და უცვლელი რელიგიური დამოკიდებულებების ტრანსფორმირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი სოციალური რეალობაა, რომლის ნაწილიცაა შრომა. ზოგადი ხედვით, შრომის და რწმენის მიზნები აქტორისთვის განსხვავებულია. შრომის მიზანი მატერიალური სიკეთის მიღება და ადამიანის თვითრეალიზაციაა, ხოლო რწმენა – არამატერიალური სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, ეს ორი სფერო, აქტორის დონეზე, ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთზე გავლენის ახდენს. აქტორის რწმენამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა განაპირობოს შრომის სახეობა, რომელსაც ის ირჩევს ან სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისას გავ-

ლენა მოახდინოს ამ პროცესზე. მეორე მხრივ, შრომის სახეობამ შესაძლოა განაპირობოს აქტორის მიერ რელიგიური რიტუალების შეუსრულებლობა ან ფორმის ცვლილება. მაგალითად, მუსლიმმა სამსახურში, შესაბამისი პირობების არქონის გამო, შესაძლოა ვერ შეასრულოს ლოცვები, რომელსაც მისი რელიგია ითხოვს.

რელიგიური დოქტრინები მორწმუნეთა სოციალურ ქცევაში გარკვეულ როლს თამაშობს; კერძოდ, შრომის, როგორც მორწმუნის ერთ-ერთი სოციალური აქტივობის, ფორმირებაზე გავლენას ახდენს. გავლენები რამდენიმე ტიპისია:

- ა) გავლენა მორწმუნის ქცევაზე სამსახურში
- ბ) საქმის მიმართ მორწმუნის დამოკიდებულება
- გ) გავლენა კრიზისული სიტუაციების მართვაზე
- დ) რიტუალების შესრულება სამსახურის პერიოდში

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) *რელიგიის გავლენა მორწმუნის ქცევაზე სამსახურში* რამდენიმე მიმართულებით განისაზღვრება. მორწმუნის დამოკიდებულება კოლეგების მიმართ ამ გავლენის ერთ-ერთი სახეა. მორწმუნეთა ნაწილი ზოგ შემთხვევაში ცდილობს რელიგიური მორალიდან გამომდინარე ეურთიერთოს საკუთარ კოლეგებს, რაც მათდამი უფრო „თანასწორ“ დამოკიდებულებაში შეიძლება გამოიხატოს. არის შემთხვევები, როდესაც მორწმუნე მენეჯერები ან მცირე კომპანიის მმართველები ნაკლებად მკაცრები არიან თანამშრომლების მიმართ, რაც გამოიხატება დაქვემდებარებული პერსონალისადმი არაფორმალური ურთიერთობის მაღალ ხარისხში (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დამოკიდებულებები ფოკუს ჯგუფების მორწმუნე მონაწილეთა შორის დომინანტური არ არის):

„მე მთარგმნელობითი კომპანიის დირექტორი ვარ, ყველა თანამშრომელთან თანასწორი დამოკიდებულება მაქვს და ეს ჩემი რელიგიის გამოა. თანამშრომლებმა იციან, რომ ეს სხვა ოფისებში ასე არაა“ (*მუსლიმი ქართველი, ბათუმი*).

ბ) *საქმის მიმართ დამოკიდებულება*. გამომდინარე იქედან, რომ ყველა მორწმუნე შრომას ამქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს (რაც აისახება, აგრეთვე, მათ წარმოდგენებზე საიქიო ცხოვრების შესახებ), მათთვის საქმისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანი ცვლადია, რომელიც ძირითადად მორალურ მაქსიმებშია გამოხატული, როგორცაა პატიოსნად შრომა, ვალდებულების ზუსტად შესრულება, სამსახურეობრივი იერარქიის აღიარება და სხვა. მოცემული მაქსიმები მნიშვნელოვანია თითქმის ყველა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვის, თუმცა, შესაძლებელია გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლების იდენტიფიცირება ცალკეული რელიგიური ერთობებისათვის. ეს მახასიათებლები კავშირშია ამ ჯგუფების სოციალურ სტატუსთან და როლებთან, რომელთა სტრუქტურირების ერთ-ერთი ფაქტორი რელიგიაა. მაგალითად, მუსლიმ ქალთა უმრავლესობა ძირითად ამოცანად საოჯახო საქმეების შესრულებას მიიჩნევს. ასევე, მათთვის მნიშვნელოვანია შეიღის რელიგიური ღირებულებების მიხედვით აღზრდა და სხვა ქმედებები, რომლებიც ქალის ტრადიციულ გენდერულ როლებთან ასოცირდება. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განწყობები უფრო მეტად სოფელში მცხოვრები მუსლიმი ქალებისთვის არის დამახასიათებელი; ქალაქში მცხოვრებნი სამსახურზე არიან ორიენტირებულნი. ახალგაზრდა მუსლიმების უმეტესობის შემთხვევაშიც, კარიერული წინსვლა იერარქიულ ველში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საოჯახო საქმეების კეთება. მოცემული დამოკიდებულებებიდან ჩანს, რომ რელიგიის გარდა სოციალურ გარემოში არსებული ფაქტორებიც განსაზღვრავს როგორც მორწმუნეთა დამოკიდებულებას შრომისადმი, ასევე შრომის სახეობის შერჩევას.

იეჰოვას მონმეთა გამორჩეული მახასიათებელი (საქმის მიმართ დამოკიდებულების კუთხით) სპეციფიკურ სერვისებში დასაქმებაა, როგორცაა „სილამაზის სალონები“, სავაჭრო ობიექტები და სხვა მსგავსი სფეროები. ზოგადად, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანია გამოიმუშავო იმდენი, რამდენიც ყოველდღიური ყოფითი მოთხოვნებისთვისაა

საჭირო. სოციალურ იერარქიის ზედა საფეხურებზე სვლა მათთვის მეორეხარისხოვანია; მეტიც – ნაკლებადაა ნახალისებული მათი რელიგიური დოქტრინის მიერ. პატიოსანი ქცევა სამსახურში (საერთოდ, ნებისმიერ საქმიანობაში) იეჰოვას მიმდევრებისათვის უმნიშვნელოვანესია. როგორც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს:

„მე ბაზარში ვმუშაობ, კლიენტებმა იციან რომ იაჰოვას მონაწილე ვარ და იციან, რომ ხორცს ჩემგან თუ იყიდებიან, ერთ გრამს არ მოვატყუებ. ამიტომ, მუდმივი კლიენტები მყავს“ (იეჰოვას მონაწილე, ხაშური).

„როცა პატიოსნად ვმუშაობ, ღმერთის მსახურებაში ვარ. ამიტომ, მე სამუშაოს ზერელებდ არასოდეს ვაკეთებ“ (იეჰოვას მონაწილე, ხაშური).

გ) კრიზისული სიტუაციების მართვა. რელიგიის როლზე კრიზისული სიტუაციების მართვაში ყველაზე ხშირად მართლმადიდებლური აღმსარებლობის წარმომადგენლები მიუთითებენ. კონფლიქტური სიტუაციებისას რელიგიურობა მათი ქცევის განმსაზღვრელია, რაც ორ ურთიერთდაკავშირებულ მოდულში გამოიხატება: „მოთმინება“ და „გამართლება“. მოცემული ასპექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერვისების სფეროში მომუშავე მორწმუნეებისათვის. რწმენა, რომელიც მორწმუნისგან სხვა ადამიანების მიმართ მოთმინებას ითხოვს, მორწმუნისათვის მნიშვნელოვანი საყრდენია. რაც შეეხება „გამართლებას“, ის მორწმუნის ფსიქოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული. მსგავსი დამოკიდებულება აქვს ფოკუს ჯგუფებში ჩართულ მუსლიმებსაც.

„სამსახურში როცა ვარ და კლიენტი ძალიან პრეტენზიულია, ხშირად იმიტომ ვითმენ, რომ ვიცი – მოთმინება აუცილებელია ჩემთვის როგორც მართლმადიდებლისათვის“ (მართლმადიდებელი, თბილისი);

„სათარგმნი ჰქონდა რაღაც თურქულად ერთ ხნიერ კაცს; ვუთხარი, რომ რთული ტექსტი იყო და

დიდი დრო ჭირდებოდა. არ დამიჯერა, მითხრა, რომ მეზარებოდა და დამინყო ჩხუბი. ღმერთმა მომცა ძალა, რომ არ ავყოლოდი“ (მუსლიმი, ბათუმი).

დ) რელიგიური რიტუალების შესრულება სამსახურში მორწმუნეთა ნაწილისათვის პრობლემატურია. განსაკუთრებით მუსლიმები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში არ ეძლევათ სამსახურში ლოცვების შესრულების შესაძლებლობა. არსებული მდგომარეობა დამახასიათებელია სამსახურებში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები მუშაობენ (თუმცა, არის შემთხვევები, როცა მუსლიმებს ლოცვის შესაძლებლობა ეძლევათ მხოლოდ მუსლიმებით დასაქმებულ ოფისებში ან იმ ოფისებში, სადაც სალოცავად მათთვის სპეციალური ადგილია გამოყოფილი). ზოგადად, საჯარო სივრცის ე.წ. „რელიგიური ნეიტრალურობის“ გაგება ფოკუს ჯგუფის მორწმუნე მონაწილეებში ნაკლებად არსებობს. სალოცავი ადგილის არსებობის შესაძლებლობას მორწმუნეები (განსაკუთრებით მუსლიმები და, გარკვეულწილად, მართლმადიდებლებიც) პოზიტიურად აფასებენ.

2.7. შრომასთან დამოკიდებულების ხუთი დეტარმინანტი

საერთაშორისო კვლევების გამოცდილება (Zulfikar 2012, Furnham 1990) გვკარნახობს, რომ, შრომის ეთიკასთან მიმართებაში, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები ერთმანეთისაგან შეიძლება 5 ფაქტორის მიხედვით განვასხვავოთ:

1. დაუღალავი ('hard') შრომა და მასთან დაკავშირებული წარმატება
2. კონტროლის ინტერნალური ლოკუსი
3. თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება

4. ფულისა და დროის დაზოგვასთან დაკავშირებული ატიტუდები
5. შრომა როგორც მიზანი თავისთავად ('end itself')

პირველი ფაქტორის („დაუღალავი შრომა და მასთან დაკავშირებული წარმატება“) სულისკვეთებას გამოხატავს, მაგალითად, შემდეგი დებულება: *„ყველას, ვისაც აქვს მძიმე (მუხლჩაუხრელი) შრომის სურვილი, წარმატების კარგი შანსი აქვს; ის, ვისაც ენთუზიაზმით შეუძლია გაუმკლავდეს არასასიამოვნო ამოცანას, წინ წავა“;*

კონტროლის ინტერნალურ ლოკუსს აღწერს, მაგალითად, შემდეგი დებულება: *„ცხოვრებას ექნებოდა მცირე აზრი, თუ არასოდეს დავიტანჯებოდი; მძიმე შრომის მიუღებლობა, ჩვეულებრივ, ხასიათის სისუსტეზე მიუთითებს“.*

მესამე ფაქტორი („თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება“) აღიწერება, მაგალითად, შემდეგი დებულებით: *„ცხოვრება უფრო აზრიანი იქნებოდა, ნაკლები თავისუფალი დრო რომ გვქონდეს; ადამიანებს შეზღუდული თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეთ რელაქსაციისათვის“;*

მეოთხე ფაქტორი (ფულისა და დროის მომჭირნეობა) შეიძლება აღიწეროს შემდეგი დებულებით: *„ფული, რომელიც იოლად იშოვება (მაგ., აზარტული თამაშის ან სპეკულაციის გზით), როგორც წესი, ბრიყვულად იხარჯება; საკრედიტო ბარათი ესაა საშვი დაუდევარი ხარჯვისათვის“;*

მეხუთე ფაქტორი („შრომა როგორც მიზანი თავისთავად“) აღიწერება, მაგალითად, შემდეგი დებულებით: *„სულ რამდენიმე რამეა იმ კმაყოფილების ტოლძალოვანი, რასაც იწვევს ადამიანის სრულფასოვანი რელიზაცია შრომის პროცესში; მე აფორიაქებული ვარ, როდესაც ცოტა საქმეა ჩემთვის გასაკეთებელი“.*

2.7.1. დაულალავი შრომა და მასთან დაკავშირებული წარმატება

ამ საკითხთან მიმართებაში სამიზნე ჯგუფებთან ჩატარებული დისკუსიები რამდენიმე თავისებურებას გამოკვეთს:

1. „დაულალავი“ შრომა მჭიდრო კავშირშია „პატიოსანი“ შრომასთან, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს საქმის პირნათლად შესრულებას, საკუთარი სინდისის (ან ღმერთის წინაშე) წინაშე პასუხისმგებლობას და სხვების მხრიდან ნდობის მოპოვებას. ის, ვინც უპატიოსნოდ შრომობს, მას არც მძიმე შრომა უწევს.

ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ყველა აღმსარებლობის წარმომადგენლები მიუთითებდნენ „პატიოსანი შრომაზე“ როგორც ღირებულებაზე. აღნიშნავდნენ, რომ შრომის თემას ხშირად ეძღვნება მღვდელმსახურთა ქადაგებები და რელიგიური საუბრები (განსაკუთრებით იკვეთება იეჰოვას მოწმეებთან).

თითქმის ყველა აღმსარებლობის შემთხვევაში აღინიშნა, რომ შრომის ეთიკის დარღვევის შემთხვევაში ღმერთი ადამიანს გარკვეული სანქციით ემუქრება. პატიოსანი შრომის აუცილებლობას განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს იეჰოვას მოწმეები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ არ არღვევენ შრომის წესებს და, შესაბამისად, საზოგადოება მათ ენდობა. იეჰოვას მოწმეებმა ხაზი გაუსვეს, რომ არ არსებობს სათაკილო სამუშაო (თუმცა არსებობს სამუშაო, რომელსაც მათ მრწამსი უკრძალავთ, მაგ. სამხედრო სამსახური). ერთმა მონაწილემ მიუთითა, რომ ამ ნორმის არსებობის გამო იეჰოვას მოწმეებში ძალზე დაბალია უმუშევრობის დონე (ამ განცხადების სისწორის შემოწმება საინტერესოა, თუმცა – პრობლემატური).

ღირებულებითი თვალსაზრისით, პატიოსანი შრომა თანაბრად მნიშვნელოვანია ჯგუფურ დისკუსიებში ჩართული ყველა ჯგუფისათვის (ათეისტების ჩათვლით). თუმცა, ჯგუფებს შორის განსხვავებები ვლინდება მაშინ, როდესაც საკითხი დგება იმის შესახებ, არის თუ არა დაულალავი (ე.ი. პატიოსანი) შრომა წარმატების საწინდარი.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე სკეპტიკურად განწყობილია არამორწმუნეების ჯგუფი. ისინი ფიქრობენ, რომ წარმატების მიღწევა საქართველოში ხშირად დაკავშირებულია არა დაუღალავ (შესაბამისად, პატიოსან) შრომასთან, არამედ სხვადასხვა დამატებით ფაქტორთან (გავლენიანი ნაცნობები, განათლება, მემკვიდრეობა და სხვ.). (თუმცა, მეორე მხრივ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ დისკუსიაში ჩართულ რელიგიურ ჯგუფებს შორისაც (მაგ., მართლმადიდებელთა ჯგუფში) ნამოიჭრა აზრი, რომ ცხოვრებისეული წარმატებისათვის საჭიროა გავლენიანი ნაცნობები).

2. არამორწმუნეებს და მორწმუნეებს შორის წყალგამყოფი ისაა, რომ მორწმუნეთა ჯგუფებში წარმატებისათვის, შრომასთან ერთად, აუცილებელია ღმერთის რწმენაც, ხოლო არამორწმუნეები (კერძოდ, ისინი, ვინც წარმატების მისაღწევად მუხლჩაუხრელი შრომის უპირატესობას აღიარებენ სხვა სოციალურ ფაქტორებთან შედარებით), აქცენტს პიროვნულ პასუხისმგებლობაზე სვამენ:

„თუ ყველა ცუდი და წარუმატებელი საქმისთვის ბოროტ ძალებს არ დაადანაშაულებ და გაიზიარებ პასუხისმგებლობას შენი მოქმედებებისთვის, იშრომებ მუხლჩაუხრელად, იქნები მიზანსწრაფული და ინოვაციური, მაშინ წარმატება აუცილებლად მოვა. არა აქვს მნიშვნელობა, მორწმუნე ხარ თუ არა, ეს პრინციპი ყველასათვის მოქმედებს“ (ახლგაზრდა მამაკაცი არამორწმუნეების ჯგუფიდან).

3. როგორც ითქვა, რელიგიურ თემებში აღიარებულია შრომასთან ერთად ღმერთის რწმენის მნიშვნელობაც წარმატების მისაღწევად. თუმცა, მეორე მხრივ, რელიგიური თემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, რამდენად „ერთვება“ ღმერთი წარმატების მიღწევაში, ანუ რა პროპორციით ნაწილდება ამ ორი ფაქტორის (შრომის და ღმერთის) „მონაწილეობა“ წარმატების უზრუნველსაყოფად.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე რადიკალურები არიან *მუსლიმთა თემის* წარმომადგენლები: წარმატებას ისინი არსებითად ღმერთის წყალობას მიაწერენ და შრომა მხოლოდ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც ის ღმერთის „კარნახით“ ხორციელდება და ყურანის სწავლებას არ არღვევს:

„თუ ისტორიულად მუსლიმების წარმატების მიზეზებს შევისწავლით, ვნახავთ, რომ ეს მოხდა ისლამის მიმართ ერთგულების გამო. წარმატებულობის ხარისხი დამოკიდებულია ჩვენი რელიგიის მიმართ პატივისცემის, მისი მიღების ხარისხზე. ამიტომ, ვინმეს წარმატება პირდაპირპროპორციულია რელიგიის მიმართ მისი პატივისცემის. ის, ვინც სრულად სცემს ისლამს პატივს, სრულად წარმატებულიც იქნება. ჩვენს რელიგიაში ის, თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს, უკვე განსაზღვრულია. რაც უფრო სრულყოფილად გაითვალისწინებს ვინმე ამ განსაზღვრულობას პრაქტიკაში, მით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს ის“ (*მამაკაცი მუსლიმთა ჯგუფიდან*).

„რაც უფრო ნაკლები ცოდვა აქვს ჩადენილი ადამიანს, მით უფრო სუფთაა იგი, მით უფრო უყვარს ღმერთს და მით უფრო წარმატებულია იგი... სოციალური წარმატება მეორადია, მთავარია ღმერთს უყვარდე“ (*მამაკაცი მუსლიმთა ჯგუფიდან*).

მართლმადიდებელთა ჯგუფშიც აღიარებენ, რომ „წარმატების გასაღები ღმერთის მორჩილებაშია“ და რომ წარმატება ტრანსცენდენტული ძალის მიერ ხდება და მის გარეშე ეს შეუძლებელია. თუმცა, მუსლიმებისაგან განსხვავებით, მართლმადიდებელი მორწმუნეები აღნიშნავენ, რომ ადამიანს შეუძლია სხვა გზას დაადგეს, ანუ აირჩიოს რწმენის გარეშე ცხოვრება და ეს მისი პირადი პასუხისმგებლობის საქმეა. არამორწმუნე ადამიანი ვერასოდეს დაკმაყოფილდება მიღწეულით და წარმატება მისთვის

მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება; ეს მოშლის წარმატების ზღვარს და მისკენ უკონტროლო სწრაფვამ ადამიანს შეიძლება მძიმე ცოდვებიც კი ჩაადენინოს:

„წარმატებას მაშინ ვაღწევ, როცა ღმერთის ნებას ვასრულებ. როცა ადამიანი ასრულებს ღმერთის ნებას, იმდენი ყოველთვის აქვს, რომ ბედნიერი იყოს ... წარმატების გასაღები ღმერთის მორჩილებაშია“ *(ქალი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან)*.

„წარმატებას სჭირდება ღმერთის რწმენა და თუ რწმენა არ გახლავს, ბოლომდე ვერ დაიხარჯები. ყოველთვის გექნება დაუკმაყოფილებლობის განცდა და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თავიც დაკარგო. ეს ყველა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს“ *(მამაკაცი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან)*.

პროტესტანტების ჯგუფში შრომის ნილი წარმატების მიღწევაში დიდა; ღმერთის რწმენა მნიშვნელოვანია, თუმცა, რწმენის სიძლიერე არ არის წარმატების გარანტია – მორწმუნე ადამიანი შეიძლება წარუმატებელიც იყოს, თუ დაკარგავს შრომის და სირთულეებთან (დაბრკოლებებთან) ბრძოლის სურვილს. ვინმეს წარმატება თუ წარუმატებლობა არ არის აუცილებლობით განსაზღვრული – ეს ადამიანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული, ანუ წარმატება უნდა მოიპოვო. თუმცა, წარმატების მოსაპოვებლად ღმერთის წყალობა აუცილებელია:

„არსებობს ამ ქვეყანაზე სიმდიდრის მოპოვების პრინციპები. თუ ამ სწორ პრინციპებს მიყვები, მაშინ წარმატებას მიაღწევ. ღმერთი დაგლოცავს, თუმცა, შენ თავად უნდა გამოიჩინო ძალისხმევა. მე მინახავს ადამიანები, რომელთაც ფარ-ხმალი დაუყრიათ და უარი უთქვამთ ცხოვრებაში წინსვლაზე, როცა რაიმე დაბრკოლება შეხვედრიათ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ რაღაც გა-

ვაკეთოთ ამ სამყაროში და ამისათვის ვიტანჯოთ კიდეც... ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ რადგან მორწმუნეა, ყველაფერი თითქოს იოლად უნდა მოვიდეს. ჩვენ შეიძლება გვჯეროდეს გამარჯვების, მაგრამ არ უნდა გვჯეროდეს იმის, რომ ეს გამარჯვება იოლად მოვა. ამისთვის შრომაა საჭირო. თუ შრომას და რწმენას შეართებ, მაშინ წარმატებაც მოვა“ (*მამაკაცი ბაბტისტა ჯგუფიდან*).

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული რელიგიური ჯგუფის წევრები უარყოფენ *ბედისწერას* და აღნიშნავენ, რომ მათი მრწამსის მიხედვით, ადამიანი თავისუფალი არსებაა და თვით აშენებს საკუთარ ცხოვრებას. თუმცა, მართმადიდებლების ჯგუფში ბევრი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ცხოვრებისეულ წარმატებაში მნიშვნელოვან (თუმცა, არა გადამწყვეტ) როლს თამაშობს *იღბალი*. სხვა სიტყვებით, დომინანტური (მართლმადიდებლური) რელიგიის მიმდევრები ადამიანის ბედის დეტერმინანტებს შორის მეტ წონას ანიჭებენ გარე ფაქტორებს (იღბლის ტიპის), ვიდრე შინაგანს. ეს ნიშნავს, რომ ქართველ მართლმადიდებლებში კონტროლის ლოკუსი უფრო *ექსტერნალურია*, ვიდრე სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებში (ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ).

4. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იეჰოვას მოწმეთა ჯგუფი წარმატებას ადამიანის ცხოვრებისთვის არაგადამწყვეტ, მეორად მნიშვნელობას ანიჭებს. მათი აზრით, წარმატებამ შესაძლოა „ახალ ცხოვრებაში“⁴ დაბრუნებასაც შეუშალოს ხელი; ანუ, შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული კონფლიქტი საერო წარმატებულ და რელიგიურ ცხოვრებას შორის.

⁴ იეჰოვას მოწმეთა რწმენის მიხედვით, გარდაცვალების შემდეგ მოხდება მათი მკვდრეთით აღდგომა ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. ის, ვინც ღმერთის მიერ გამართლდება, სამუდამოდ დამკვიდრდება დედამიწაზე ‘ახალ სამყაროში’

მართლმადიდებლები და მუსლიმები წარმატებას ნაკლებად განიხილავენ რელიგიურ ცხოვრებასთან კონფლიქტში. თუმცა, არც ერთი დასახელებული რელიგიური ჯგუფის წევრი არ თვლის, რომ წარმატება საერო ცხოვრებაში დაკავშირებულია რელიგიურ საიქიო ცხოვრებასთან/ცხოვრებასთან. მორწმუნენი არ თვლიან, რომ ამ ორ მოვლენას (წარმატება და ცხოვრება) შორის პირდაპირი ურთიერთკავშირია.

ამასთან, როგორც აღინიშნა, მართლმადიდებლური ჯგუფის წევრები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სოციალური კავშირების როლს წარმატების მისაღწევად. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ როგორ ეთანადება მორწმუნეთა რელიგიური ღირებულებები წარმატების შესახებ მსგავსი წარმოდგენების არსებობას.

2.7.2. ფულისა და დროის დაზოგვასთან (მომჭირნობასთან) დაკავშირებული ატიტუდები

საქართველოს რეალობაში არც ერთი რელიგიური თემი არ იწონებს აზარტულ თამაშების გზით ფულის შოვნის შესაძლებლობას. თუმცა, არსებობს გარკვეული ნიუანსური განსხვავებები:

ა) მართლმადიდებელთა ჯგუფი ყველაზე ხისტი და რეზისტენტულია აზარტული თამაშების მიმართ და არ ეთანხმება იმასაც კი, რომ კაზინოში ნაშოვნი ფული შეიძლება კეთილი საქმეების გაკეთებას მოხმარდეს;

ბ) რამდენადმე განსხვავებულია ბაპტისტების ჯგუფის მოსაზრებები: ჯერ-ერთი, მათ ერთმანეთისაგან გამიჯნეს აზარტული თამაშების ნაირსახეობები „სიმძიმის“ მიხედვით: ლატარიის თამაში ყველაზე მსუბუქი (შესაბამისად, მისაღები) აღმოჩნდა მათთვის, განსხვავებით კაზინოში თამაშისაგან, რომელიც ყველაზე უფრო მიუღებელია; მეორე მხრივ, ბაპტისტებმა, მკვეთრად უარყოფითი განწყობის მიუხედავად, არ გამორიცხეს, რომ კაზინოში მოგებული ფული შეიძლება „გაკეთილშობილდეს“ – ის მოხმარდეს

გაჭირვებულებს, ან ეკლესიის აშენებას, თუნდაც, ეკლესიისთვის გადაცემას შენორულობის სახით. ეს ნიშნავს, რომ ბაპტისტები საუბრობენ უშრომლად ნაშოვნი ფულის გარკვეულად დახარჯვის მიზანშეწონილობაზე, მაშინ როდესაც მართლმადიდებლები ასეთი გზით ნაშოვნი ფულის დახარჯვის არანაირ მიზანშეწონილობას არ იზიარებენ.

„აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანი დაავადებულია და მას ჭკუა არ მოეკითხება... ამ გზით ნაშოვნი ფულის პატიოსანი მიზნებით გამოყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...“ *(ქალი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან).*

„გააჩნია, რომელ აზარტულ თამაშზეა საუბარი; პირადად მე ვთვლი, რომ საზოგადოებაში უფრო მიღებულია ლატარიით თანხის მოგება, ვიდრე კაზინოთი. კაზინო და ტოტალიზატორი მიუღებელია, ლატარია – უფრო მეტად ნებადართული“ *(მამაკაცი ბაპტისტების ჯგუფიდან).*

„კაზინო ძალიან ცუდია, თუმცა ის მაინც უნდა გააკეთოს კაცმა, რომ იქ ნაშოვნი ფული კეთილ საქმეებს მოახმაროს“ *(ქალი ბაპტისტების ჯგუფიდან).*

აღსანიშნავია, რომ ბაპტისტებმა და იეჰოვას მოწმეებმა, მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ მათი რელიგია ასწავლით *დროის მენეჯმენტს*.

2.7.3. თავისუფალი დროის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება

როგორც ლიტერატურის (საერთაშორისო კვლევების), ისე ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტული გამოკითხვების ანალიზი აჩვენებს, რელიგიისა და თავისუფალი დროის მიმართება, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც *ბინარული*

ოპოზიცია, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც *კონგრუენტული*. მათ შორის ოპოზიციის (მნიშვნელობათა სხვადასხვაობის) საფუძველს ქმნის იმის მტკიცება, რომ მაშინ, როდესაც რელიგია სოციალური ცხოვრების სტაბილიზაციას ემსახურება გარკვეული ტრადიციული (ხანიერი) მოქმედებებისათვის საკრალური მნიშვნელობების მინიჭებით, თავისუფალი დრო გვევლინება როგორც ადამიანური გამოხატვის მამოძრავებელი, ანუ სივრცე პროფანული საქმიანობისათვის (Ibrahim, 1982). მეორე მხრივ, რელიგია და თავისუფალი დრო შეიძლება „თანამშრომლობდეს“ იმ აზრით, რომ ადამიანური გამოხატვის ესა თუ ის ფორმა, თავისუფალი დროის ფარგლებში, ჩაითვალოს მისაღებად და სხვა – მიუღებლად, ანუ პასუხი გაეცეს შეკითხვას – სად სრულდება ადამიანის თავისუფალი გამოხატვის სფეროში საკრალური და იწყება პროფანული? სხვადასხვა რელიგია ამ შეკითხვაზე განსხვავებულად პასუხობს, თუმცა, მათ შორის საერთოც არსებობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისუფალი დროის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას სხვადასხვა კონტექსტი აქვს. ერთ-ერთი (თუმცა, ძირითადი) კონტექსტია ის, როდესაც თავისუფალი დრო გაგებულია როგორც *დროის უქმად ხარჯვა*. ამ აზრით, თავისუფალი დრო უპირისპირდება შრომას. თავისუფალი დროის ასეთ გაგებას ემიჯნებიან როგორც ყველა რელიგიური აღმსარებლობის მატარებელი ადამიანები, ისე – არამორწმუნეებიც. დროის უქმად ხარჯვა იგივეა, რაც *სიზარმაცე*. სიზარმაცის მიმართ შეურიგებლობა იკვეთება ყველა ფოკუს ჯგუფში. დამოკიდებულება ზოგადად ასე შეიძლება აღინეროს: ზარმაცეები აბეზარი ადამიანები (busybodies) არიან, რომლებიც არ შრომობენ და ტვირთად აწვებიან სხვებს, სხვათა შრომის მონაპოვარს ითვისებენ და პარაზიტულ გარემოს ამკვიდრებენ.

თავისუფალი დროის ნეგატიური გაგება (ანუ, დროის უქმად ხარჯვა, სიზარმაცე) ისაა, რაც უნდა დაიძლიოს, ხოლო დაძლევის ერთ-ერთი სტრატეგიაა თავისუფალი დროის მაქსიმალური შეზღუდვა, დროის აჩქარება, ანუ იმ შეგრძნების გამომუშავება, რომ დრო ძალიან სწრაფად გადის და ამიტომ ბევრი რამის გაკეთებას ვერ ვასწრებთ.

თუ დროის უქმად ხარჯვის (სიზარმაცის, შრომაზე უარის თქმის) უარყოფით კონტექსტს არ მივიღებთ მხედველობაში, თავისუფალი დროის ცნება რელატიურია და პირობითი. კერძოდ, თავისუფალი დრო ყოველთვის არის „რალაციისაგან გათავისუფლება“, ანუ, მარტივად, ერთი საქმიდან მეორეზე გადართვა. მაგალითად, იმის თქმა, რომ „თავისუფალ დროს წიგნს ვკითხულობ“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს არის დრო, რომელიც სხვა საქმის კეთებისაგან (მაგ., სამსახურისაგან, საოჯახო საქმეებისაგან და სხვ.) გამოათავისუფლა ადამიანმა. ამ აზრით, თავისუფალი დრო, როგორც ასეთი, არც არსებობს – ის ყოველთვის „დატვირთულია“ შინაარსით. თავისუფალი დროის მიმართ ნეგატიური ან პოზიტიური დამოკიდებულების კიდევ ერთი (ალტერნატიული) კონტექსტი სწორედ იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რა ტიპის საქმიანობით ხდება დროის შევსება. ამ თვალსაზრისით, შეიძლება მივუთითოთ განსხვავებებზე, ერთი მხრივ, მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ჯგუფებს შორის:

1. ის, რაც ყველა აღმსარებლობის მორწმუნეებს და არამორწმუნეებს ერთმანეთთან აახლოებს, ისაა, რომ ისინი ცალსახად უარყოფითად აფასებენ იმ „თავისუფალ“ დროს, რომელიც უსარგებლო (ან, მით უფრო, საზიანო) საქმით ივსება. სასარგებლო საქმეების ჩამონათვალი, თავის მხრივ, დიდია და მოიცავს ყველაფერს, რაც საკუთარი თავის, ან სხვების განვითარებას ხმარდება. როგორც კათოლიკეთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, „თავისუფალ დროს ნაყოფიერი ფიქრიც კი სასარგებლო საქმეა“. ერთ-ერთ მართლმადიდებელ მორწმუნეს მოჰყავს ფრაგმენტი ბიბლიიდან: „და ბოლოს, ძმანო, რაც კი რამ ქემშარიტია, რაც პატიოსანია, რაც სამართლიანია, რაც ნმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებელია, სათნო და ქებული, მასზე იფიქრეთ“ (ფილიპელთა მიმართ, თავი 4:8).⁵

⁵ ბიბლია 2013: 963.

2. მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს შორის განსხვავება, ამ საკითხთან მიმართებაში, მდგომარეობს აქცენტების დასმაში, თუ რა ჩაითვალოს სასარგებლო საქმედ თავისუფალი დროის პირობებში. ქრისტიანი მორწმუნეები, ბუნებრივია, იზიარებენ იმას, რომ სასარგებლო საქმე, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის სიტყვის, ანუ ძირითადი მცნებების აღსრულებაშია, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის მიმართ სამსახური. ჯგუფური დისკუსიის ერთ-ერთ რესპონდენტს მოჰყავს ფრაზა ბიბლიიდან: *„ამრიგად, ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი ღვთის სადიდებლად აკეთეთ“* (პირველი კორინთელთა მიმართ, თავი 10:31).⁶ აქედან გამომდინარე, ისეთი საქმიანობები, როგორცაა, მაგალითად, ლოცვა, საკვირაო წირვაზე დასწრება და ა.შ. სასარგებლო, მეტიც – საკრალურ (sacred), წმინდა შრომად ჩაითვლება თავისუფალ დროს. არამორწმუნეებში აქცენტი გადატანილია ისეთ პროფანულ საქმიანობებზე თავისუფალი დროის შესავსებად, რასაც უშუალო კავშირი ღმერთთან არა აქვს და უფრო მეტად სოციალურ, ყოველდღიურ აქტივობებს უკავშირდება (ასეთია, მაგალითად, ნიგნის კითხვა, კინოში ან თეატრში წასვლა და სხვ.). თუმცა, მეორე მხრივ, სხვადასხვა რელიგიებისთვის უცხო არც პროფანული საქმიანობების წახალისებაა თავისუფალი დროის პირობებში.
3. სხვადასხვა რელიგიებს შორის განსხვავება თავისუფალ დროსთან მიმართებაში ძირითადად იმაში გამოიხატება, თავისუფალ დროს განხორციელებული რომელი საქმიანობა უნდა ჩაითვალოს საკრალურად („წმინდად“) და რომელი – არა. ისლამის თანამედროვე მკვლევრების (Ibrahim, 1982) აზრით, ისლამი არ ემუქრება თავისუფალ დროს და არ ახდენს დროის მკაცრ სანქცირებას. მეტიც,

⁶ ბიბლია 2013: 940.

ისლამურ ქვეყნებში გაცილებით მეტია რელიგიური უქმე დღეები, ვიდრე ქრისტიანულ ქვეყნებში. თავისუფალი დროის ფარგლებში ლეგიტიმური ტრადიციული საქმიანობები მოიცავს პოეზიას, სიმღერას, მუსიკას და ცეკვას, თუმცა, ისლამი ტოლერანტულია ისეთი აქტივობების მიმართაც, როგორცაა სპორტი, ტელევიზია, კინო და სხვ.

როგორც ცნობილია, თავისუფალი დროის მიმართ ყველაზე მკაცრი და ნეგატიური დამოკიდებულებით, ტრადიციულად, პროტესტანტიზმი გამოირჩევა. თანამედროვე მკვლევრები, ვებერის თეორიაზე დაყრდნობით, წერენ, რომ პროტესტანტული ეთიკა, როგორც პიროვნული მსოფლალქმა, სამ კომპონენტს მოიცავს: პირველი ეს არის დამოკიდებულება (ატიტუდი): ადამიანმა უნდა იშრომოს დაულალავად და, რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილოს თავისუფალი დრო; მეორე კომპონენტი არის ღირებულება: შრომითი აქტივობები კარგია, ხოლო თავისუფალ დროში განხორციელებული აქტივობები – არა; მესამე კომპონენტი არის რწმენა: მუხლჩაუხრელი შრომით ადამიანები იმ რწმენის დემონსტრირებას ახდენენ, რომ ისინი რჩეულთა რიცხვში არიან (Stebbins, 2004: 25). შესაბამისად, შრომა და თავისუფალი დრო ბინარულ ოპოზიციად ყველაზე თანმიმდევრულად პროტესტანტიზმში ყალიბდება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, პროტესტანტული თემებთან (კერძოდ, ბაპტისტებთან) ჩატარებული ფოკუს ჯგუფები არ აჩვენებს პროტესტანტული ეთიკისთვის დამახასიათებელ „სიმკაცრეს“ თავისუფალ დროსთან მიმართებაში. მათი ატიტუდები მსგავსია მართლმადიდებლების და კათოლიკების. ისინი აღნიშნავენ, რომ ეკლესია და მათი მოძღვრები არ უწესებენ მკაცრ შეზღუდვებს თავისუფალი დროის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მართლმადიდებლების და კათოლიკების ჯგუფებში გაზიარებულია მოსაზრება, რომ თავისუფალი დროის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს რეკრეაციული საქმიანობები, როგორცაა სპორტი, სეირნობა, თამაშები, წვეულებები და ა.შ. თუმცა,

მთავარი პირობა აქ ისაა, რომ ასეთმა საქმიანობებმა არ დაკარგოს კავშირი სულიერებასთან.

„ფიზიკური ვარჯიშები და სპორტით დაკავება ძალიან კარგია, რადგან ადამიანებს ეხმარება სხეულის მართვაში... სხეულზე ზრუნვას ეკლესია არ გვიშლის, თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს სხეულის კულტში“ (ახალგაზრდა მამაკაცი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან).

„სპორტი და ვარჯიში კარგია, თუმცა სპორტსაც გააჩნია... აი, მაგალითად, ავილოთ კიქოქსინგი. მომხდარა ისე, რომ სპორტის ამ სახეობას მოთამაშის სიკვდილი გამოუწვევია რინგზე. ეს ამორალურია, წინააღმდეგობაშია სულიერებასთან და ქრისტიანობასთან. ცოდვაში დგამ ფეხს, თუ ამ სპორტით ხარ გატაცებული“ (ახალგაზრდა გოგო მართლმადიდებელთა ჯგუფიდან).

პროფანული (საერო) საქმიანობების „სპირიტუალისტურ“ ლეგიტიმაციას ხაზს უსვამენ, აგრეთვე, მუსლიმთა თემის წარმომადგენლები. ფოკუს ჯგუფის მონაწილე მუსლიმებმა განაცხადეს, რომ არსებობს საქმიანობები, რომელთა შესრულება მუსლიმებს თუნდაც თავისუფალი დროის პირობებში ეკრძალებათ, მაგალითად, კაზინოში თამაში, ალკოჰოლის გაყიდვა, ადამიანის გამოსახულების დახატვა და სხვ.

„მუჰამედ შუამავალმა სურათი არ დატოვა, რადგან კერპად არ ქცეულიყო. მერე კარიკატურა დახატეს და მუსლიმებმა ეს გავაპროტესტეთ... ქალს ეკრძალება სიმღერა, როცა ირგვლივ უცხო მამაკაცებია.. აზარტული თამაშები ადამიანებს აბოროტებს, სხვებს შენინად კი არა, მტრებად აღიქვამ, რომლებიც უნდა დაამარცხო...“ (ქართველი მუსლიმი მამაკაცი აჭარის რეგიონიდან).

თავისუფალი დროის ფარგლებში რელიგიური რიტუალების (ლოცვა, წირვაზე დასწრება, ზიარება და ა.შ.) შესრულება საკრალურ შრომად ითვლება ყველა რელიგიურ ჯგუფში. თუმცა, მართლმადიდებელთა ჯგუფის ნაწილში მხარდაჭერილია თვალსაზრისი, რომ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა მორწმუნეთათვის არა მხოლოდ თავისუფალი დროის შემადგენელი, არამედ, ზოგადად, *შრომის ლეგიტიმური პრაქტიკაა*. სხვანაირად თუ ვიტყვით, მართლმადიდებელი მორწმუნეები ახდენენ რელიგიურ პრაქტიკებში ჩართვის, როგორც განსაზღვრული შრომის, *უნივერსალიზაციას*. მათთვის ის ადამიანი, ვინც მხოლოდ რელიგიური რიტუალების შესრულებით არის დაკავებული, სულ მცირე, დასაძრახი არ არის და ვერ ვიტყვით, რომ ის ასოციალურია. დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე ასეთ შრომას „სულიერ შრომას“ უწოდებს. ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ რელიგიური რიტუალების შესრულება ფიზიკურ დატვირთვასაც მოითხოვს და ამიტომ ფიზიკური შრომის კატეგორიასაც განეკუთვნება.

„მეტანიების შესრულების დროს ფიზიკური დატვირთვა შრომაა, ასევე წირვაზე დასწრება – მთელი ამ დროის განმავლობაში დგახარ ეკლესიაში, ეს კი შრომაა. კათოლიკურ ეკლესიაში სკამებია, სხედან და ისე ისმენენ ლოცვას, ჩვენთან ეს ასე არაა და მორწმუნეს ფიზიკური გამძლეობა მოეთხოვება“ (ქალი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან).

სხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებმა მართლმადიდებლებისაგან განსხვავებული პოზიცია გამოხატეს. ისინი არ უარყოფენ, რომ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობაც შრომაა, თუმცა არ არის მოსაწონი, თუ ვინმესთვის ეს ერთადერთი (ან, ძირითადი) საქმიანობა იქნება (არ იგულისხმებიან ისინი, ვინც რელიგიურ ინსტიტუტებში მუშაობს). არამართლმადიდებლური რელიგიური ჯგუფების ეს პოზიცია, აშკარად თუ ლატენტურად, გულისხმობს იმასაც, რომ რელიგიური რიტუალების შესრულება არსებითად თავისუფალი დროისთვის ადეკვატური შრომაა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი შრომა ნაკლე-

ბად ღირებულია, პირიქით, ის შეიძლება სოციალურ შრომაზე აღმატებულადაც კი ჩაითვალოს.

„ჩემი აზრით – კი, ლოცვა შრომაა. თუმცა, თუ ადამიანი მარტო ლოცულობს და არ შრომობს, ოჯახი მშვიერი ჰყავს, მაშინ არ ვამართლებ... არაჯანსაღია, როცა ადამიანი პასუხისმგებლობას იღებს ოჯახზე და გადაწყვეტს, რომ ლოცვაა მხოლოდ არსებობის ნაწილი...“ „თვითონ მაცხოვარი ამბობს მოციქულებად გაქციეთ ახლა წადით იშრომეთ და სხვებიც აშრომეთ...“ *(მოსაზრებები გამოთქმული ბაპტისტთა ჯგუფში).*

„ჩვენ ვშრომობთ იმისათვის, რომ ვიარსებოთ და ვარსებობთ იმისთვის, რომ ღმერთს ვემსახუროთ. ორივე არის შრომა. რელიგიური რიტუალები დგას შრომაზე მაღლა და ამიტომ ჰქვია ღვთისმსახურება...“ *(მუსლიმი მამაკაცი).*

„ყურანიდან ვიცით, როცა მუჰამედის ერთი მეგობარი მხოლოდ ლოცულობდა და არ შრომობდა... ის სულ რიტუალებს ასრულებდა. მუჰამედმა ეს აკრძალა. მან თქვა, რომ ადამიანს ჭირდება დასვენებაც, შრომაც და რიტუალების შესრულებაც. შესაბამისად, არაა დაშვებული რელიგიით, რომ ადამიანი 24 საათი რელიგიურ რიტუალებს ასრულებდეს.“ *(მამაკაცი მუსლიმთა ჯგუფიდან).*

„მორწმუნე ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე თუ ზრუნავს, ცოდვას ჩადის – ჩვენი რელიგია გვიგვმავს დროს: 8 საათი ძილისთვის გვაქვს განკუთვნილი 8 საათი – შრომისთვის, დანარჩენი 8 საათი კი ღვთისმსახურებისთვის (ლოცვა, ყურანის კითხვა და სხვ.). დრო ტყუილად არ უნდა გავფლანგოთ, ყოველი წამი გამოსაყენებელია“ *(ქალი მუსლიმთა ჯგუფიდან).*

2.7.4. კონტროლის ინტერნალური ლოკუსი

როგორც ცნობილია, კონტროლის ინტერნალური ლოკუსი ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება (სულერთია, კარგი თუ ცუდი) გამოწვეულია ადამიანის მიერ კონტროლირებადი ფაქტორებით, როგორცაა ადამიანის ატიტუდი, მზაობა, ძალისხმევა და ა.შ. ამისაგან განსხვავებით, კონტროლის ექსტერნალური ლოკუსი ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ადამიანის ცხოვრება, არსებითად, იმართება ისეთი ფაქტორებით, რომელთა გაკონტროლება ან შეცვლა ადამიანს არ შეუძლია (ეს ფაქტორები შეიძლება იყოს სოციალური გარემო, ღმერთი, ბედისწერა და ა.შ.).

რელიგიურ თემებში, ცხადია, კონტროლის ინტერნალური ლოკუსი უკავშირდება წარმოდგენას იმის შესახებ, რამდენად დეტერმინირებულია ადამიანი ღმერთის არსებობით, სად გადის ზღვარი ადამიანის თავისუფლებასა და თვითნებობას შორის, რამდენად ზღუდავს განგება ადამიანის თავისუფალ ნებას, არის თუ არა ადამიანი პასუხისმგებელი საკუთარ ცხოვრებაზე, აქვს თუ არა რეალური არჩევანი და ა.შ.

ეს საკმაოდ კომპლექსური საკითხია და სხვადასხვა რელიგიური სწავლება სხვადასხვანაირად უყურებს ადამიანის თავისუფლების პრობლემას. კვლევაში ჩართული ექსპერტები (სასულიერო პირები და თეოლოგები) შემდეგ განსხვავებებზე მიუთითებენ:

- i. ქრისტიანული ანთროპოლოგია, კერძოდ, მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი, უარყოფს ფატალიზმს, ბედისწერას (მათ შორის ოკულტურ-ასტროლოგიურ დეტერმინაციას) და აღიარებს, რომ ადამიანი პიროვნული არსებაა და არა ბრმა ბუნება. ამაშია მისი, როგორც „ღვთის ხატის“ არსი. ღვთის ხატად ყოფნა პირველ რიგში თავისუფალ და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებელ არსებად ყოფნას ნიშნავს.⁷

⁷ ექსპერტებს მაგალითად მოჰყავთ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვები: „არ არსებობს სხვა იმდენად ზადიანი და უკურნებელი სწავლება, როგორც

- ii. განსხვავებულია პროტესტანტიზმის სწავლება, რომელიც აღიარებს „წინასწარგანსაზღვრულობის“ (‘predestination’) იდეას. ამ იდეის თანახმად, მხოლოდ ღმერთი ირჩევს იმას, თუ ვინ ცხონდება. ადამიანის, როგორც ცოდვილის, ხსნა არ არის დამოკიდებული იმაზე, როგორ მოიქცევა ის. ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანმა თავისუფალი ნება დაკარგა და იგი ბოროტებას სჩადის არა თავისუფლებიდან, არამედ აუცილებლობიდან გამომდინარე. ადამიანი ცოდვილია თავისი არსით: ცოდვა განსაზღვრავს მის სულს, გონებას, ემოციებს და სხეულს. ამდენად, მისი რაიმეგვარი ცხოვრება ვერ იქნება წინაპირობა ცხონებისათვის. ღმერთი ახორციელებს ე.წ. „უპირობო არჩევანს“ (‘unconditional election’) და წინასწარ განსაზღვრავს ზოგისთვის ცხონებას, ხოლო ზოგისთვის – წარწყმედას, მათი სულიერი მდგომარეობისა და ცხოვრების წესის მიუხედავად. კალვინიზმის მიხედვით, ღმერთმა არა მხოლოდ მორწმუნეებს, არამედ არამორწმუნეებსაც უბოძა ცხოვრების შემდგომი მარადიული ხსნა (ცხონება). არცერთ, თუნდაც ყველაზე ღრმად მორწმუნეს არ შეუძლია ამ განსაზღვრულობის შეცვლა. ეს დოქტრინა მორწმუნეში აღძრავს შფოთვის (წუხილის) მწვავე განცდას, რომელიც არ შეიძლება გადაილახოს საკრალური აქტების, კარგი ქცევების ან ეკლესიისადმი შეწირულობების საშუალებით.

სწავლება განგებისა და ბედისწერის შესახებ. თუკი აუცილებელია მოხდეს ბედისაგან განსაზღვრული მაშინაც, როდესაც დაულალავად ვმუშაობთ და მაშინაც, როდესაც გვძინავს, ნუ შეაბამს უღელში ხარებს მინათმოქმედი, ნუ გამოიტანს სახნისს, ნუ გაჭრის კვალს, ნუ დასთესს, ნუ ელის წლის ხელსაყრელ დროს, ნუ იტანს სიცივეს, ხანგრძლივ წვიმას, უბედურებებს და შრომას მთელი წლის მანძილზე, ნუ ლესავს ნამგალს და ნუ მკის დათესილ პურს, ნუ ლენს თავთავს, ნუ რგავს და ნუ ელის მცენარეებს, – მოციილოს მინათმოქმედის ყველა ზრუნვა, დაჯდეს სახლში და იძინოს: თუკი ყველაფერი ბედისგან უეჭველად აქვს დანიშნული, სიკეთე თავისით მიუვა სახლში... რატომ არ გადანყევით ასე მოქცევას, თუკი მართლაც გჯერათ ბედისა?..“

კალვინიზმი უარყოფს მსგავსი აქტების ლეგიტიმურობას, რადგან მათ უყურებს როგორც მაგიური პრაქტიკების ანალოგიურს და, ამდენად, ცრუს. თუმცა, შოფოთვამ შეიძლება გამოსავალი ჰპოვოს საერო ასკეტიზმის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმაში, როდესაც მორწმუნეები მთელ თავის ენერგიას ახმარენ თავიანთი საქმიანობის, „ხელობის“ (*Beruf*) რაციონალურ, მონესრიგებულ პრაქტიკას, როგორც ღვთის წყალობისადმი მათი მაღლიერების გამოხატულებას. შესაბამისად, არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ, „წინასწარგანსაზღვრულობის“ აღიარების მიუხედავად, პროტესტანტიზმი კონტროლის ექსტერნალურ ლოკუსზე *თანმიმდევრულ* აქცენტს სვამს – *რაციონალური შრომის ეთიკა პროტესტანტიზმში კონტროლის ინტერნალური ლოკუსის პარალელური დინების შემოტანას ნიშნავს.*

- iii. წინასწარგანსაზღვრულობის იდეას კიდევ უფრო თანმიმდევრულად და მკაცრად იზიარებს ისლამი. მუსლიმურ მონოთეიზმთან დაკავშირებულია ალაჰისადმი აბსოლუტური მორჩილების იდეა, რომლის მიხედვით ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, წინასწარაა განზრახული და აუცილებლობით მართული. ყველაფერი ალაჰის ნებით ხდება, ალაჰი არასოდეს უშვებს შეცდომას, ყოველი ადამიანი შექმნილია მის მიერ და ყველა ადამიანის ბედი უკვე მის განჩენამდეა ცნობილი. ამდენად, ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არ შეიძლება გამოდგეს „ტესტად“ მისი ხსნისთვის – ხსნაც და ჯოჯობეითაც უკვე წინასწარ განსაზღვრულია ალაჰის მიერ. ადამიანებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. შესაბამისად, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ თავისუფალი ნება. ადამიანის ყოველი საქმე, კეთილიცა და ბოროტიც, წინასწარ განსაზღვრულია. ადამიანი არ ირჩევს, ჩაიდინოს სიკეთე თუ ბოროტება. ამდენად, მას არ ძალუძს წინ აღუდგეს ბოროტებას, მაგრამ ღმერთს შეუძლია ბოროტების ქმნისათვის დასაჯოს ადამიანი.

მისდევს თუ არა საქართველოს სხვადასხვა რელიგიურ თემებში არსებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები რელიგიურ სწავლებათა პარადიგმებს?

მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა თემებში გამოკვეთილია პოზიცია, რომ ადამიანს შეუძლია საკუთარი ცხოვრების მართვა და ის ბედისწერის მონა არ არის. „საკუთარი ცხოვრების მართვაში“ კი შრომის ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. დისკუსიის მონაწილე მართლმადიდებლები აცხადებდნენ, რომ შრომით და პიროვნული ძალისხმევით ადამიანს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი მომავალი და შეცვალოს საკუთარი ცხოვრება. ეს, ცხადია, კონტროლის *ინტერნალურ ლოკუსის* არსებობაზე მიუთითებს.

„არ მჯერა ბედისწერის არსებობის. ადამიანის ცხოვრება მის ხელშია და შეუძლია ისეთი მიმართულება მისცეს და ისე იყოს, როგორც მას უნდა... საქართველოდან დღესდღეობით უამრავი ადამიანი გასულია, აქ ძალიან გაჭირვებულები რომ იყვნენ, იქ საკუთარი შრომით მიაღწიეს ბევრ რამეს, შეცვალეს თავისი მდგომარეობა“ (*ქალბატონი მართლმადიდებელთა ჯგუფიდან*).

საინტერესოა, რომ ბედისწერის უარყოფის მიუხედავად, მართლმადიდებელთა ჯგუფში იზიარებენ „ილბალის“, „გამართლების“ ფაქტორის მნიშვნელობას. ილბალია ის, როცა „საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდები.“ ილბალზე აქცენტირება ნიშნავს ირაციონალურის, შემთხვევითობის შემოტანას ცხოვრების ნაკადში, რაც არ შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანის მიერ და, ამდენად, კონტროლის *ექსტერნალურ ლოკუსის* წარმოადგენს.

განსხვავებული პოზიცია გამოიკვეთა მუსლიმთა ჯგუფში: მუსლიმები აღიარებენ ბედისწერის არსებობას და იმას, რომ „ალაჰმა ყველაფერი იცის“; თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ადამიანის ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში თუ წარუმატებლობაში ღმერთი „უშუალოდ“ არ მონაწილეობს. ალაჰი განაპირობებს იმას, თუ რისი მიღწევა შეუძლია ადამიანს, ანუ წინდანინვე

განსაზღვრავს ადამიანის უნარ-ჩვევებს და მათი გამოყენების შანსებს, რომელთა შეცვლა ადამიანს არ შეუძლია.

„ალაჰმა ყველაფერი იცის, მაგრამ ის არ არის წარმატებაში ხელის შემშლელი. მართალია, ღმერთმა იცოდა მიაღწევდი თუ არა შენ წარმატებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ ვერ მიაღწიე. ღმერთი ხელს არ გიშლის. თუ ადამიანი არ ან ვერ აღწევს წარმატებას, ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთმა განაპირობა. ღმერთმა უბრალოდ იცოდა წინასწარ, რომ შენ არ გქონდა უნარი და ვერ მიაღწევდი. ამ მხრივ, შეუძლებელია ბედისწერის შეცვლა“ (მამაკაცი მუსლიმთა ჯგუფიდან).

2.7.5. შრომა როგორც მიზანი თავისთავად

სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევართა წარმოდგენები შრომასთან, როგორც მნიშვნელად მიზანთან, მიმართებაში ხასიათდება როგორც მსგავსებებით, ასევე განსხვავებებით. მსგავსი სტრუქტურული მახასიათებლები შემდეგია:

- ა) შრომა გაიგება ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოღვაწეობის სფეროდ;
- ბ) შრომა და შრომის ფორმები ახდენს გავლენას ადამიანის როგორც სააქაო, ასევე გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებაზე (გამონაკლისია იეჰოვას მონმეთა ჯგუფი, რომელთაც არ სწამთ სულის უკვდავების);
- გ) შრომის გზით ადამიანი პასუხისმგებლობას იღებს როგორც მიკრო სოციალურ ჯგუფზე (ოჯახი, სანათესაო, თემი) ასევე, უფრო ფართო გაგებით, შრომა არის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ან, კიდევ უფრო ფართო პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე. მართლმადიდებელთა ჯგუფში, შრომის მოტივაციის შესახებ საუბრი-

სას, ჩამოყალიბდა საინტერესო ოპოზიცია: შრომისმოყვარეობა – პასუხისმგებლობის გრძნობა. ერთმა მონაწილემ (ქალმა) აღნიშნა (განზოგადების ტენდენციით), რომ სამუშაოს კარგად ასრულებს არა იმიტომ, რომ შრომისმოყვარეა, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობის გამო.

შრომის გაგება *სულის ცხოვნებასთან* მიმართებაში განსხვავებულად ესმით რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებს. მართლმადიდებელი ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, შრომა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცოდვისგან თავის დასაცავად. მოცემული ხედვის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ შრომის დროს ადამიანი დაკავებულია და მას არ აქვს საშუალება *ცოდვა* ჩაიდინოს. მოცემული მიდგომა შრომას წარმოადგენს როგორც თავდაცვის ინსტრუმენტს, რომელიც სულის ცხოვნებაში გვეხმარება, რამდენადაც შრომის პროცესი ადამიანს იცავს ცოდვის ჩადენისგან. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი დამოკიდებულება გვხვდება იეჰოვას მონიეებშიც.

დისკუსიების მონაწილეები განიხილავენ შრომას სხვა ქმედებებთან ერთად, როგორცაა დასვენება, ლოცვა და სხვა. მუსლიმების აზრით, შრომას ისეთივე ღირებულება აქვს სულის გადარჩენისათვის, როგორც ლოცვას. შრომის გარეშე ცხოვრება ისეთივე ცოდვაა, როგორც ლოცვაზე უარის თქმა. ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებების თანაბრად განაწილება მუსლიმებისთვის სულის ცხოვნების მნიშვნელოვანი გზაა. ფოკუს ჯგუფის მონაწილემ მოიყვანა მაგალითი ყურანიდან მუჰამედის ერთ-ერთი მეგობრის შესახებ, რომელიც მხოლოდ ლოცულობდა, რაზეც მუჰამედმა უსაყვედურა და უთხრა, რომ შრომაც აუცილებელი სიქველეა ღვთის წინაშე, როგორც ლოცვა. ეს პარადიგმა მნიშვნელოვანი იყო მუსლიმთა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისათვის.

მოცემული წარმოდგენა სტრუქტურულად განსხვავებულია მართლმადიდებლური ხედვისგან, სადაც სულიერების კომპონენტი – განდევილობა/ბერობა – სულიერი მოღვაწეობის მაქსიმუმია სააქაო ცხოვრებაში და შრომაზე მალლა დგას. მაშასადამე, მუსლიმებისგან განსხვავებით, მართლმადიდებლები სულის ცხო-

ნებისათვის უფრო დიდ მნიშვნელობას ლოცვას ანიჭებენ. შრომა მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველია ცხოვრებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ იეჰოვას მონმეების თემში ლოცვა როგორც რელიგიური პრაქტიკა არ გვხვდება. მათივე განცხადებით, მათი რელიგიური საქმიანობა წმინდა წერილის (ბიბლია) განმარტებები და ქადაგებაა. შესაბამისად, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქადაგება და ბიბლიის განმარტებებში მონანილეობა ცალცალკე სტრუქტურირებული არ არის. რელიგიურ შეკრებებში მონანილეობა შეიძლება მივიჩნიოთ სხვა აღმსარებლობებში არსებული ლოცვითი კომპონენტის ან ღვთის მსახურების ფუნქციონალურ ანალოგიად, იეჰოვას თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი მოღვაწეობა თანაბრადაა განანილებული შრომასა და ქადაგებას/განმარტებებს შორის. ყველა მათგანი ცდილობს ჰქონდეს ისეთი სამსახური, რომელიც შრომისა და რელიგიური საქმიანობის შეჯერებას შეძლებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რელიგიურ რიტუალებში მონანილეობის აუცილებლობას ყველაზე მეტად იეჰოვას რელიგიური ჯგუფი უსვამს ხაზს. თუ მართლმადიდებელთათვის და მუსლიმთათვის რელიგიურ რიტუალებში მონანილეობის არმილება შესაძლებელია კომპენსირდეს სხვა აქტივობებით (სხვა ადგილას ლოცვა, მონყალების გაცემა, აღსარება), იეჰოვას მონმეთა შემთხვევაში მსგავსი ალტერნატიული გზები მკაცრად ლიმიტირებულია. ამასთან, ფოკუს ჯგუფების ანალიზი ცხადყოფს, რომ რელიგიის მიმდევართა ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურირებას ყველაზე მეტად იეჰოვას მონმეთა რელიგია ახდენს.

ამრიგად, მართლმადიდებლები შრომას და ლოცვას ერთმანეთისგან სტრუქტურულად განასხვავებენ. ამასთან, ღირებულებითი თვალსაზრისითაც ლოცვას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულის ცხოვრებისათვის. მუსლიმების შემთხვევაში კი ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია. ამასთან, ლოცვა მუსლიმთათვის შრომის ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო მართლმადიდებელთათვის ეს ორი აქტივობა განსხვავებულია. იეჰოვას მონმეებისათვის შრომა მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, რელიგიის ქადაგება და შეკრებებში მონანილეობა უფრო ღირებულია.

ისლამში სიტყვა „შრომის“ არაბული ეკვივალენტია ‘camal’, რომელიც უკავშირდება თაყვანისცემას (worship), ამ ცნების ფართო მნიშვნელობით. ისლამში თაყვანისცემის რიტუალებს მიეკუთვნება მხოლოდ ლოცვა, მარხვა ან პილიგრიმოზა (pilgrimage). ერთ-ერთი ჰადისის მიხედვით, „მას, ვინც დღის დასასრულს დადლილია საკუთარი შრომით, მიეცევა ღმერთის მიერ.“ ისლამური ტრადიციის თანახმად, შრომა პოზიტიური ტვირთია და არა ნეგატიური.

კიდევ ერთი „შრომის“ ეკვივალენტური მნიშვნელობის სიტყვა ისლამში არის ‘sun’, რაც კრეაციას ან ქმნას (ხელოვნების ან ხელოსნობის გაგებით) ნიშნავს. თუმცა, აქ პრინციპული განსხვავებაა ღმერთის ქმნასა და ადამიანის ქმნას შორის; კერძოდ, ადამიანი, ღმერთისგან განსხვავებით, არ ქმნის რაიმეს *არაფრისგან (ex nihilo)*, არამედ ღმერთის მიერ უკვე შექმნილის კრეატიულ ტრანსფორმაციას ახდენს: მატერიას გარდაქმნის მატერიად, ენერგიად და პირიქით. გარდა ამისა, ადამიანის შრომა ჯილდოთია მოტივირებული და შეიძლება შესრულდეს გარკვეული ჯილდოს (მათ შორის, ფულადი ანაზღაურების) სანაცვლოდ.

თუმცა, ნებისმიერი საქმიანობა კანონიერ შრომად ვერ ჩაითვლება. ისლამში შრომა კავშირშია *ღირსებასთან* (არაბულად „Karama“). ყურანის მიხედვით, შრომა უნდა შესრულდეს ისეთ გარემოსა და პირობებში, რომლებიც იცავს ადამიანის ღირსებას. დამამცირებელი, საზიანო შრომა აკრძალულია ისლამში, მით უფრო ისეთი, რომელიც პროდუქტიულობის ან მოგების გაზრდის მიზნით დასაქმებულის დეჰუმანიზებას უწყობს ხელს. მუსლიმთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, მუჰამედ ალ-ბუხარი, ამბობს: „*თქვენი მსახურები თქვენი ძმები არიან. ღმერთმა ის თქვენი მზრუნველობის ქვეშ მოიყვანა, ამიტომ აჭამეთ ის, რასაც თქვენ მიირთმევთ, შემოსეთ იმით, რითაც თავად იმოსებით და არ მისცეთ ისეთი სამუშაო, რომელსაც ვერ შეასრულებენ, ხოლო თუ ასე მოიქცევით, მიეხმარეთ მათ მძიმე შრომაში.*“⁸

⁸ Sahih Bukhari, Book 2: <http://www.usc.edu/org/cmje/religious-texts/hadith/bukhari/002-sbt.php>

ღირსეულ შრომას ეხმიანება ისლამის 5 ფუნდამენტური საყრდენიდან⁹ ერთ-ერთი – დონაცია „Zakat“). ეს საყრდენი მოითხოვს, რომ მოხდეს სიმდიდრის გარკვეული ნაწილის დონაცია ქველმოქმედების მიზნით. ეს სავალდებულო პროცესია მუსლიმებისთვის, რათა ფიზიკურად და სულიერად განმინდონ თავიანთი წლიური შემოსავალი, რომელიც ამეტებს მათ აუცილებელ საჭიროებებს. „Zakat“-ის მიზანია მდიდრებისა და ღარიბების ურთიერთობის დაბალანსება და თანასწორობისა და ურთიერთ-პატივისცემის, როგორც ისლამის მორალური სწავლებების, დემონსტრაცია.

⁹ ეს ხუთი საყრდენია: 1. სჯულის ფიცი (testimony); 2. ლოცვა; 3) მარხვა; 4) ქველმოქმედება (მონყალების გაცემა); 5) მექაში მოგზაურობა თუნდაც ერთხელ ცხოვრებაში (პილიგრიმოზა).

თავი 3. რელიგიისა და შრომის კულტურული ასპექტები

სოციალურ-ანთროპოლოგიური ანალიზი

3.1. მეთოდის გამოყენების მიზანი და მეთოდოლოგია

ემპირიული მასალის კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ ე.წ. „ფაილ სორტინგი“ („დასტებად დახარისხება“) და რანჟირება. მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენების მიზანი იყო რელიგიასა და შრომის ეთიკას შორის მიმართების დადგენა. უფრო კონკრეტულად, „დასტების დახარისხებით“ უნდა გამოვლენილიყო, არსებობს თუ არა შეჭიდულობა შრომასა და რელიგიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცნებებს შორის; გარდა ამისა, ხდება თუ არა შრომის კლასიფიცირება და ღირებულებათა სკალაზე შრომის რომელი კომპონენტები იკავებს უპირატეს ადგილს.

„ფაილ სორტინგის“ მეთოდი განვსხორციელეთ ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე კვლევაში ჩართულ ექსპერტებს და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ვთხოვეთ დაესახელებინათ ის საკვანძო ცნებები, რომლებიც კავშირშია რელიგიასთან და შრომის ეთიკასთან. სულ დასახელდა 19 ცნება:

- | | |
|--------------------|----------------------|
| 1. გონებრივი შრომა | 6. მარხვა |
| 2. დასვენება | 7. მონყალების გაცემა |
| 3. დრო | 8. პირადი ჰიგიენა |
| 4. კარიერა | 9. რწმენა |
| 5. ლოცვა | 10. სამოთხე |

- | | |
|--------------------|-------------------------------|
| 11. სიზარმაცე | 16. ღვთისმსახურებაზე დასწრება |
| 12. სულიერი შრომა | 17. შრომისმოყვარეობა |
| 13. ფიზიკური შრომა | 18. წარმატება |
| 14. ფული | 19. ჯოჯოხეთი |
| 15. ქადაგება | |

მეორე ეტაპზე კვლევა ხორციელდებოდა ამა თუ იმ დენომინაციის რიგით მორწმუნეებთან, კერძოდ, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებთან. ის ფაქტი, რომ მოცემულ კვლევაში მონაწილეობდნენ რიგითი მორწმუნეები, საშუალებას გვაძლევს ვიკვლიოთ არა რომელიმე ეკლესიის რელიგიური დოქტრინა, არამედ ის, თუ როგორ აისახება ეს დოქტრინები რიგითი მორწმუნეების ღირებულებით სისტემაზე და რა გავლენას ახდენს მათ პრაქტიკაზე. ინფორმანტთა ამგვარი შერჩევის გამართულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხშირად კვლევის საწყის ეტაპზე ჩართული სასულიერო მოღვაწეები თუ ექსპერტები გადაჭარბებულ აქცენტს აკეთებდნენ რელიგიური თვალსაზრისით შრომის მნიშვნელოვნებაზე. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვეულებრივი მორწმუნეები ამგვარ აქცენტებს ნაკლებად სვამენ.

მოკლედ შევხვით „ფაილ სორტინგის“ და რანჟირების მეთოდების ემპირიულ გამოყენებას მოცემულ კვლევაში. პირველ ეტაპზე კვლევაში მონაწილე პირებს ეძლეოდა ზემოთ აღნიშნული ცნებების შემცველი 19 ბარათი, რომლებიც მათ უნდა დაეჯგუფებინათ. კვლევის პროცესში რესპონდენტებს ჰქონდათ მაქსიმალური თავისუფლება, ანუ ჯგუფების რაოდენობა ან ჯგუფებში ცნებების გაერთიანების კრიტერიუმები მათ თავად უნდა განესაზღვრათ. ანალიზისათვის გამოვიყენეთ ანთროპაგის პროგრამა, რომელიც „კითხულობს“ შეტანილ მონაცემებს და წარმოადგენს მათ ცნებების სიახლოვის მატრიცის სახით. ანალიზი ხორციელდება მრავალგანზომილებიანი სკალირების მეთოდით, რომელიც საშუალებას გვაძლევს სივრცულად წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ობიექტების სიახლოვე. კვლევა საინტერესოა იმიტომაც, რომ ის განხორციელდა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებში. კერძოდ, კვლევაში მონაწილეობდა 6 ჯგუფი: მართ-

ლმადიდებლები, ბაპტიტები, იეჰოვას მოწმეები, კათოლიკეები, მუსლიმები და ადამიანები, რომლებიც თავს არ მიიჩნევენ მორწმუნეებად.

მეორე დავალება, რომელიც კვლევაში მონაწილე პირებს უნდა შეესრულებინათ, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უნდა მოეხდინათ მოცემული ცხრამეტი ცნების რანჟირება. რანჟირების ამოსავალი პრინციპი კვლავ თავისუფალი იყო და თავად ინფორმანტებს უნდა განესაზღვრათ. საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კვლევაში მონაწილე სხვადასხვა აღმსარებლობის პირები ჯოჯოხეთის ცნებას რანგის მინიჭების გარეშე ტოვებდნენ, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ამ ცნების უარყოფით კონოტაციაზე.

ქვემოთ დეტალურად წარმოგიდგენილია კვლევის შედეგები.

3.2. მართლმადიდებლების კომპიუტერი რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავიდოდეთ, მოვიტანოთ გამოკითხვაში მონაწილე მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზის სიტყვები: *„ქრისტიანული რელიგიის არც ერთი ფრთა არ განიხილავს ადამიანს, როგორც მხოლოდ ზეციური მოქალაქეს. ადამიანს, ვიდრე შევა მაცხოვრებელ წიაღში, სჭირდება დედამინაზე ცხოვრებისათვის საჭირო რესურსები. ამისათვის კი ბუნებრივია, რომ საჭიროა შრომითი საქმიანობის მინერგება... მართლმადიდებლური ეკლესიის მიხედვით, ისტორიულად ეს არის ეკლესიის სწავლება თვითონ; შრომა განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც უნდა დაფასდეს როგორც საერო, ისე ასკეტური ცხოვრებისას. თუ გადავხედავთ ქრისტიანული ბერმონაზვნების ისტორიას, დავინახავთ, რომ მონასტრებში შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.“* ფოკუს ჯგუფების

შედეგად გამოვლინდა, რომ ნარატივის დონეზე მართლმადიდებელი მორწმუნეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შრომას.

დიაგრამა №1-ზე ასახულია მართლმადიდებლების მიერ ცნებების განაწილების კლასტერული ანალიზის შედეგები. თითოეული ფერით გამოსახულია ერთი კლასტერი. როგორც დიაგრამიდან ჩანს, მართლმადიდებლებმა 19 ცნებისაგან შეადგინეს ხუთი კლასტერი. პირველ კლასტერში გაერთიანებულია ცნებები, რომლებიც რელიგიური დატვირთვისა ან სულიერ აქტივობას უკავშირდება: სულიერი შრომა, მოწყალების გაცემა, ქადაგება, სამოთხე, რწმენა, მარხვა, ღვთისმსახურებაზე დასწრება და ლოცვა. მეორე კლასტერში გაერთიანებულია ცნებები, რომლებიც მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა კარიერულ წინსვლას დაუკავშირეს, კერძოდ: კარიერა, შრომისმოყვარეობა, გონებრივი შრომა და წარმატება. მესამე კლასტერში გაერთიანებულია ცნებები – პირადი ჰიგიენა, დასვენება და დრო. მეოთხე კლასტერში გაერთიანებულია ორი ცნება: ფიზიკური შრომა და ფული, ხოლო ბოლო კლასტერი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და მოიცავს ორ ცნებას – ჯოჯოხეთსა და სიზარმაცეს.

პირველი კლასტერი მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვანდის, რადგან აქ მხოლოდ რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებებია ასახული, თუმცა, საინტერესოა, რომ ჯოჯოხეთი, რომელიც ასევე რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებაა, კლასტერში არ მოხვდა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონაწილეებმა ცნებები არა მხოლოდ რელიგიური დატვირთვის მიხედვით გააერთიანეს, არამედ გამოიყენეს დაჯგუფების მეორე კრიტერიუმიც – პოზიტიურობა-ნეგატიურობა; პირველ კლასტერში გაერთიანებულია დადებითი კონოტაციის რელიგიური ცნებები, რომლებიც სულის ხსნას და სამოთხეს უკავშირდება. რაც შეეხება ჯოჯოხეთს, ის ცალკეა გამოყოფილი ნეგატიური კონოტაციის გამო და მასთან დაკავშირებულია სიზარმაცე. სიზარმაცეს, რომელიც რელიგიაში „მცონარობის“ სახელით არის ცნობილი, ეკლესია ისეთი ცოდვების სათავედ აცხადებს, როგორიცაა სასონარკვეთილება და ადამიანური ვნებები. სიზარმაცის მიმართ ეკლესიის რადიკალური პოზი-

ცია, როგორც ჩანს, რიგით მორწმუნეებსაც მყარად აქვთ გაზიარებული და ამ ცნებას ჯოჯოხეთის გვერდით ათავსებენ.


საინტერესოა მესამე კლასტერი. პირად ჰიგიენაზე გადაჭარბებული ზრუნვა ცოდვათა შორის განიხილება, ისევე როგორც დასვენება არ არის დადებითი კონოტაციის მატარებელი. საინტერესოა, რომ ორივე ეს ცნება უკავშირდება დროს. მართლმადიდებლების კოგნიტურ რუკაზე, განსხვავებით პროტესტანტული რელიგიისაგან, დრო არ უკავშირდება არც შრომას და არც კაპიტალის დაგროვებას, არამედ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ადამიანისაგან თავისუფალ დროს მოითხოვს. *შესაბამისად, მართლმადიდებლებს შორის დრო ძირითადად თავისუფალი დროა და არა დრო, რომელიც სულიერ, ფიზიკურ ან გონებრივ შრომას უკავშირდება.*

მეორე კლასტერში გაერთიანებული კატეგორიები ამქვეყნიური წარმატების ამსახველია. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, წარმატებული ადამიანი არის ის, ვინც კარიერულ წინასვლას მიაღწია, ცნობადი სახეა, დიდი კაპიტალის ან ძალაუფლების მფლობელია. საინტერესოა, რომ მართლმადიდებელი მორწმუნეები არ აღიარებენ არაკეთილსინდისიერი გზით მიღწეულ წარმატებას: *„შეიძლება ადამიანმა ბევრი ცუდი რამ გააკეთოს კარიერის გასაკეთებლად, შეიძლება ვიღაცა გაწიროს და ძალიან დიდ მწვერვალზე მიაღწიოს, მაგრამ მე ასეთ ადამიანს წარმატებულად არ აღვიქვამ.“* სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ამ კლასტერში მოთავსებულია შრომის ეთიკასთან დაკავშირებული „შრომისმოყვარეობის“ ცნება.

კვლევაში ჩართული იყო სამი ტიპის შრომა – სულიერი, ფიზიკური და გონებრივი. მართლმადიდებელ მორწმუნეებში წარმატება გონებრივ შრომას დაუკავშირდა, რადგან, მათი გაგებით, წარმატება ამქვეყნიური სიკეთის ნაწილია. საინტერესოა ის, რომ რესპონდენტებმა ფული არ დაუკავშირეს კარიერას, შრომისმოყვარეობას, წარმატებას და გონებრივ შრომას. ფული მართლმადიდებლების კოგნიტურ რუკაზე ფიზიკურ შრომას უკავშირდება და ცალკე კლასტერის ნაწილია. როგორც ჩანს, მორწმუნე მართლმადიდებლებისათვის შრომა კლასიფიცირებულია: მართლმადიდებელი მორწმუნეებისათვის სულიერი შრომა რელიგიური დატვირთვის

მქონეა, გონებრივი შრომა – კარიერული წინსვლის საწინდარი, ხოლო ფიზიკური შრომა – ფულის მოპოვების საშუალება.

დიაგრამა №1: მართლმადიდებელი მორწმუნეების კოგნიტიური რუკა




კვლევის პროცესში ინფორმანტებს აღნიშნული ცნებები უნდა დაეღაცებინათ უპირატესობების მიხედვით; თუმცა, უპირატესობის კრიტერიუმით მათ თავად უნდა განესაზღვრათ. კვლევის შედეგად გამოვლინდა (იხ. დიაგრამა №2), რომ წამყვან ადგილებს მართლმადიდებელ მორწმუნეებს შორის რელიგიური კონოტაციის ცნებები იკავებს. წამყვან ადგილებზე მართლმადიდებლები ასახელებენ რწმენას, ლოცვას, მარხვას, სულიერ შრომას და ღვთისმსახურებაზე დასწრებას. მართლმადიდებელ მორწმუნეთა ღირებულებათა ამგვარი სისტემა აშკარად მართლმადიდებლური რელიგიის გავლენით შეიძლება აიხსნას, სადაც მართას შრომა წარმავალისთვის და ამოსთვის ზრუნვად აღიქმება, ხოლო მარიამის სულიერი შრომა – უფლისთვის ღვანლად.

ცნებების რანჟირების სკალაზე ისეთი ცნება, როგორცაა „სამოთხე“, მერვე ადგილს იკავებს და ჩამორჩება სრომისმოყვარეობას და გონებრივ შრომას. სამოთხე ანუ სასუფეველი, რომელიც უპირატესი ღირებულების მატარებელი უნდა იყოს მორწმუნე-

ნეთათვის (რისთვისაც ყველა რელიგიური აქტივობა ხორციელდება), შედარებით ნაკლები ღირებულების მატარებელია; ეს კი რელიგიის რიტუალურ ხასიათზე მიუთითებს. რელიგიური დატვირთვის მქონე ცნება – ქადაგება, უპირატესობების სკალაზე ასევე დაბალ ადგილს იკავებს და ნეგატიური ველისაკენ იხრება. ეს შეიძლება გამონკვეული იყოს იმით, რომ სულიერი შრომის სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, ქადაგება უშუალოდ მორწმუნეების მოვალეობაში არ შედის და, შესაბამისად, ნაკლებ მნიშვნელოვნად აღიქმება.


დიაგრამა №2: მართლმადიდებელი მორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)



ცნებების განაწილების გასანალიზებლად ასევე გამოვიყენეთ ცენტრალური ტენდენციების მეორე საზომი – მოდა. მოდა არის ყველაზე გავრცელებული შეფასება. როგორც დიაგრამა №2-ზეა ნაჩვენები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ცნებების განაწილე-

ბა ძირითადად იმეორებს საშუალო მაჩვენებლების განაწილებას. გონებრივი შრომა, რწმენის მსგავსად, ყველაზე ხშირად ხვდება პირველ ადგილას. თუკი საშუალო მაჩვენებლებით ფიზიკური შრომა მეტორმეტე ადგილას იყო, აღმოჩნდა, რომ ინფორმანტები მას ყველაზე ხშირად მეორე ადგილას ათავსებდნენ. მნიშვნელოვანი განსხვავება არის ცნება „სამოთხის“ შეფასებასთანაც. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სამოთხეს მართმადიდებელი მორწმუნეები 19 ცნებას შორის ყველაზე ხშირად მეჩვიდმეტე ადგილას ათავსებდნენ, რომლის შემდგომ მხოლოდ სიზარმაცე და ჯოჯოხეთია.

დიაგრამა №3: მართლმადიდებელი მორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (დალაგება ხდება 1-დან ან 19-მდე)



მოკლედ რომ შევაჯამოთ, მართლმადიდებელ მორწმუნეებში გონებრივი და ფიზიკური შრომა გამიჯნულია რელიგიისაგან და ამქვეყნიური ცხოვრების კომპონენტად უფრო აღიქმება, ვიდრე სულისათვის და სასუფევლისათვის ზრუნვად. მორწმუნეები მაინც მიჯნავენ შრომის სხვადასხვა ტიპს: ყველაზე დაფასებული


გონებრივი და სულიერი შრომაა; გონებრივი შრომა ამქვეყნიური წარმატების წინაპირობაა, ხოლო სულიერი შრომა – სულის ხსნის წინაპირობა. შემდეგ მოდის ფიზიკური შრომა, რომელიც ფულთან და მატერიალური საშუალებების მოპოვებასთან ასოცირდება. სიზარმაცე ჯოჯოხეთთან ერთად ხვდება კლასტერში და ყველაზე უარყოფითად ფასდება.

3.3. კათოლიკეების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებებითი სისტემა

მორწმუნეთა შემდგომი ჯგუფს კათოლიკეები შეადგენენ (იხ. დიაგრამა №4). კათოლიკეთა კოგნიტური რუკა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა მორწმუნეებისაგან; პირველ რიგში იმით, რომ მათ რუკაზე რელიგიური ცნებები სხვადასხვა კლასტერად გაიყო: პირველ კლასტერში მოთავსებულია ლოცვა, რწმენა, სამოთხე, მარხვა, მოწყალების გაცემა. მესამე კლასტერში კი – სულიერი შრომა, ქადაგება და ღვთისმსახურებაზე დასწრება. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ კათოლიციზმში ღირებულებებითი ცენტრია რიტუალურ-მედიტაციური-ლიტურგია და ლოცვა, აგრეთვე დიაკონია, ანუ კეთილი საქმეები, მაგრამ აქ ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება უანგარობას და გაცემას. როგორც ჩანს, კათოლიკეთა კოგნიტურ რუკაზე პირველი კლასტერი სწორედ კათოლიციზმისათვის ნამყვანი ღირებულებებით არის ფორმირებული. ექსპერტის თქმით, „*სულიერი შრომა კი შრომა არც არის – ესაა მჭვრეტელობა, მედიტაციის ნაწილი. მისიონერობაც არაა შრომა, ესაა „ვიტა აქტივა“.* ანტიკურობაც და ქრისტიანობაც განასხვავებენ მჭვრეტელურ ცხოვრებას და ქმედებით ცხოვრებას (მარიამი და მართა, ლაზარეს დები), ამასთან, პირველი მეორეზე მაღლა დგას.“ ეს პოზიცია გვეხმარება კათოლიკეთა კოგნიტური რუკის ახსნაში. ქადაგება, ღვთისმსახურებაზე დასწრება და სულიერი შრომა კათოლიკებისათვის ცალკე კლასტერია და უფრო ნაკლები დატვირთვის მქონეა, რადგან არ არის კათოლიციზ-

მის ცენტრალურ ღირებულებებზე (ლოცვასა და მედიტაციაზე) ორიენტირებული.

დიაგრამა №4: კათოლიკე მორწმუნეების კოგნიტური რუკა




კათოლიკე მორწმუნეები ერთ კლასტერში აერთიანებენ ჯოჯოხეთს, სიზარმაცეს, ფიზიკურ შრომას, კარიერას, წარმატებას და პირად ჰიგიენას. ამ კლასტერის ასახსნელად კვლავ გამოკითხული ექსპერტის დასკვნას გამოვიყენებთ, რომლის მიხედვითაც შრომა, რომელიც ადამიანურ სახეს გაკარგვინებს, ანუ მოხვეჭაზე ორიენტირებული, არ შედის კათოლიციზმის ცენტრალურ ღირებულებებში. შესაბამისად, ეს კლასტერი აერთიანებს ფიზიკურ შრომას, და ასევე ამქვეყნიურ წარმატების კომპონენტებს – კარიერას და წარმატებას. ის, რომ ამ კლასტერშივეა სიზარმაცე და ჯოჯოხეთი გაერთიანებული (თუმცა გარკვეულ დისტანციაზე) მიუთითებს იმაზე, რომ ეს კლასტერი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, რომელიც, როგორც ჩანს, პირად ჰიგიენაზეც ვრცელდება.

საინტერესოა მეოთხე კლასტერი, რომელშიც გაერთიანებულია შრომისმოყვარეობა და გონებრივი შრომა. გამოკითხული


ექსპერტის აზრით, „სულიერ მოღვაწეობას“ („подвизничество“) შრომა არ ეწოდება. ეს კარგად არის გადმოცემული თომა აქვინელთან. გარდა ამისა, ინტელექტუალური შრომა არ გაიგება როგორც შრომა, და ესაა ანტიკური ტრადიცია. ასეა ტრადიციულ ქრისტიანობაში, მე-16 საუკუნემდე, კათოლიციზმში კი – დღემდე. გარკვეულ ეტაპამდე შრომა გაიგებოდა როგორც მხოლოდ ფიზიკური.“ ის საკითხი, თუ რას უკავშირდება კათოლიკეთა კოგნიტურ რუკაზე გონებრივი შრომის განყენებული პოზიცია – ქრისტიანულ სწავლებას ინტელექტუალურ შრომასთან დაკავშირებით თუ ქართულ კულტურის სხვა თავისებურებებს, შეიძლება ღიად დავტოვოთ. ბოლო კლასტერში გაერთიანებულია დრო, ფული და დასვენება. კათოლიკე მორწმუნეებთანაც დრო თავისუფალი დროის კატეგორიაში თავსდება, უკავშირდება დასვენებას, რომელიც ასევე მატერიალურ საშუალებებსაც საჭიროებს ან მათ არსებობაზე მიუთითებს.

დიაგრამა №5: კათოლიკე მორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)



საინტერესოა კათოლიკეთა მიერ იმავე ცნებების რანჟირების მონაცემები (იხ. დიაგრამები №№ 5, 6). მართლმადიდებელი მორწმუნეების მსგავსად, კათოლიკეები საწყის პოზიციებზე პირველი კლასტერის ცნებებს, ანუ კათოლიციზმისათვის ცენტრალურ ღირებულებებს ათავსებენ. გამონაკლისს წარმოადგენს მარხვა, რომელიც შედარებით დაბლა თავსდება და გასაგებიცაა, რადგან განსხვავებით მართლმადიდებლობისაგან, სადაც წლის განმავლობაში 200 დღე მარხვაა, კათოლიციზმში მარხვა შედარებით ნაკლები დატვირთვის მქონეა. მეორე კლასტერის ის ცნებები, რომლებიც ნეგატიური კონოტაციის მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს, იშლება და სხვადასხვა პოზიციას იკავებს. მეორე კლასტერიდან ყველაზე დადებითი კონოტაციის მქონე კათოლიკეთათვის პირადი ჰიგიენა აღმოჩნდა. ინფორმანტთა უმრავლესობა მას მეოთხე ადგილზე ათავსებს, ხოლო, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, ის მეხუთე ადგილზეა. ფიზიკური შრომა მეორე ცნებაა მეორე კლასტერიდან, რომელიც ინფორმანტთა უმრავლესობამ მეთავე ადგილზე განათავსა. ბოლო ადგილებს იკავებს ცნებები: წარმატება, კარიერა, სიზარმაცე და ჯოჯოხეთი. რელიგიური ცნებების კლასტერი (ღვთისმსახურებაზე დასწრება, ქადაგება და სულიერი შრომა) დაახლოებით შუალედურ პოზიციას იკავებს ცხრამეტე ცნებას შორის.

დიაგრამა №6: კათოლიკეთა მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (დალაგება ხდებოდა 1-დან 19-მდე)



საშუალო ტენდენციების სხვადასხვა საზომები (მოდა და საშუალო), განსხვავებულ სურათს გვაძლევენ მეოთხე კლასტერთან მიმართებაში. საშუალოს (Mean) მიხედვით გონებრივი შრომა და შრომისმოყვარეობა დაახლოებით შუალედურ ადგილს იკავებენ (შრომისმოყვარეობის საშუალო მაჩვენებელია 9.75, ხოლო გონებრივი შრომის საშუალო მაჩვენებელი -10.75), მოდის (Mode) მიხედვით კი, გონებრივი შრომა ხშირად თავსდება მესამე ადგილზე, ხოლო შრომისმოყვარეობა – მეთერთმეტე ადგილზე. საკმაოდ ნეგატიურ შეფასებას იღებენ მეხუთე კლასტერის ცნებები: დრო, ფული და დასვენება. დასვენება ბოლოდან მესამე ადგილზეა ჯოჯოხეთისა და სიზარმაცის შემდგომ, დრო კი კარიერას და ფულს მცირედით უსწრებს.


რომ შევაჯამოთ, კათოლიკეებშიც არ არსებობს შრომის ეთიკა-სა და რელიგიურობას შორის მჭიდრო კავშირი. ამ რელიგიის წარმომადგენლები ორიენტირებული არიან მედიტაციაზე, ლოცვასა და ლიტურგიაზე. ამდენად, ეს ჯგუფი რელიგიური კონოტაციის

გარკვეულ ცნებებს გამოყოფს სხვა რელიგიური ცნებებისაგან. ესაა ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს მართლმადიდებელ და კათოლიკე მორწმუნეებს შორის. დროის, დასვენების, ჰიგიენის თუ გონებრივი შრომის აღქმა ქართველ კათოლიკეებში თითქმის მსგავსია მართლმადიდებლებისა, რაც ამ ინდივიდების ერთ კულტურულ არეალში ცხოვრების თანმდევი პროცესია.

3.4. ბაპტისტების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა

ბაპტისტი მორწმუნეების კოგნიტური რუკაც ხუთი კლასტერისაგან შედგება (იხ. დიაგრამა №7). პირველი კლასტერი, მართლმადიდებლების მსგავსად, მოიცავს რელიგიური დატირთვის მქონე პოზიტიურ ცნებებს. მეორე კლასტერი კი შედგენილია შემდეგი ცნებებით – პირადი ჰიგიენა, გონებრივი შრომა, სიზარმაცე, ჯოჯოხეთი, კარიერა და წარმატება. ეს კლასტერი იმეორებს კათოლიკეთა მეორე კლასტერს, თუმცა, კათოლიკეებთან გონებრივი შრომის ნაცვლად ფიზიკური შრომა გვხვდებოდა.

დიაგრამა №7: ბაპტისტი მორწმუნეების კოგნიტური რუკა



მეოთხე კლასტერის შემადგენლობა ადასტურებს ბაპტისტი მორწმუნეების განსხვავებულ დამოკიდებულებას შრომის მიმართ. ფიზიკური შრომის დაკავშირება შრომისმოყვარეობასთან მიუთითებს იმაზე, რომ ფიზიკური შრომა ამ რელიგიურ ჯგუფთან გარკვეულწილად სულის ცხონებას უკავშირდება, მაშინ როცა გონებრივი შრომა ამქვეყნიური წარმატების (კარიერის) საწინდარია და სულის წაწყმედის, ანუ ჯოჯოხეთში მოხვედრის წინაპირობაა. ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ბაპტისტი მორწმუნეები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ *„ყველანაირი შრომაა მისაღები, რომელიც ადამიანის უფლებებს არ ლახავს“*. მეორე მხრივ, მორწმუნეთა ეს ჯგუფი შრომას ერთმნიშვნელოვნად სულის ხსნას არ უკავშირებს. რელიგიური დატვირთვის გარდა, შრომა ბაპტისტებისათვის ოჯახის წინაშე ვალდებულებების შესრულება და საზოგადოებრივი აქტივობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დრო ბაპტისტ მორწმუნეებთან არ მოიაზრება შრომასთან მიმართებაში. დრო დაკავშირებულია დასვენებასთან და თავისუფალი დროის კომპონენტის სახით არის წარმოდგენილი.


ბაპტისტი მორწმუნეების კოგნიტურ რუკაზე ფული განყენებული კატეგორიაა, რომელიც არცერთ სხვა ცნებასთან კავშირში არ არის. ამ ფაქტის ასახსნელად გამოგვადგება ბაპტისტი მორწმუნეებთან ჩატარებული ჯგუფური დისკუსიის შედეგები. კითხვაზე – *არის თუ არა ფული ერთმნიშვნელოვნად ცუდი რამ*, ბაპტისტი მორწმუნეები ცალსახა პასუხს ვერ სცემენ. ფულზე საუბრისას ისინი ორ კომპონენტზე აკეთებენ აქცენტს:

1) მორწმუნე ბაპტისტმა ფული არ უნდა დააგროვოს, რადგან, სახარების მიხედვით, იმის დაგროვება, რასაც ჟანგი და ჩრჩილი ჭამს, არ ვარგა.

2) ამ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლების აზრით, ფული კეთილსინდისიერი შრომით უნდა იქნეს მოპოვებული.

ფულის შოვნის გზისა და რაოდენობის მიხედვით, ფული შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი კონოტაციის მატარებელი. სწორედ ამიტომ, ბაპტისტი მორწმუნეების კოგნიტურ რუკაზე ეს ცნება განცალკავებით დგას.

დიაგრამა №8: ბაპტისტი მორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)




სხვა რელიგიური ჯგუფებისაგან განსხვავებით, ბაპტისტ მორწმუნეებთან ცნებების რანჟირების მონაცემები განსხვავებულ სურათს გვაძლევს (იხ. დიაგრამები №№8, 9). რელიგიური კომპონენტებისაგან მხოლოდ ზოგიერთი (რწმენა, ლოცვა, სამოთხე და სულიერი შრომა) იკავებს საწყის პოზიციებს. ღვთისმსახურებაზე დასწრება, მარხვა, ქადაგება, მოწყალეების გაცემა ძირითადად მეშვიდე და უფრო ქვედა პოზიციებზე გვევლინება. ნიშანდობლივია ის, რომ ბაპტისტი მორწმუნეები ერთადერთი ჯგუფია, სადაც შრომისმოყვარეობა, რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებების გვერდით, პირველ პოზიციაზე განათავსა ინფორმანტების უმრავლესობამ. თუმცა, კოგნიტურ რუკაზე შრომისმოყვარეობასთან დაკავშირებული ცნება – ფიზიკური შრომა, ცხრამეტ ცნებას შორის მეთერთმეტე ადგილს იკავებს. ღირებულებათა სკალაზე ასევე სხვადასხვა პოზიციას იკავებს კოგნი-

ტურ რუკაზე ერთ კლასტერში მოთავსებული ცნებები: დრო და ფული. ბაპტისტი ინფორმანტების მიერ დრო ყველაზე ხშირად მესამე ადგილზე განთავსდა, ხოლო საშუალო მაჩვენებლით კი მეოთხე ადგილზეა. სხვა ჯგუფების მსგავსად, დასვენება აქაც ბოლოდან მესამე ადგილზეა და მხოლოდ სიზარმაცეს და ჯოჯოხეთს უსწრებს.

ამ თავისებურებების ასახსნელად შეგვიძლია კვლავ ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული მონაცემები გამოვიყენოთ. სხვა ჯგუფებთან შედარებით, ბაპტისტი მორწმუნეები აქცენტს სვამენ პროფესიაში წარმატებაზე, რომელიც ღვთის ნყალობის შედეგია. გარდა ამისა, ადამიანთა ეს ჯგუფი უარყოფს შრომის დროს რელიგიური კომპონენტების ჩართვას, მაგალითად, სამუშაო სივრცეში რელიგიური დატვირთვის მქონე საგნების (ძირითადად ხატების და ჯვრების) განთავსებას. ერთ-ერთი ბაპტისტის განცხადებით: *„მართლმადიდებელი კულტურა პიროვნების წინსვლისთვის შემაფერხებელია. რატომ? ძალიან გავრცელებულია ხატების განთავსება სამუშაო ადგილებში და ეს ქცევა სამუშაოს შესრულებისთვის შეიძლება შეუფერხებელი იყოს, შეიძლება ბიბლია ქონდეს თან და ამანაც იქონიოს გავლენა, ვიზუალს აქვს მნიშვნელობა.“* ეს ნიშნავს, რომ ამ რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები რელიგიის რიტუალურ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და უფრო მეტს საუბრობენ სამუშაოს, პროფესიის და, ზოგადად, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაზე.

დიაგრამა №9: ბაპტისტების მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (დალაგება ხდებოდა 1-დან 19-მდე)



ბაპტისტი ინფორმანტები პირად ჰიგიენას და კარიერას ყველაზე ხშირად მეოთხე ადგილზე ათავსებენ. თუმცა, საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ამ ცნებებს მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილი უჭირავთ. განსხვავებული ტენდენცია ვლინდება გონებრივ შრომასთან მიმართებაში. გონებრივი შრომა ბაპტისტების მიერ ყველაზე ხშირად მეექვსე ადგილზეა დასახელებული ცხრამეტე ცნებას შორის. თუმცა, შეფასებების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით კიდევ უფრო პოზიტიურად ფასდება და მესამე ადგილზე ხვდება. ფული, რომელიც ბაპტისტების კოგნიტიურ რუკაზე ცალკე კომპონენტად წარმოდგა, ღირებულებით სკალაზე ყველაზე ხშირად მეხუთე პოზიციას იკავებს, თუმცა საშუალო მაჩვენებლით მეთოთხმეტე ადგილზეა.

თუ შევაჯამებთ, ბაპტისტი მორწმუნეები, სხვა რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით, მეტ აქცენტს სვამენ შრომის საყოველთაოდ მისაღებ ხასიათზე, პასუხისმგებლობაზე სამუშაო ადგილას. ფული ამ ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია,

თუმცა აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა გზით და რამდენ მატერიალურ რესურსს დააგროვებს მორწმუნე. სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, სწორედ ბაპტისტები ათავსებენ ყველაზე უფრო ხშირად შრომისმოყვარეობას პირველ ადგილზე ცხრამეტ ცნებას შორის. ამის მიუხედავად, შრომა არც ამ ჯგუფთან არის ერთმნიშვნელოვნად სულის ხსნის კომპონენტი, რადგან კოგნიტურ რუკაზე ფიზიკური და გონებრივი შრომა არ ხვდება რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებებს შორის.

3.5. იეჰოვას მოწმეების კოგნიტური რუკა და პროექციულად გამოვლენილი ღირებულებითი სისტემა

იეჰოვას მოწმეების კოგნიტურ რუკაზე ცხრამეტი ცნება ოთხ კლასტერად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა №10). თუკი ყველა წინა ჯგუფი პირველ კლასტერში რელიგიური დატვირთვის მქონე პოზიტიურ ცნებებს ათავსებდა, იეჰოვას მოწმეებთან რელიგიურ ცნებებთან ერთად დამატებით თავსდება ორი ცნება – კარიერა და სიზარმაცე. თავის მხრივ, პირველი კლასტერი ორ ნაწილად არის გაყოფილი: პირველ ნაწილში შესულ ცნებებს მაღალი შეჭიდულობა აქვს და იეჰოვას მოწმეებისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა; ესენია: ღვთისმსახურებაზე დასწრება, ქადაგება, ლოცვა, რწმენა და სულიერი შრომა. მეორე ნაწილში ერთადაა მოთავსებული (შეჭიდულობის მაღალი ხარისხით) სამოთხე, ჯოჯოხეთი, მარხვა, კარიერა და სიზარმაცე. მათ ერთად თავმოყრას თითოეული მათგანის არამნიშვნელოვნება განაპირობებს: სამოთხე და ჯოჯოხეთი იეჰოვას მოწმეებისათვის არარელევანტურია, რადგან, მათი აზრით, მეორედ მოსვლის შემდგომ ცხოვრება კვლავ დედამინაზე გრძელდება; მარხვას იეჰოვას მოწმეები არ აღიარებენ; სიზარმაცე სულის წარწყმედის ერთ-ერთი წინაპირობაა, ხოლო კარიერა სულის ხსნას ხელს უშლის. აღსანიშნავია, რომ იეჰოვას მოწმეებში წარმატებული ადამიანის აღქმა განსხვავებულია და არ

უკავშირდება ამქვეყნიურ საკითხებს. როგორც ცნობილია, იეჰოვას მონმეები არ მონაწილეობენ პოლიტიკაში, ერიდებიან საჯარო სამსახურებში მაღალი თანამდებობების დაკავებას და სამხედრო საქმიანობას. შესაბამისად, ამ რელიგიური სუბკულტურის წარმომადგენლებისთვის წარმატება მჭიდრო კავშირშია სულის ხსნასთან. დისკუსიაში მონაწილე რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ღმერთის და სულიერი ზრდის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია და ყველაფრის საწყისი ბიბლიაა. შესაბამისად, კარიერა, რომელიც სწორედ მიწიერი წარმატების გამოვლინებაა იელოვას მონმეებისთვის მიუღებელია.


საინტერესოა მეორე კლასტერი, რომელიც აერთიანებს ცნებებს: დრო, დასვენება, გონებრივი შრომა, ფიზიკური შრომა, შრომისმოყვარეობა, პირადი ჰიგიენა. იეჰოვას მონმეები ერთადერთი ჯგუფია, სადაც დრო შრომასთან დაკავშირებულ ცნებებთან ერთად ხვდება და სადაც ფიზიკური და გონებრივი შრომა ერთ სივრცეში განიხილება. საქართველოში იეჰოვას მონმეების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის თქმით, ბიბლიაში არ არსებობს შრომის კლასიფიკაცია, შესაბამისად, იეჰოვას მონმეების მიერ შრომის დიფერენცირება არ ხდება. მთავარია სულიერი შრომა, რომელშიც ქადაგებას უპირველესი ადგილი უჭირავს; ამქვეყნიური შრომა კი (როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური) მნიშვნელოვანია და პირდაპირ კავშირშია რწმენასთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ იეჰოვას მონმეებში არის შრომასთან ერთ კლასტერში გაერთიანებული დასვენება. სხვა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, დასვენება ამ ჯგუფის წევრებისათვის პოზიტიური კონოტაციის მატარებელია. იეჰოველთა ორგანიზაციის დამფუძნებელს ინტერვიუში მოჰყავს სოლომონის სიტყვები, რომ *ყოველმა კაცმა უნდა ჭამოს, სვას და სიამე ნახოს თავის გარჯაში, ეს ღვთისგან ნაბოძები ძღვენია*. შრომაში სიამის ნახვა კი თავისთავად დასვენებასაც მოიაზრებს და შრომის შედეგია.

ცალკე კლასტერად არის წარმოდგენილი წარმატება და ფული. წარმატების მსგავსად, რომელზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი, ფულიც იეჰოვას მონმეებისათვის არ არის მნიშვნელოვანი ღირე-

ბულება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთას თქმით, ფული უფრო მეტად პრობლემებს იწვევს, ვიდრე უპრობლემობას. ამის მიუხედავად, იეჰოვას მონწეები მიუთითებენ მატერიალური საშუალებების ქონის საჭიროებაზე, თუმცა – ლიმიტირებულად. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „*ფულის მოყვარული ადამიანი ფულით ვერასოდეს გაძლება და საკმარისი არასოდეს ექნება; ფულის დაგროვებას მოსდევს ამპარტავნება. ჩვენ ვპრობობთ, რომ ელემენტარული დავიკამყოფილოდ, გვექონდეს საკვები და ტანსაცმელი.*“ შესაბამისად, იეჰოვას მონწეებისათვის ფული და წარმატება მათი სულის ხსნისათვის ხელისშემშლელი ფაქტორებია და ცალკე ნეგატიურ კლასტერად არის გამოყოფილი.


მეოთხე კლასტერში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ცნება – მონყალების გაცემა. სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, იეჰოვას მონწეებისათვის მონყალების გაცემა პრიორიტეტული რელიგიური ქცევა არ არის. ისინი მნიშვნელოვან აქცენტს პატიოსან შრომაზე აკეთებენ და თვლიან, რომ ადამიანს სულიერ ხსნაში უნდა დაეხმარო, ხოლო სხეულისთვის მან თავისი პატიოსანი შრომით უნდა იღვანოს.

დიაგრამა №10: იეჰოვას მონწეების კოგნიტიური რუკა



იეჰოვას მონმეების მიერ ცხრამეტი ცნების რანჟირების ცენტრალური ტენდენციები ნაჩვენებია დიაგრამებზე ##11, 12. ცენტრალური ტენდენციების საზომების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ იეჰოვას მონმეები ერთადერთი ჯგუფია, სადაც მოდა და საშუალო მაჩვენებლები ერთმანეთს ემთხვევა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული რელიგიური ჯგუფის წევრები თითქმის იდენტურად აღიქვამენ და აფასებენ მოვლენებს. პირველი კლასტერის ცნებები, კოგნიტური რუკის შესაბამისად, ღირებულებით სკალაზეც ორ ნაწილად არის დაყოფილი: პირველი ჯგუფის კომპონენტები იკავებენ საწყის პოზიციებს, ხოლო ამავე კლასტერის მეორე ჯგუფის კომპონენტები – უკანასკნელ პოზიციებს. ერთადერთი გამონაკლისია სამოთხე. მიუხედავად იმისა, რომ იეჰოვას მონმეებისათვის სამოთხის, როგორც ასეთის, არსებობა მიუღებელია, შეფასებების სკალაზე ისინი ამ ცნებას მაინც მემკვიდრედ ადგილას ათავსებენ. ეს შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ისინი ამ ცნებაში სამოთხის მათეულ გაგებას მოიაზრებენ, კერძოდ, მეორედ მოსვლის შემდეგ დედამიწაზე სამოთხის აღდგენას. ფული და წარმატება იეჰოვას მონმეებისათვის ნეგატიური კონოტაციის მატარებელი ცნებებია და, შესაბამისად, უარყოფითად ფასდება (თუმცა, ეს ცნებები უსწრებს ცნებებს: ჯოჯოხეთი, სიზარმაცე, მარხვა და კარიერა).


დიაგრამა №11: იეჰოვას მოწმეების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)



მეორე კლასტერის კომპონენტები ღირებულებით სკალაზე ძირითადად შუალედურ ადგილებს იკავებენ. ამ ცნებებიდან ყველაზე პოზიტიურად შრომისმოყვარეობა ფასდება, ხოლო ყველაზე ნეგატიურად – დასვენება. თუმცა, სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, დასვენება მაინც უფრო დადებითი კონოტაციის მატარებელი ცნებაა. მოწყალეობის გაცემა ღირებულებით სკალაზე (მოდის და საშუალო მაჩვენებლების მიხედვით) მეცხრე ადგილზე თავსდება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იეჰოვას მოწმეებისათვის ქადაგება ცენტრალური კატეგორიაა და ცნებების რანჟირებისას სანყის პოზიციებს იკავებს. ქადაგებასთან მიმართებაში განსხვავებული დამოკიდებულებებია აღნიშნულ ჯგუფში: ერთნი თვლიან, რომ ქადაგება, როგორც ასეთი, შრომა არ არის; შეიძლება ადამიანი ვილაცას ესაუბროს, გადასცეს ის, რაც მან გაიგო. ქადაგება არის ღმერთისადმი მადლიერების გამოხატვის ერთ-ერთი შესაძლებლობა. სხვათა აზრით, ქადაგება არის შრომა, შრომის გარეშე

ადამიანის დახმარება შეუძლებელია. ქადაგებას სჭირდება ინფორმაციის მოძიება, მომზადება და მოწმეებისთვის მიწოდება, რაც ძალისხმევასა და შრომას საჭიროებს.

დიაგრამა №12: იეჰოვას მოწმეების მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (1 დალაგება ხდებოდა 1-დან 19-მდე)



მოკლედ რომ შევაჯამოთ, იეჰოვას მოწმეებისათვის შრომა ორ კომპონენტად იყოფა: ა) სულიერი შრომა, რომლის ფარგლებშიც ლოცვა და ქადაგება წარმმართველია და ბ) ამქვეყნიური ყოფისათვის ზრუნვა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და გონებრივ შრომას. მეტიც, ღირებულებით სკალაზე იეჰოვას მოწმეები, სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, ფიზიკურ შრომას გონებრივ შრომაზე წინ აყენებენ, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვნად კი შრომისმოყვარეობას მიიჩნევენ. ფული, წარმატება და კარიერა ამ რელიგიის მიმდევრებისათვის ამქვეყნიური საცდუნებელია და, შესაბამისად, ნეგატიური კონოტაციის მატარებელია. სიზარმაცე, სხვა ჯგუფების მსგავსად, მიუღებელია, რადგან უპირისპირდება შრომას, რომელიც უფლის ძღვენია და ერთადერთი გზა, იყო ღმერთისთვის მოსაწონი.

3.6. მუსლიმების კომპიუტერი რუკა და პროექციულად გამომვლენილი ღირებულებითი სისტემა

კვლევაში მონაწილე შემდეგი ჯგუფი *მუსლიმებია* (იხ. დიაგრამა №13). კათოლიკების მსგავსად, მუსლიმები რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებებს ორ კლასტერად ანაწილებენ. პირველ კლასტერში განთავსებულია ცნებები – ლოცვა, რწმენა, ქადაგება, ღვთისმსახურებაზე დასწრება, მონყალების გაცემა და სამოთხე. აქაც პირველ კლასტერში მოთავსებულია ისლამის ცენტრალურ ღირებულებებთან დაკავშირებული კატეგორიები. მუსლიმურ რელიგიაში ძალიან მნიშვნელოვანია ნამაზი, ანუ დღის განმავლობაში ხუთჯერადი ლოცვის შესრულება. ქადაგება, ქრისტიანული ტრადიციისგან განსხვავებით, პარასკევის ლოცვის დროს მოიაზრება და ლოცვისგან განკერძოებული სახე არ აქვს. ლოგიკურია ამ კლასტერში ღვთისმსახურების მოთავსება, რადგან ეს ყველა ამ აქტივობას აერთიანებს. ისლამში მონყალების გაცემა საკმაოდ ფორმალიზებული რელიგიური ქცევაა¹.

მესამე კლასტერში მოთავსებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა მარხვა, სულიერი შრომა და გონებრივი შრომა. ისლამში მნიშვნელოვანია მარხვა, რომლის დროსაც მორწმუნეები დილიდან გათენებამდე არც სითხეს და არც საკვებს არ იღებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მარხვა შრომის მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც ორიენტირებულია თავის ანუ გონების კონტროლზე. ანუ, მესამე კლასტერი მიგვითითებს იმაზე, რომ მარხვა სულიერი შრომის ძირითადი სახეობაა და გონებრივი შრომის დონეზე განიხილება.


მეორე კლასტერში განთავსებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა წარმატება, ჯოჯოხეთი, კარიერა, შრომისმოყვარეობა,

¹ აჭარის მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლის თქმით, თუ ადამინი მდიდარია და აქვს 83 გრამ ოქროზე მეტი ქონება, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში არ იყენებს, ის აუცილებლად უნდა დაეხმაროს ღარიბს.

სიზარმაცე, ფიზიკური შრომა და დრო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კლასტერი არ არის შედგენილი პოზიტიურობა-ნეგატიურობის კრიტერიუმით, არამედ შედგება შრომასთან დაკავშირებული ცნებებით და შრომის ან სიზარმაცის ნეგატიური და პოზიტიური შედეგებით. ის, რომ ამ კლასტერში არის განთავსებული დრო, მიგვითითებს ამ ცნების კავშირზე შრომის კატეგორიასთან.

ერთ კლასტერშია განთავსებული ფული და პირადი ჰიგიენა. მუსლიმებისათვის პირადი ჰიგიენა ყოველდღიური ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტია. პირადი ჰიგიენის ბმა ფულთან რთული ასახსნელია და მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ პირად ჰიგიენაზე ზრუნვა მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. მუსლიმების კოგნიტურ რუკაზე ცალკე კომპონენტია დასვენება.


დიაგრამა №13: მუსლიმების კოგნიტური რუკა



მუსლიმების მიერ ცხრამეტი ცნების რანჟირების ცენტრალური ტენდენციები ნაჩვენებია დიაგრამებზე №№ 14, 15. შეფასებების საშუალო მაჩვენებლების და მოდის მიხედვით, რწმენა პირ-


ველ ადგილს იკავებს მუსლიმთა ღირებულებით სისტემაში. ლოცვა და სამოთხე ის ცნებებია, რომლებიც ყველაზე ხშირად თავსდება მეორე ადგილზე, თუმცა, საშუალო მაჩვენებლით ლოცვა მესამე ადგილზე დგას, ხოლო სამოთხე – მეხუთეზე. საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, რწმენის შემდგომ მუსლიმები მარხვას ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობად მიიჩნევენ. ის ჩამოშორდა თავის კლასტერის სხვა კომპონენტს - სულიერ შრომას, რომელიც საშუალო მაჩვენებლით მეექვსე ადგილზეა, ხოლო ყველაზე ხშირად მერვე ადგილზე თავსდება მორწმუნე მუსლიმების მიერ. ამ რელიგიურ ჯგუფში გონებრივი შრომა სხვა ჯგუფებთან შედარებით საკმაოდ ნეგატიურად ფასდება. მუსლიმი ინფორმანტები მას ყველაზე ხშირად მეთოთხმეტე ადგილზე სვამენ. თუმცა, საშუალო მაჩვენებლით, გონებრივი შრომა მერვე ადგილზეა.

დიაგრამა №14: მუსმილების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)



კოგნიტური რუკის მეორე კლასტერის კომპონენტები ძირითადად ნეგატიურ ველში ხვდება. გამონაკლისს წარმოადგენს დრო, რომელიც შეფასებების საშუალო მაჩვენებლით და მოდით მეშვიდე ადგილზე დგას. რაც შეეხება შრომისმოყვარეობას, ის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით მეთერთმეტე ადგილზეა, ხოლო მუსლიმი ინფორმანტების მიერ ყველაზე ხშირად თავსდება მერვე ადგილზე. ერთ კლასტერში მოხვედრილი ფული და პირადი ჰიგიენა, შეფასებების თვალსაზრისით, ერთმანეთს შორდება. პირადი ჰიგიენა წამყვან პოზიციებს იღებს, ხოლო ფული კი ნეგატიური ღირებულებების ველში ხვდება და მხოლოდ ჯოჯოხეთსა და სიზარმაცეს ჩამორჩება. მნიშვნელოვანი განსვლაა მუსლიმების მიერ დასვენების შეფასების ცენტრალური ტენდენციების შედეგებს შორის. შეფასებების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით, დასვენება ბოლოდან მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ სიზარმაცეს, ჯოჯოხეთსა და ფულს ჩამოუვარდება, თუმცა, მუსლიმი ინფორმანტები ყველაზე ხშირად ამ ცნებას მეთავე ადგილზე ათავსებენ.

დიაგრამა №15: მუსლიმების მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (1-დან 19-მდე)



ფოკუს ჯგუფებში და ექსპერტულ გამოკითხვებში მუსლიმების მიერ შრომაზე აქცენტი იმდენად მკვეთრად იყო დასმული, რომ შრომა, მათი თქმით, შესაძლოა, საქიროების შემთხვევაში, ღვთისმსახურებაზე მალაც კი დადგეს. აჭარის მუსლიმთა კავშირის თავჯდომარის მოადგილის თქმით, ალალი შრომა, არსებითად, ღვთის მსახურებაა, შეიძლება ნახვიდე და იშრომო და არ არის ყოველთვის სავალდებულო ქადაგების მოსმენა. მორწმუნე ადამიანი უნდა შრომობდეს და ამ გზით უნდა პოულობდეს სარჩოს. ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, მუსლიმურ რელიგიაში შრომის დივერსიფიცირება არ ხდება და ყველა ტიპის შრომა დასაფასებელია, მორწმუნეები თავად შრომის კლასიფიცირებას ახდენენ. გონებრივ შრომას სულიერ შრომასთან ერთად განიხილავენ, ხოლო ფიზიკურ შრომას კი უფრო ამქვეყნიურ ცნებებთან (კარიერა, წარმატება) მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნარატიული მსჯელობისას მუსლიმები შრომას რელიგიური კონოტაციის მატარებლად განიხილავენ, ღირებულებების რანჟირებისას ეს ამგვარად აქცენტირებული არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ შრომისმოყვარეობა, საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, 19 ცნებას შორისმეთერთმეტე ადგილზეა.

3.7. არამორწმუნეების კომპიტიური რუკა და აროქციულად გამოვლენილი ღირებულებებითი სისტემა

უკანასკნელ ჯგუფს, რომელსაც განვიხილავთ, შეადგენენ არამორწმუნეები. მართალია, ამ ჯგუფში შემავალი ადამიანები მართლმადიდებლური წესით მოინათლნენ, ისინი არ მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებსა და აქტივობებში. დიაგრამა №16 აჩვენებს, რომ პირველ კლასტერში მოთავსებულია რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებები, კერძოდ, მარხვა, ღვთისმსახურებაზე დასწრება, ქადაგება, რწმენა, ლოცვა და სულიერი შრომა. რთული ასახსნელია, რა პრინციპით მოათავსეს ჯგუფის წევრებმა ამ კლასტერში კარიერა. აქ გასათვალისწინებელია, რომ

ჯგუფურ დისკუსიებში არამორწმუნეებმა სულიერი შრომა ნაკლებად მიიჩნიეს შრომის სახეობად. ისინი თვლიან, რომ ლოცვა, მარხვა ან ღვთისმსახურებაზე დასწრება შრომა არ არის.


მეორე კლასტერში ერთიანდება შრომასთან დაკავშირებული ცნებები, კერძოდ, ფიზიკური შრომა, გონებრივი შრომა, შრომის-მოყვარეობა. ამავე კლასტერშია მოთავსებული მონყალების გაცემა. ეს მონმობს, რომ არამორწმუნეების ჯგუფისათვის მონყალების გაცემა რელიგიური კონოტაციის მატარებელი არ არის. ის ფაქტი, რომ ამავე კლასტერში (ანუ შრომასთან დაკავშირებულ ცნებებთან ერთად) თავსდება სიზარმაცე, მიუთითებს ან იმაზე, რომ სიზარმაცე შრომასთან დაკავშირებული ნეგატიური დატვირთვის მქონე ტერმინია და რესპონდენტებმა ეს ცნებები ბინარული ოპოზიციის პრინციპით დააჯგუფეს, ან - იმაზე, რომ სიზარმაცე შრომის თანმდევი და მისაღები ფენომენია. მართლმადიდებელი მორწმუნეების მსგავსად, არამორწმუმეებიც ერთ კლასტერში ათავსებენ დროს, დასვენებას და პირად ჰიგიენას. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადად ქართულ კულტურაში დრო თავისუფალ დროსთან ასოცირდება, რომელსაც ადამიანი თავის თავს უთმობს.

მეოთხე კლასტერია ფული და წარმატება. მართლმადიდებელი მორწმუნეებისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმატებას კარიერულ წინსვლას და „თეთრსაყელოინთა“ შრომას უკავშირებენ, არამორწმუნეებისათვის წარმატება მატერიალური უზრუნველყოფის გამომხატველია. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ წარმატებული ადამიანის მაგალითად მათ ბიძინა ივანიშვილი მოიტანეს². ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლოგიკურია მეხუთე კლასტერი, სადაც ერთ ველში ხვდება სამოთხისა და ჯოჯოხეთის ცნებები. ეს ნიშნავს, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი არამორწმუნეთათვის ირეალური სამყაროა და ამ ცნებების

² გასათვალისწინებელია ის, რომ იმ პერიოდში ბ. ივანიშვილს არ ეკავა სახელმწიფო მოხელის თანამდებობა და აღიქმებოდა მხოლოდ დიდი მატერიალური რესურსის მქონე ბიზნესმენად.


დადებით ან უარყოფით კონოტაციაზე მეტად მათთვის მნიშვნელოვანი ამ მათი დისკურსული სიახლოვეა.

დიაგრამა № 16: არამორწმუნეების კოგნიტური რუკა



არამორწმუნეების მიერ ცნებების რანჟირება (იხ. დიაგრამები №№17, 18) უფრო შინაარსობრივ და დეტალურ ინფორმაციას გვაძლევს მათ ღირებულებით ორიენტაციაზე. რანჟირების შედეგები აჩვენებს, რომ არამორწმუნეები ამქვეყნიურ ღირებულებებს უპირატესად აფასებენ, მაშინ როცა რელიგიური დატვირთვის მქონე ცნებები ძირითადად უარყოფით შეფასებებს იმსახურებს.

დიაგრამა №17: არამორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების საშუალო მაჩვენებლები (1 ნიშნავს ყველაზე უპირატესს, ხოლო 19 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს)




მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, მესამე კლასტერის ცნებები – დრო, დასვენება და პირადი ჰიგიენა, არამორწმუნეთთან წამყვან ადგილზეა. ასეთ განაწილებაზე მიგვითითებს ცენტრალური ტენდენციის ორივე საზომი – მოდა და საშუალო. არამორწმუნეები 19 ცნების განლაგებისას ყველაზე ხშირად პირად ჰიგიენას ათავსებენ პირველ ადგილას, მაშინ როცა საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, პირველ ადგილას დრო ხვდება. რელიგიური კლასტერის ბუნდოვანი წევრი – კარიერა – არამორწმუნეების მიხედვით, ყველაზე უპირატესად ფასდება რელიგიური კონოტაციის ცნებებს შორის. ზოგადად რელიგიური ცნებები კი დაბალ პოზიციებს იკავებენ 19 რანჟირებულ ცნებას

შორის. მიუხედავად იმისა, რომ არამორწმუნეებმა სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთ კლასტერში განათავსეს, რანჟირებისას ეს ორი ცნება ერთმანეთს დაშორდა. მორწმუნეების მსგავსად, ჯოჯოხეთი ბოლო ადგილზე ხვდება, მაშინ როცა სამოთხე საშუალო მაჩვენებლით მეთოთხმეტე ადგილზეა განთავსებული და ყველაზე ხშირად იღებს მეთორმეტე ადგილს ცხრამეტე ცნებას შორის. არამორწმუნეები მორწმუნეების მსგავსად სიზარმაცეს უარყოფით დატვირთვის მქონე ცნებად განიხილავენ და ჯოჯოხეთის ცნების შემდეგ უკანასკნელ ადგილზე ათავსებენ.

რომ შევაჯამოთ, მართლმადიდებელი მორწმუნეებისა და არამორწმუნეების შეფასებებს შორის მნიშვნელოვანი განსვლაა. არამორწმუნეებთან რელიგიური კატეგორიები უკანა პლანზე გადადის, უპირატესი ღირებულებების მატარებელი ამქვეყნიური აქტივობები და ჯილდოებია (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ფულს, წარმატებას, კარიერას). შრომასთან მიმართებაშიც განსხვავებულია არამორწმუნეების დამოკიდებულება. მართლმადიდებლებთან წამყვანი პოზიციები სულიერ შრომასთან დაკავშირებულ კატეგორიებს უკავიათ, არამორწმუნეებთან ამქვეყნიური შრომა გადმოდის წამყვან პოზიციებზე. მოდის (Mode) მიხედვით, გონებრივი და ფიზიკური შრომა ყველაზე ხშირად ამ ჯგუფში იკავებს პირველ და მეორე ადგილებს. რელიგიის ისტორიის ექსპერტის თქმით, რელიგიის არსებითი ნიშანია განსხვავება სინმინდესა და არასინმინდეს შორის. სინმინდე გულისხმობს მსახურებას, მაგრამ არა შრომას, არამედ შრომისაგან დაცადებას და სულიერის გააქტიურებას. თუმცა, ექსპერტი აქვე მიუთითებს, რომ მართლმადიდებლურ რელიგიაში შრომას წამყვანი ადგილი უჭირავს. იმის გამო, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიცია გადატვირთულია წმინდა და საღვთო დღეებით, მართლმადიდებელ მრევლს აღარ რჩება საკმარისი დრო ფიზიკური შრომისათვის. ექსპერტის ეს პოზიცია კარგად ხსნის ზემოთ ნახსენებ განსხვავებას მორწმუნე მართლმადიდებლებისა და არამორწმუნეების შეფასებებს შორის. არამორწმუნეების ღირებულებით სისტემაში სულიერი შრომა აღარ არის წამყვან პოზიციაზე და ამქვეყნიური

შრომა, თავისი ჯილდოებით (კარიერა, ფული, წარმატება) უფრო მნიშვნელოვან კატეგორიად წარმოჩინდება.

დიაგრამა №18: არამორწმუნეების მიერ 19 ცნების რანჟირების მოდა (1-დან 19-მდე)



დასასრული

1. გამოყენებული ლიტერატურა

1. Bellah N. Robert, Hammond E. Phillip 1980. *Varieties of Civil Religion*. Harper & Row, Publishers, San Francisco.
2. Frei W. Hans 1974. *The Eclipse of Biblical Narrative. A Study in Eighteenth and Nineteenth Century Hermeneutics*. Yale University Press.
3. Furnham, Adrian 1990. A Content, Correlational, and Factor Analytic Study of Seven Questionnaire Measures of the Protestant Work Ethic. *Human relations* 43, 256-78.
4. Gellner, Ernest 1959. *Words and Things. A Critical Account of Linguistic Philosophy and a Study in Ideology*. London: Gollancz; Boston: Beacon.
5. Giacalone, A. Robert & Jurkiewicz, L. Carole 2005. From Advocacy to science: The next steps in workplace spirituality and research. In: *Handbook of Psychology of Religion and Spirituality*. New York Guildford Press.
6. Giacalone, A. Robert & Jurkiewicz, L. Carole 2010. *Handbook of Workplace Spirituality and Organizational Performance*. Armonk, NY: M.E. Sharpe, Inc.
7. Harrison, E. Lawrence 2006. *The Central Liberal Truth: How Politics Can Change a Culture and Save It from Itself*. New York: Oxford University Press.
8. Henry, F.H. Carl 1964. *Aspects of Christian Social Ethics*. Grand Rapids: Baker.
9. Hofstede, Geert 1983. Culture's Consequences: International Differences in Work-Related Values. *Administrative Science Quarterly (Johnson Graduate School of Management, Cornell University)* 28 (4), 625-29.
10. Inglehart, Ronald 1991. Post-Materialism in an Environment of Insecurity. *The American Political Science Review* Vol. 75, No. 4, 880-900.

11. King, M. Stephen 2007. Religion, Spirituality, and the Workplace: Challenges for Public Administration. *Public Administration Review*, 67(1), 103-114.
12. Maccoby, Michael and Terzi, A. Katherine 1979. What happened to the Work Ethics? In: W. Hoffman and T. Wyly (eds.). *The Work Ethics in Business*. Cambridge: O, G & H Publishers.
13. McDonald, Paul and Gandz, Jeffrey 1992. Identification of Values Relevant to Business Research. *Human Resource Management* 30, 217-36.
14. Miller, W. David 2007. *God at Work: The History and Promise of the Faith at Work Movement*. New York: Oxford University Press.
15. Miller, David and Ewest, Timothy 2010. Rethinking the Impact of Religion on Business Values: Understanding its Reemergence and Measuring its Manifestations. *Journal of International Business Ethics*, 3(2), 49-57.
16. McGinn, Bernard 1993. The letter and the spirit: Spirituality as an academic discipline. *Christian Spirituality Bulletin*, 1(2), 1-10.
17. Nash, Laura & McLennan, Scotty 2001. *Church on Sunday, work on Monday: A Guide for Reflection*. Jossey-Bass.
18. Nizharadze, George. 2001. We are Georgians. In: Freimut Duve & Heidi Taliavini (eds.). *The Caucasus – Defense of the Future: Twenty-Four Writers in Search of Peace*. Vienna, Bolzano, 118-42.
19. Novak, Michael. 1990. *The spirit of democratic capitalism*. Boulder: Madison Books.
20. Novak, Michael. 1996. *Business as a calling: Work and the examined life*. New York: The Free Press.
21. Rego, Arménio, & Pina e Cunha, Miguel 2008. Workplace spirituality and organizational commitment: an empirical study. *Journal of Organizational Change Management*, 21(1), 53-75.
22. Redding, Gordon 1995. *The Spirit of Chinese Capitalism (Degruyter Studies in Organization)*. New York: Walter de Gruyter Inc Publishers.
23. Robertson, L. 1985: *Future Work: Jobs, Self-Employment and Leisure After the Industrial Age*. Aldershot, England: Gower.
24. Rotter, B. Julian 1966. Generalized expectancies of internal versus external control of reinforcements. *Psychological Monographs* 80 (609).
25. Sahih Bukhari Books. <http://www.sahih-bukhari.com>
26. Scheler, Max 1928. *Die Stellung des Menschen im Kosmos*. Darmstadt: Otto Reichi Verlag.

27. Slater, Will, Hall, W. Todd & Edwards, J. Keith 2001. Measuring Religion and Spirituality: Where Are We and Where are We Going? *Journal of Psychology and Theology*, 29(1), 4-21.
28. Stark, Rodney and Bainbridge S. William 1979. Of Churches, Sects, and Cults: Preliminary Concepts for a Theory of Religious Movements. *Journal for the Scientific Study of Religion* 18:2: 117-33.
29. Triandis, C. Harry 1978. Some universals of social behavior. *Personality and Social Psychology Bulletin*, 4, 1-16.
30. Values of Georgian Society, Open Society Georgia Foundation, Tbilisi, 2006.
31. Weber, Max 1905/2010. *The Protestant Ethic and The Spirit of Capitalism*. Penguin classics, New York, NY: Simon Shuster.
32. Woodrum, Eric 1985. Religion and economics among Japanese Americans: A Weberian study. *Social Forces*, 64(1), 191-204.
33. Вебер, Макс 1990. Избранные произведения. Москва, 'Прогрес'.
34. <http://www.biblegateway.com/versions/New-International-Version-NIV-Bible/#books>
35. ბიბლია. პალიტრა L. თბილისი, 2013.
36. ყურანი. კავკასიური სახლი. თბილისი, 2006.

2. გამოკითხული ექსპერტების სია

№	ექსპერტები	სტატუსი
1.	ტილმან ალერტი	სოციოლოგიის პროფესორი, ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია)
2.	თეიმურაზ ბუაძე	თეოლოგი, თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორი
3.	რუსუდან გოცირიძე	საქართველოს ევანგელურ-ბაპ-ტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი
4.	დემეტრე დავითაშვილი	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არქიდიაკვანი
5.	ვაჟა ვარდიძე	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
6.	პაატა ზაქარეიშვილი	პოლიტოლოგი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი
7.	თეიმურაზ თათარაშვილი	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი დეკანოზი
8.	ემზარ კახიძე	ისტორიკოსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი
9.	ბასილ კობახიძე	თეოლოგი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი დეკანოზი
10.	გიორგი ლობჯანიძე	აღმოსავლეთმცოდნე, ისლამის მკვლევარი, „კავკასიური სახლის“ წარმომადგენელი
11.	ირაკლი ლომოური	თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორი
12.	გიორგი მასალკინი	ფილოსოფოსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
13.	ტარიელ ნაკაიძე	საქართველოს მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

14.	(მამა) ნათანაილი	თბილისის ბეთლემის მონასტრის ბერი
15.	ნუგზარ პაპუაშვილი	ექსპერტი რელიგიის საკითხებში
16.	ჯემალ პაქსაძე	საქართველოს მუსლიმთა სამ-მართველოს მუფთი
17.	ზაზა ფირალიშვილი	ფილოსოფიის პროფესორი, „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ წევრი
18.	ბართლომე ფირცხალაი-შვილი	თბილისის ბეთლემის მონასტრის მღვდელი
19.	ნარეკ ქუჩიანი	თბილისის სომხური ეკლესიის მღვდელი
20.	ვლადიმერ ლლონტი	ეკონომისტი, ბათუმის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის პროფე-სორი
21.	ზაზა შათირიშვილი	ფილოსოფოსი, თბილისის თავი-სუფალი უნივერსიტეტის პროფე-სორი
22.	პაატა ჩაგანავა	ეკონომისტი, ბათუმის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის ასოცირე-ბული პროფესორი
23.	ემზარ ჯგერენაია	სოციოლოგი, ილიას უნივერსიტე-ტის პროფესორი
24.	ალექსანდრე ჭანტურია	მართლმადიდებელი მღვდელი, თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორი
25.	თამაზ ხუციშვილი	იეჰოვას მონმეთა კავშირის დამ-ფუძნებელი საქართველოში

დამატებით, 15 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა სხვადასხვა რელიგიური თემის (მართლმადიდებლები, კათოლიკეები, მუსლიმები, ბაპტისტები, იეჰოვას მონმეები) რიგით მორწმუნეებთან.

3. საქართველოს სხვადასხვა თემში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების სია

1.	თბილისი	მართლმადიდებელი მორწმუნეები
2.	თბილისი	არამორწმუნეები
3.	თბილისი	ბაპტისტები
4.	თბილისი	იეჰოვას მოწმეები
5.	თბილისი	მართლმადიდებელი მორწმუნეები (უმუ- შევრები)
6.	თბილისი	მართლმადიდებელი მორწმუნეები (დასაქმე- ბულები)
7.	მარნეული	მუსლიმები
8.	თბილისი	მართლმადიდებელი მორწმუნეები
9.	ბათუმი	მუსლიმები (მამაკაცები)
10.	ბათუმი	მუსლიმები (ქალები)
11.	გორი	მართლმადიდებელი მორწმუნეები (უმუ- შევრები)
12.	გორი	მართლმადიდებელი მორწმუნეები (დასაქმე- ბულები)
13.	გორი	არამორწმუნეები
14.	ხაშური	იეჰოვას მოწმეები
15.	ახალციხე	კათოლიკები

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 2 25 05 22, 2 91 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge